პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. ჩიჩერინს ბერლინში თათბირი ჰქონდა შტრეზემანთან.
- ჩინეთის რევოლიუციონურმა არმიამ გაანადგურა მუკდენელები.
- იტალია - ინგლის-საფრანგეთი ცდილობენ ალბანეთ-სამხრეთსლავიის კონფლიქტის მოგვარებას.
- მუსოლინიზე თავდამსხმელს ლიუჩეტის 30 წლის ციხე მიუსაჯეს.
- გამოირკვა, რომ ავერესკუს მოუთვისებია სახელმწიფო თანხები.
- ნიუ-იორკში ინგლისის საკონსულოს წინ გაიმართა ანტიბრიტანული დემონსტრაცია.
- 15 ივნისს კრონშტადტში დაიწყება ინგლისის ჯაშუშთა გასამართლება.

სამშაბათი, 14 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 133 (1878)

დღეს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე,
რუსთაველის თეატრში
— გაიხსნება —

სრულიად საქათ. ცაკის მეორე სესია

თბილისის საბჭოსა და საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებთან ერთად.

სესიის დღის წესრიგი:
1) მთავრობის ცნობა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2) ფასების დაკლების შესახებ.
3) საორგანიზაციო საკითხები.

სრ. საქ. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

ჩვენი მოთხოვნა

საბჭოთა კავშირის ელჩის, ამხ. ვოიკოვის მკვლელობამ ვარშავაში პირდაპირ დასვა პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულების საკითხი. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა ამ ბოროტმოქმედებისათვის პირველ ყოვლისა ეკისრება ინგლისის მთავრობას, რომელმაც თავისი გააფთრებული ანტისაბჭოთა კამპანიით შექმნა ატმოსფერა ბნელი ძალების ამოძრავებისათვის და რომელიც უშუალოდ რაზმავს და ეხმარება ჯაშუშურ-ბანდიტურ ელემენტებს ყოველგვარ სისაძაგლის ჩასადენად საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ, ამავე დროს, დიდია პოლონეთის მთავრობის პასუხისმგებლობაც; და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მკვლელობა მის ტერიტორიაზე მოხდა, არა მარტო იმიტომ, რომ ეს საზიზღრობა პოლონელმა მოქალაქემ ჩაიდინა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ პოლონეთი გადაქცეულია თეთრგვარდიელთა ბუდედ და პოლონეთის მთავრობა მათ ანტისაბჭოთა მოქმედების შესაძლებლობას აძლევს, კიდევ მეტი: დახმარებას უწევს და ხელს აფარებს კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას; ამასთან, მისი ცნობილი აგრესიული და მტრული პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ თავის-თავად წამაქეზებელია პოლონეთში მოკალათებულ ემიგრაციის ავანტიურისტულ მოქმედებისათვის.

ასე რომ, ვიმეორებთ, პილსუდსკის მთავრობას პოლიტიკური პასუხისმგებლობა აწევს ჩვენი წარმომადგენლის მკვლელობისათვის. მაგრამ პოლონეთის მესვეურნი ამას გაურბიან. ისინი ყოველნაირად ცდილობენ ეს პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ და მკვლელობისაგან გაიმიჯნონ. მწუხარების გამოცხადება მკვლელობის გამო, მისი გაკიცხვა, მისი სასტიკი გამოძიების და მკვლელის დასჯის დაპირება, ამხ. ვოიკოვის ოჯახისათვის ნივთიერი ანაზღაურების მიცემის წინადადება, — აი, ის განცხადებები, რომლებიც ამ მიზნისათვის მათ საკმარისად მიაჩნიათ.

ყველაფერი ეს, თუმცა საგრძნობი ნაბიჯია კონფლიქტის მოგვარებისაკენ გადადგმული, მაგრამ მაინც ვერ დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის აღშფოთებულ საზოგადოებრივ აზრს. საჭიროა უფრო დამაჯერებელი და გადამჭრელი ნაბიჯები, პირველ ყოვლისა, კი ფაქტები და არა სიტყვიერი განცხადება, რომ პოლონეთი მართლა მოწადინებულია საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულება შექმნას, და რომ ის ჩემბერლენის პროვოკაციულ პოლიტიკას არ იზიარებს.

პოლონეთის მთავრობის ნოტა ამ მხრივ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ჯერ ერთი, სრულებით უსაფუძვლოა ამ ნოტის მტკიცება, რომ თითქო პოლონეთის მთავრობა მეტად ხელს უშლიდა და არ უშვებდა პოლონეთის ტერიტორიაზე კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის გეგმაშეწონილ მუშაობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. უტყუარი ფაქტები სულ სხვას გვეუბნებიან, სახელდობრ იმას, რომ პოლონეთის მთავრობა თეთრგვარდიელებს ორგანიზაციის და მოქმედების სრულ საშუალებას აძლევდა თავის ტერიტორიაზე, და რომ პოლონეთის ხელისუფალნი მათ ფინანსიურ დახმარებასაც უწევდნენ.

შემდეგ, პოლონეთის მთავრობა ამაოდ ცდილობს თავის მართლებას იმაზე მითითებით, რომ ამხ. ვოიკოვი უარს ამბობდა პირად დაცვაზე. ჩვენი წარმომადგენლობის საუკეთესო და ერთად-ერთი ნამდვილი დაცვა იქნებოდა იმ ორგანიზაციების და ელემენტების ალაგმვა, რომელთა მიზანს მათზე თავდასხმა და საერთოდ ანტისაბჭოთა გამოსვლები შეადგენდა. ამ მხრივ კი პოლონეთის მთავრობას, როგორც ვსთქვით, თითი არ გაუნძრევია, თუმცა მან მშვენივრად იცოდა, თუგინდ საბჭოთა მთავრობის ოფიციალურ გაფრთხილებიდანაც, რომ თეთრგვარდიელები სწორედ ასეთ ამოცანას ისახავდნენ.

უცნაურია პოლონეთის მთავრობის განცხადება, თითქო წინასწარ გამოძიებიდან სჩანდეს, რომ მკვლელობა მხოლოდ ინდივიდუალური აქტი იყოს. ეს ნაჩქარევი დასკვნაა. გამოძიება არ დასრულებულა, გარდა ამისა, ჩვენი წარმომადგენელი კიდევ არ ღებულობს მასში მონაწილეობას. საგულისხმოა, რომ პოლონეთის მთავრობის ნოტაში მის დაშვებაზე გამოძიების დროს არაფერია ნათქვამი, თუმცა ზალესკიმ ამაზე თანხმობა განაცხადა. ამასთან, ვარშავაში მომხდარი ბოროტმოქმედება არ შეიძლება განხილულ იქნას ჩვეულებრივი სისხლის სამართლის საქმის თვალსაზრისით,—ეს უაღრესად პოლიტიკური აქტია, რომლის პროცესმა უნდა გამოააშკარავოს ის პირობები, რომლებმაც მისი ჩადენა შესაძლებელი გახადა, უნდა გამოარკვიოს მისი ორგანიზაციული და პოლიტიკური კავშირი კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციასთან და ანტისაბჭოთა კამპანიასთან, რომელიც ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელობით წარმოებს.

აქედან ჩვენი მოთხოვნები პოლონეთის მთავრობისადმი, ჩამოყალიბებული საბჭოთა კავშირის საპასუხო ნოტაში, შემდეგია: 1) დაუყოვნებლივი და ნამდვილი ზომების მიღება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციების მუშაობის მოსასპობად პოლონეთის ტერიტორიაზე და ამ ელემენტების გასაძევებლად; 2) ჩვენი წარმომადგენლის დაშვება მკვლელობის საქმის გამოძიებაზე; 3) ამ საქმის ყოველმხრივი გამოძიება და დამნაშავეთა სწრაფი და სასტიკი დასჯა.

ესაა ის ელემენტარული მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება დაგვანახვებს, რომ პოლონეთის მთავრობას მართლა არ სურს ჩვენთან დამოკიდებულების გართულება; მხოლოდ ამ გზით შესძლებს ის პოლიტიკურად გაიმიჯნოს ბანდიტებისა და მკვლელებისაგან, მხოლოდ ეს შეანელებს იმ კანონიერ აღშფოთებას, რომელმაც საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მოიცვა, და შექმნის ნიადაგს ორ ქვეყანას შორის ნორმალურ ურთიერთობის დამყარებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობას შესწევს ძალა თავისი უფლებების დასაცავად. ამხ. ვოიკოვის მკვლელობით შექმნილ მდგომარეობამ ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო.

კომკავშირის მტკივნეული საკითხები

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის გამო)

ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ საერთო ზრდასთან ერთად, იზრდება საბჭოთა საზოგადოებრიობის ერთი უძლიერესი ორგანიზაცია — ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი. ეს ზრდა გამოიხატება გაძლიერებულ ლტოლვაში სწავლისადმი, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის მიღებისადმი, და ორგანიზაციულათ თვითგანმტკიცებაში. ახალგაზრდა კომუნისტურ ორგანიზაციის შეუჩერებელ იდეურ-ორგანიზაციული ზრდის უდაო მაჩვენებელია აგრეთვე კომკავშირლების რიცხვის ზრდა საბჭოებში, პროფორგანიზაციებში, გლეხკომებში, კოოპერაციაში და სხვ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. კომკავშირის ზრდას მოწმობს უპარტიო ახალგაზრდობის წინანდელთან შედარებით უფრო მასიურათ დარაზმვა თავის რიგების გარშემო და ამ ახალგაზრდობის საბჭოთა აღმშენებლობაში მეტი აქტივობით ჩაბმა.

მაგრამ, ამ მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად კომკავშირის მუშაობას თან ახლავს მთელი რიგი ნაკლოვანებებისა, რომელთა გამოსწორებაც მის ყოველდღიური მუშაობის წარმატებით განვითარების მთავარ პირობას წარმოადგენს. საქ. კომპარტიის ცეკას და ცენ. საკ. კომ. ახლად დასრულებულ გაერთიანებულმა პლენუმმა თავის რეზოლიუციაში კომკავშირის მუშაობის შესახებ დაწვრილებით მიუთითა კომკავშირის განჯანსაღების გზებზე.

უმთავრესი ნაკლი, რომელიც ყველაზე უფრო იპყრობს ჩვენს ყურადღებას კომუნისტურ ახალგაზრდობის მუშაობაში, ესაა შედარებით სუსტი ყურადღება წარმოების საკითხებისადმი ან ამ საკითხების არაპრაქტიკულათ დაყენება და გადაჭრა.

პარტიას და ხელისუფლებას თავის სამეურნეო მოღვაწეობის ძირითად ამოცანათ დასახული აქვს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია, რაიც ამავე დროს სოფლისათვის ნიშნავს გლეხურ მეურნეობის ტექნიკურათ გაუმჯობესებას და ამ მეურნეობის კოლექტივიზაციას. ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა და ჩვენ ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით, წინ მივდივართ. კომკავშირს ეს მუშაობა უდიდეს მოვალეობას აკისრებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირის მონაწილეობის დონე ამ საერთო საქმიანობაში არ ეფარდება იმ საპასუხისმგებლო მდგომარეობას, რომელიც ახალგაზრდობას უჭირავს ჩვენს აღმშენებლობაში.

ამიტომ პირველი და აუცილებელი ამოცანა, რომელიც სდგას კომუნისტურ ახალგაზრდობის წინაშე, ესაა მთავარი ენერგიის წარმოებითი გადახრისაკენ მიმართვა. პროფ-ტეხნიკური განათლებისათვის ყოველნაირათ ხელის შეწყობა ქალაქად, სას.-სამ. ცოდნის გავრცელება სოფლად, ახალგაზრდობის კოლექტიურ და საარტელო მეურნეობებში მასიურათ ჩაბმა, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების საღ ნიადაგზე დაყენება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, სანიმუშო მეურნეობების გამართვა სოფლად და სხვა. აი, რაში უნდა გამოიხატებოდეს კონკრეტულად კომკავშირის წარმოებითი საქმიანობა ქალაქში და სოფელში.

მეორე—რაც იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას კომუნისტურ ახალგაზრდების ორგანიზაციათა მდგომარეობაში—ესაა კომკავშირის თეორეტიულ მომზადების და პოლიტიკურ აღზრდის სისუსტე: ეს გარემოება ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვნათ აფერხებს კომკავშირის მუშაობას ადგილებზე, უსპობს მას, როგორც ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს საშუალებას, იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა გაუწიოს უპარტიო ახალგაზრდობის მასას. ქმნის კომკავშირის ორგანიზაციაში მრავალ მავნე გადახრათა შესაძლებლობას და ადუნებს საერთო მუშაობას.

ამ გარემოებას პარტიამ და კომკავშირმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. პოლიტიკური და თეორეტიული მომზადების გაძლიერება მეორე ამოცანას წარმოადგენს კომკავშირისა და პარტიისათვის.

ამ ამოცანის დადებითად მოგვარებაზე ბევრათაა სხვათაშორის დამოკიდებული უპარტიო ახალგაზრდობის კომკავშირთან მასიურათ დაახლოების საქმე. ამაზევეა დამოკიდებული შინაკომკავშირული მუშაობის გაუმჯობესება, მისი იმდენათ გაშინაარსიანება, რომ ამ მუშაობამ მიიზიდოს როგორც კომკავშირელი, ისე უპარტიო ახალგაზრდობა. შინაკომკავშირულ მუშაობას ეკუთვნის აგრეთვე დასვენების, თავისუფალ დროის მიზანშეწონილად გამოყენების საკითხიც. უნდა ითქვას, რომ კომკავშირი ამ მხრივაც ბევრგან მოიკოჭლებს. მუსიკა, ბურთაობა, ტანვარჯიშობა, მეთევზეობა, ნადირობა და სხვა ამგვარი სასარგებლო დროისტარება, რომელშიაც ახალგაზრდობა ყოველთვის და ყოველგან აქტიურ მონაწილეობას იღებს, ხშირათ კომკავშირის ყურადღების გარეთ რჩება.

გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში საგრძნობლათ მოდუნდა პიონეროორგანიზაციათა მუშაობა. ამის მიზეზები იმალება უმთავრესად ბავშთა მოძრაობის ხელმძღვანელობის სისუსტეში. კომკავშირი მოვალეა გადასინჯოს პიონეროორგანიზაციათა მუშაობის ფორმები, გააუმჯობესოს ბავშთა კოლექტივების ხელმძღვანელთა პირადი შემადგენლობა, მიიღოს ზომები ბავშთა ორგანიზაციების მატერიალურ საფუძვლის გასამაგრებლათ და სხვა. პარტია უმთავრესად კომკავშირის საშუალებით ხელმძღვანელობს მესამე თაობის მოძრაობას. კომკავშირი უნდა გახდეს ამ მოძრაობის ნამდვილ და ყოველმხრივ ხელმძღვანელი.

დასასრულ საჭიროა შევჩერდეთ კომკავშირის სოც. შემადგენლობის ცვალებადობაზე. გამორკვეულია, რომ უკანასკნელი ხნის განმავლობაში კომკავშირის რიგებში დაიკლო პროლეტარულ შემადგენლობამ. ამავე დროს სოფლად არასაკმაო ტემპით მიმდინარეობს ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა მიღება. ამას შედეგათ მოსდევს ის არანორმალური გარემოება, რომ კომკავშირის რიგებში იპარება არაპროლეტარული ელემენტები. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლათ კომკავშირის ხელმძღვანელ ორგანოებმა უნდა აიღონ მტკიცე კურსი კომუნისტურ ახალგაზრდობის რიგებში პროლეტარულ და მოჯამაგირეთა ახალი მასების მისაზიდავათ.

ასეთია უმთავრესად ის მთავარი მტკივნეული საკითხები, რომელთაც მთელ რიგ მიღწევებთან ერთად, ადგილი აქვთ კომკავშირის მუშაობაში და რომელთა წარმატებით გადაჭრისაკენ უნდა იქნეს მიმართული კომუნისტურ ახალგაზრდობის მთელი მასის ენერგია და გულისყური.

მ. ლ—ძე.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით).

მკითხველს ახსოვს, რომ უხანის მთავრობის წინააღმდეგ დასავლეთის მხრით მოქმედობდა პროვინცია სი-ჩუანის მფლობელი გენ. იან-სენი. იგი მომხრე იყო უ-პეი-ფუსი, რომლის ნარჩენი ჯარი განაგრძობდა წინააღმდეგობას რევოლიუციონურ ჯარების მიმართ პროვინცია ხე-ნანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ნან-იანის მიმართულებით. იმ დროს, როდესაც იან-სენის ჯარი მიდიოდა მდ. იან-ცე-ციანის ველით დასავლეთიდან აღმოსავლეთით ხანკოუს წინააღმდეგ, ნან - იანის მიმართულებით მომქმედ უ-პეი-ფუს ჯარის ნაწილს უნდა დაეცვა იან-სენის ოპერაცია ჩრდილოეთის მხრით.

უკანასკნელი დეპეშების ცნობით, ხანკოუდან წამოსულ უხანის მთავრობის ჯარებს სასტიკად დაუმარცხებიათ იან-სენის ჯარი და უკანასკნელი ამჟამად სწრაფად იხევს და გადადის თავის სამფლობელოში — პროვინცია სი-ჩუანში. ნან-იანის მიმართულებითაც ფინ-იუ-სიანის ჯარების ნაწილს დაუმარცხებია და უკუუგდია უ-პეი-ფუს ნაწილები. ეს ორი ოპერაცია ჯერ-ჯერობით დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან იან-სენი ვიდრე საბოლოოდ არ იქნება განადგურებული, არ მოისვენებს და არც მოასვენებს უხანის მთავრობას.

ამ გენერალის სამფლობელო პროვინცია სი-ჩუანი უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს. ეს პროვინცია საკმაოდ მდიდარი და მჭიდროდ დასახლებულია, მარტო მოსახლეობის რიცხვი 50 მილიონს უდრის. განსაკუთრებით მდიდარია სპილენძის მადნით. ასეთი მტერი რევოლიუციონურ მთავრობის მთავარ მომქმედ ზურგში, რა თქმა უნდა, საშიშროებას წარმოადგენს და ამიტომ უკანასკნელ გამარჯვებას რევოლიუციონურ ჯარებისას ფრიად საგრძნობი მნიშვნელობა აქვს.

შედარებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს ნან-სიანის მიმართულებით მომქმედ უ-პეი-ფუს ნარჩენ ჯარს, რადგანაც ეს ჯარი მოწყვეტილია თავის მთავარ ბაზას და თითქმის გარშემორტყმულია რევოლიუციონურ ჯარების ნაწილებით.

ჩრდილოეთით პეკინის მიმართულებით მუკდენელების ჯარი განაგრძობს უკან დახევას და უკანასკნელი დეპეშის ცნობით, მისი მთავარი ძალები გადადიან ბაო-დინ-ფუს რაიონში. ეს პუნქტი მდებარეობს პეკინ-ხანკოუს რკინისგზის ხაზზე და პეკინს დაშორებულია სულ 130 კილომეტრით. მუკდენელების ასეთ დახევას გამოუწვევია შანდუნელების ჯარების უკან დახევა. აშკარაა, ჩრდილოელ მილიტარისტების ჯარები შეუდგენ ახალ შეჯგუფებას, ალბათ ბაო-დინ-ფუს და ძინან-ფუს ხაზით. ამას წინად ცნობა იყო, რომ სწორედ ეს ხაზი აურჩევია ჩან-ძო-ლინს პეკინ-ტიანძინის რაიონის დასაცავათ. მაშინვე გამოვსთქვით მოსაზრება, რომ ამ ხაზის მიმართულება იმგვარია, რომ მისი არჩევა შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩან-ძო-ლინს რაიმე იმედი აქვს ჩან-კაი-შისთან შეთანხმებისა.

უკანასკნელი დეპეშები დაჟინებით ლაპარაკობენ ასეთ შეთანხმებაზე. არის ცნობა, რომ პეკინში მიდიან ჩან-სუ-ჩანი და სუნ-ჩუან-ფანი და თან მიაქვთ ჩან-კაი-შის მეტად საყურადღებო წინადადება ჩან-ძო-ლინის მიმართ. ეტყობა, ჩან-კაი-ში კვლავ რაღაცას თაღლითობს. გარდა ამისა, ტიან-ძინში გროვდება უცხოელ იმპერიალისტების საგრძნობი სამხედრო ძალები. იაპონიას ჯარებით დაკავებული აქვს ცინ-დაო—ძი-ნან-ფუს (მთავარი ქალაქი შანდუნის პროვინციისა) რკინის გზა.

ერთი სიტყვით, ფინ-იუ-სიანის ჯარების პეკინისაკენ მსვლელობის დროს მთელი ყურადღება თავის მარჯვენა ფრთისაკენ უნდა ჰქონდეს მიქცეული. ამ ფრთას ემუქრებიან როგორც ჩან-კაი-ში, ისე უცხოელი იმპერიალისტები. ამ შემთხვევაში კვლავ მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა გენერალ იენ-სი-შანის მოქმედებას, რომლის მედგარმა და სწრაფმა შეტევამ დასავლეთიდან პეკინის წინააღმდეგ, შეიძლება სრულიად შეშალოს ჩრდილოელ მილიტარისტების და უცხოელ იმპერიალისტების გეგმები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ყველა ესენი ცდილობენ როგორმე გადაიბირონ თავის მხარეზე გენერალი იენ-სი-შანი.

ი. გედევანიშვილი.

მეგობრის საფლავთან

მოსკოვის მუშები და მუშა - ქალები აცილებდნენ ამხ. ვოიკოვის ცხედარს. ზღვა ხალხი ეხეთქებოდა წითელ მოედანს, პროლეტარიატის სიხარულისა და მწუხარების დიადი დღეების ამ უსიტყვო მოწმეს. მრავალი ათასი დროშა დაიხარა მუშათა სახელმწიფოს ერთგული გუშაგის, ჩვენი პარტიის სახელოვანი მებრძოლის, ყაჩაღის ხელისაგან დაღუპულ ამხ. ვოიკოვის ახალ საფლავზე. მთელი საბჭოთა კავშირი, კიდით კიდემდე, სახელოსნოებისა და მინდვრების მილიონი მშრომელები უჩინრად ესწრებოდენ მეგობრის დაკრძალვას. ამხ. ვოიკოვმა მიიღო ის ლახვარი, რომელიც მიმართული იყო ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ის ტყვია, რომელმაც განგმირა ამხ. ვოიკოვის მკერდი, მოწამლული იყო საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილის შხამით. ამხ. ვოიკოვი იქ, საზღვარ გარეთ, წარმომადგენლობდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ურიცხვ მილიონებს. ამიტომ არის ამხ. ვოიკოვი ყოველი ჩვენგანის ახლობელი. მისმა გმირულმა სიკვდილმა ბრძოლის სადარაჯოზე კიდევ უფრო დაგვაახლოვა მასთან. მწუხარების სუდარა გადაფარებულია მთელს ჩვენს დიდ ქვეყანაზე.

ღრმა გრძნობას და აზრს იწვევს ჩვენში ამხ. ვოიკოვის გმირული სიკვდილი. მწვავე, გულშემზარავი ტკივილი ამხანაგისა და თავგანწირული მეგობრის დაკარგვის გამო; გამოუთქმელი რევოლიუციონური სიბრაზე პროლეტარულ რესპუბლიკების ყაჩაღ მტრების მიმართ. ინგლისის იმპერიალიზმის სახელგანთქმულ ყაჩაღებს, რომლებმაც მიმართულება მისცეს კავერდას რევოლვერს, სასტიკად შეეშლებათ ანგარიში, თუ ფიქრობენ, რომ ვარშავაში მოხდენილი სისხლისღვრა შეასუსტებს ჩვენს რიგებს და სისუსტის გრძნობას დანერგავს ჩვენში. ამხ. ვოიკოვის სიკვდილი ახალ ფოლადის სიმებს დასჭიმავს ჩვენს გულში, ის სიმტკიცეს და სიმხნევეს შთაბერავს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის გულში, ის გაზრდის შეურიგებელ ლტოლვას შემდეგი ბრძოლებისადმი.

მძიმეა ჩვენი გზა, მაგრამ ამავე დროს უსაზღვროდ სახელოვანი. სწორედ ამიტომ ჰყავს ამდენი შეურიგებელი სისხლის მსმელი მტერი პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს, სწორედ ამიტომ ჰყავს მას კაცობრიობის მეორე პოლიუსზე უფრო მეტი მეგობრები. ჩვენი მტრების სიძულვილი, იმპერიალისტების გაა—ეს არის ჩვენდამი ყველა ჩაგრულთა უღრმესი, მხურვალე სიყვარულის მეორე მხარე.

დაე, ჩვენი ახალგაზრდობა ჩაუკვირდეს ამხ. ვოიკოვის სახეს. დაე, ჩვენმა ახალგაზრდობამ ისწავლოს მისგან და მიჰბაძოს მას. ბრძოლა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ბრძოლა ნიკოლოზის ჟანდარმერიასთან, დაჭიმული მუშაობა საბჭოთა პოსტებზე, შეუპოვარი გაცხოველებული მუშაობა სოციალისტური მეურნეობის მშენებლობაზე, საბჭოთა კავშირის დიპლომატიური წარმომადგენლის მძიმე და საპასუხისმგებლო მუშაობა,—ასეთია ამხ. ვოიკოვის სიცოცხლის გზა, გაწყვეტილი მტრების მიერ.

გაივლის გრძელი დაუსრულებელი წლები, მაგრამ ამხ. ვოიკოვის სახე მუდამ დარჩება ჩირაღდნათ მშრომელთა შეგნებაში.

მშვიდობით, ძვირფასო, მშვიდობით, მეგობარო! შენი და შენისთანეების საქმე დაიპყრობს მთელს მსოფლიოს. უკვდავ ბრწყინვალებით მოსილი შენი სახელი სამუდამოდ დარჩება ქვეყნის ყველა ჩაგრულთა ხსოვნაში და გულში.

„პრავდა“

მოსკოვი, 12 ივნისი.

პოლონეთის მთავრობის ნოტა საბჭოთა მთავრობას

ამხ. ლიტვინოვის პასუხი პოლონეთის მთავრობის ნოტაზე

მკვლელი გადაეცემა საგანგებო სასამართლოს

პოლონეთის მთავრობის ნოტა

მოსკოვი, 13 ივნისი. საგარეო საქმეთა კომისარის 7 ივნისის ნოტის საპასუხოდ პატივი მაქვს ჩემი მთავრობის დავალებით განვაცხადო შემდეგი:

პოლონეთის მთავრობას, ღრმად აღელვებულს და აღშფოთებულს მკვლელობით, რომლის მსხვერპლი შეიქნა საბჭოთა კავშირის ელჩი პოლონეთში, ბ. ვოიკოვი, სურს კვლავ მისცეს გამოხატულება გულწრფელი მწუხარების და აღშფოთებისა იმ გრძნობას, რომელიც მასში გამოიწვია ამ მკვლელობის ფაქტმა. თავის ამ გრძნობაში პოლონეთის მთავრობა უერთდება, სიტყვებს გამოთქმულს პოლონეთის რესპუბლიკის ბ. პრეზიდენტის დეპეშაში საბჭოთა კავშირის ცაკის ბ. თავმჯდომარის სახელზე, სიტყვებს, რომლებსაც ბ. საგარეო საქმეთა მინისტრმა შეუერთა თავისი მწუხარების გამოხატულება.

პოლონეთის მთავრობა მით უფრო სწუხს არაპოლონური ეროვნების უგუნური ადამიანის საქციელის გამო, რომ ის სავსებით აძლევს თავის თავს ანგარიშს პოლიტიკური ურთიერთობის თანდათანობითი გაუმჯობესებაში პოლონეთის მთავრობასა და საბჭოთა მთავრობას შორის, რასაც საგრძნობად შეუწყო ხელი მარად დაუვიწყარმა ელჩმა ვოიკოვმა.

ამიტომ პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია აღიაროს კავშირი ბ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ნოტაში მოხსენებულ ამბებს და პოლონეთის ტერიტორიაზე არაპოლონური ეროვნების პიროვნების მიერ პოლონეთის სახელმწიფოს საზიანოდ ჩადენილ მკვლელობას შორის, რაც პოლონეთის მთავრობამ და პოლონეთის საზოგადოებრივმა აზრმა კატეგორიულად დაჰგმეს.

პოლონეთის მთავრობა, ემყარება რა საერთაშორისო ჩვეულებებს, თავშეფარების უფლებას აძლევს სხვადასხვა ეროვნების პოლიტიკურ ემიგრანტებს, მაგრამ იგი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და არ უშვებდა პოლონეთის ტერიტორიაზე რაიმე გეგმაშეწონილ მოღვაწეობას, მიმართულს უცხოეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ამიტომ პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია პასუხიმგებლად ჩასთვალოს თავისი თავი უგუნური კაცის მოქმედებისათვის, რომელიც, როგორც ეს გამოძიების წინასწარი შედეგებიდან ირკვევა, წარმოადგენს ინდივიდუალურ აქტს. პოლონეთის მთავრობა მით უფრო იძულებულია უარჰყოს პასუხისმგებლობა, რომ ის თავის დროზე წინადადებას აძლევდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ესარგებლნა პირადი მცველებით რითაც ელჩმა ვოიკოვმა, სამწუხაროდ, არ ინება სარგებლობა.

ელჩი ვოიკოვი, თავისი სურვილის თანახმად, ყოველთვის თავისუფლად მოგზაურობდა სახელმწიფოში, არ აფრთხილებდა საზოგადოებრივი წესრიგის მცველ ხელისუფლებას, რომელიც, სხვათა შორის, არ იყო გაფრთხილებული, რომ პოლონეთის ტერიტორიით გაივლის საბჭოთა კავშირის ყოფილი რწმუნებული ლონდონში ბ. როზენგოლცი და რომ ელჩ ვოიკოვს განზრახვა აქვს მიესალმოს როზენგოლცს, მთავარ სადგურზე, რამაც, სამწუხაროდ გაადვილა მკვლელის მოქმედება.

ამის გამო, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, პოლონეთის მთავრობას არ შეუძლია თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ვინაიდან ამ აქტს ადგილი ჰქონდა პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე,—პოლონეთის მთავრობა მიილტვის გამოხატულება მისცეს თავის ნამდვილ გრძნობებსა და განზრახვებს, სურს შეამსუბუქოს დანაკლისი რომელიც ეწვია ელჩ ვოიკოვის ოჯახს, და მზად არის სრული კეთილ განწყობილებით განიხილოს საბჭოთა მთავრობის შესაძლებელი სურვილები ვოიკოვის ოჯახისათვის ანაზღაურების მხრივ, თუ რომ ამას იგი მოისურვებდა.

მიიღეთ რწმუნება ჩემდამი ჩემს უმაღლეს პატივისცემაში

სტანისლავ პატეკ

საკავშირო მთავრობის პასუხი

საბჭოთა მთავრობის ნოტა

მოსკოვი, 13 ივნისი. საკავშირო მთავრობა კმაყოფილებით იღებს ცნობას პოლონეთის მთავრობის მხრივ მწუხარების გამოთქმას ვარშავაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის ვოიკოვის მოკვლის გამო.

საკავშირო მთავრობა განსაკუთრებულის კმაყოფილებით იღებს ცნობას აღშფოთების და კატეგორიული გაკიცხვის შესახებ, რომელიც ამ აქტმა გამოიწვია პოლონეთის მთავრობაში და აგრეთვე პოლონეთის საზოგადოებრივ წრეებში.

საკავშირო მთავრობა კმაყოფილებით იღებს აგრეთვე განცხადებას, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის კომპენსაცია მისცეს ვოიკოვის ოჯახს. საბჭოთა მთავრობა ამ განცხადებას აფასებს, როგორც კეთილი სურვილების გამოხატულებას, როგორც აქტს, რომელიც გამომდინარეობს საქმის ვითარებიდან და შეეფერება საერთაშორისო ჩვეულებებს ასეთ შემთხვევებში, მაგრამ მიუხედავათ ამისა საბჭოთა მთავრობა სცნობს შესაძლებლათ ამ წინადადების ფაქტიურად განხორციელებას, რამდენათაც ის თვით საბჭოთა სახელმწიფოს მოვალეობათ თვლის პოსტზე დაღუპულ თავის წარმომადგენელის ოჯახის უზრუნველყოფას.

მაგრამ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს იმ შეფასებას, რომელსაც პოლონეთის მთავრობა აძლევს 7 ივნისის აქტს, და იძულებულია დღეს უფრო მეტად, ვიდრე ჩემი შვიდი ივნისის ნოტის გაგზავნის მომენტში, თავისი წარმომადგენელის მოკვლა ვარშავაში განიხილოს, როგორც ერთ-ერთი გამოხატულება მსოფლიო რეაქციის ბნელი ძალების და მშვიდობიანობის მტრების სისტემატიური, გეგმა შეწონილი ბრძოლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მოვლენებმა, რომლებიც ჩამოთვლილია ჩემს 7 ივნისის ნოტაში, განსაკუთრებით ინგლისის მთავრობის მიერ გეგმა შეწონილად მომზადებულმა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ საბჭოთა კავშირთან, ხელები გაუხსნა ამ ბნელ ძალებს, კერძოდ რუსეთის ემიგრანტების კონტრ-რევოლიუციონურ ტერორისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც, სარგებლობენ რა საერთაშორისო მდგომარეობის გართულებით, ყოველ ღონისძიებას მიმართავენ, რომ ხელი შეუწყონ მებრძოლ იმპერიალიზმს პროვოკაციულად გამოიწვიოს გართულება საბჭოთა კავშირსა და სხვა სახელმწიფოებს შორის და ჩაითრიონ მათი ხალხები სისხლის მღვრელ ომში, იმ უნიადაგო იმედით, რომ ამ გზით ვითომდა შესძლებენ თვითმპყრობელურ იმპერიალისტური რეჟიმის აღდგენას და რევოლიუციის გამო დაკარგულ პრივილეგიების დაბრუნებას.

ამიტომ 7 ივნისის ბოროტმოქმედებას აქვს შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა, ვიდრე განცალკევებულ ინდივიდუალურ აქტს, და თავის თავად წარმოადგენს საფრთხეს მშვიდობიან ნორმალურ ურთიერთობისათვის ორივე სახელმწიფოს შორის, იმ ურთიერთობისათვის, რომლის განმტკიცებაზე და განვითარებაზე სისტემატიურად მუშაობს საკავშირო მთავრობა და კერძოდ მუშაობდა მისი განსვენებული წარმომადგენელი ვარშავაში ვოიკოვი, რასაც სამართლიანად აღნიშნავს პოლონეთის მთავრობა თქვენს 9 ივნისის ნოტაში. საკავშირო მთავრობა მიესალმება იმ გარემოებას, რომ პოლონეთის მთავრობა აღნიშნავს ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების ფაქტს, და თავის მხრივ მისწრაფებას კეთილ მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარებისაკენ თვლის საყოველთაო მშვიდობიანობის არსებითი ფაქტორად, განსაკუთრებით უკანასკნელი დროის იმ გართულებულ საერთაშორისო პირობებში, რომელიც წარმოიშვა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობისა, რომელიც მას არა ერთხელ გამოუჩენია და საქმით დაუმტკიცდა.

მაგრამ საკავშირო მთავრობა მით უფრო მეტის მწუხარებით იძულებულია აღნიშნოს, რომ პოლონეთის მთავრობა დღემდი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა იმ დაბრკოლებას, რომლებსაც ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობის წარმატებით განვითარებისათვის წარმოადგენს მოთმინება, რასაც პოლონეთის ხელისუფლება იჩენს საკავშირო მთავრობის წინააღმდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე მომქმედ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციის მიმართ.

საკავშირო მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს თქვენს განცხადებას, რომ პოლონეთის მთავრობა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და არ უშვებდა პოლონეთის ტერიტორიაზე რაიმე გეგმა შეწონილ მოღვაწეობას, მიმართულს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.. საკავშირო მთავრობის განკარგულებაში მოიპოვება მრავალი მასალა, რომელიც ახასიათებს მოთმინებას, ზოგიერთ შემთხვევებში კი პირდაპირ დახმარებას, რასაც პოლონეთის მთავრობა უწევს ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებიც გეგმა შეწონილად ან გეგმა შეუწონლად ბრძოლას აწარმოებენ საკავშირო მთავრობის წინააღმდეგ ტერორის ან საბჭოთა კავშირზე ბანდიტური თავდასხმების ორგანიზაციის გზით. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი ნებას მისცემს თავის თავს ახლო ხანში წარმოგიდგინოთ თქვენ ზოგიერთი მასალები ამ საკითხზე.

თქვენს ნოტაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის ვარშაველი სრულუფლებიანი წარმომადგენელის ფაქტიური მკვლელი არ არის პოლონური ეროვნების. ამავე დროს გამორკვეულია, რომ მკვლელი არის პოლონეთის მოქალაქე, შვილი ცნობილ კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწის, მიღებული პოლონეთის ქვეშევრდომობაში მას შემდეგ, რაც ის საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა. ამგვარი ელემენტების მიღება პოლონეთის ქვეშევრდომობაში, რაც ეჭვს გარეშეა, უადვილებს მათ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, დამატებითი პასუხისმგებლობას აკისრებს პოლონეთის მთავრობას ამ მუშაობისათვის. სამწუხაროდ, ეს შემთხვევა არ არის ერთად-ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, მაგალითი ცნობილ კონტრრევოლიუციონურ მოღვაწის ბულაკ-ბალახოვიჩის, რომელიც საკავშირო და პოლონეთის მთავრობების წარმომადგენლების 1921 წ. 30 სექტემბრის შეთანხმების თანახმად, არა უგვიანეს იმავე წლის 20 ოქტომბრისა გაძევებული უნდა ყოფილიყო პოლონეთის საზღვრებიდან და რომელიც, მიუხედავათ ამისა, მიღებულ იქნა პოლონეთის ქვეშევრდომათ, დარჩა პოლონეთში, და როგორც არა ერთხელ აღუნიშნავს პოლონეთის პრესას, რამოდენიმეჯერ ოფიციალურად იქნა მიღებული პოლონეთის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების მიერ.

საკავშირო მთავრობა ვერ დაეთანხმება პასუხისმგებლობის უარყოფას მკვლელობისათვის პოლონეთის მთავრობის მხრივ იმ საბაბით, რომ განსვენებულმა ვოიკოვმა უარი სთქვა პირადი მცველებით სარგებლობაზე. იმ პირობებში, როცა პოლონეთის ტერიტორიაზე არსებობენ ისეთი პირები და ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ აქტიურ ბრძოლას საბჭოთა კავშირისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, ამ წარმომადგენლების დაცვა, რასაკვირველია, წარმოადგენს არა საკმაო ღონისძიებას, ღონისძიებას, რომელიც ვერ აღწევს მიზანს. პოლონეთის სათანადო ხელისუფლებას თავისი ყურადღება და ღონისძიებები უნდა მიემართა აღნიშნულ პირთა და დაწესებულებების დანაშაულებრივი მოქმედების აღკვეთისაკენ და მათ მიმართ ფხიზლად თვალყურის დევნებისაკენ, პოლონეთის მთავრობამ დიდი ხანია იცოდა, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციები მიზნად ისახავდნენ საბჭოთა წარმომადგენლის მოკვლას ვარშავაში. თვით პოლონეთის მთავრობამ, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის ბ. ლუკასევიჩის სახით, აცნობა ამის შესახებ საბჭოთა მისიას. 1924 წ.. 2 ნოემბერს, ე. ი. მეორე დღეს, როგორც კი ვოიკოვი ვარშავაში ჩავიდა. უკვე მაშინ საკავშირო მთავრობამ მემორანდუმში, რომელიც მისიის მრჩეველმა ბესედოვსკიმ გადასცა მინისტრის მოადგილეს მორავსკის 1924 წ. ნოემბერში, და ნოტაში· რომელიც საგარეო საქმეთა კომისარიატმა გადასცა პოლონეთის რწმუნებულს მოსკოვში 1924 წ. 4 ნოემბერს, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის ნამდვილი უშიშროებისა და საბჭოთა მისიის მუშაობის უზრუნველყოფა ვარშავაში შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის მთავრობა შეასრულებს რიგის ხელშეკრულების მეხუთე მუხლს და აუკრძალავს შემდეგში პოლონეთის ტერიტორიაზე დარჩენას იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთა მოღვაწეობა მიმართულია საბჭოთა კავშირის და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, პოლონეთის მთავრობამ არ მიიღო შესაფერი ზომები და ამის წყალობით შეიქმნა მდგომარეობა, რომელსაც მოჰყვა უსაშინელესი ბოროტმოქმედება საბჭოთა კავშირის წარმომადგენელის მოკვლა ვარშავაში.

7 ივნისის ბოროტმოქმედებამ ღრმა აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა კავშირის ხალხებში. ორივე სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობის და კეთილმეზობლური ურთიერთობის დაცვის ინტერესები მოითხოვენ ხელის შეშლას იმისათვის, რომ ამ აღშფოთებამ ღრმა კვალი არ დასტოვოს საბჭ. კავშ. ხალხების შეგნებაში. საკავშირო მთავრობას იმედი აქვს, რომ პოლონეთის მთავრობა იმ მშვიდობიან ურთიერთობის განმტკიცებისაკენ მისწრაფების საქმით დამტკიცების მიზნით, რომელზედაც ლაპარაკია თქვენს 9 ივნისის ნოტაში, არ დააყოვნებს დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის ელემენტარულ მოთხოვნილებები, რომლებიც საქმის ვითარებიდან გამომდინარეობენ, და ამით ხელს შეუწყობს იმ არახელსაყრელ გავლენის აღმოფხვრას, რომელსაც ამ ურთიერთობაზე ახდენს 7 ივნისის საშინელი ბოროტმოქმედება.

ამასთან შეფარდებით, საკავშირო მთავრობა, იღებს რა მხედველობაში პოლონეთის მთავრობის მიერ გამოთქმულ მწუხარებას, აღშფოთებას და 7 ივნისის აქტის კატეგორიულად დაგმობას, მოელის:

1) რომ პოლონეთის მთავრობა მიიღებს ყველა აუცილებელ ზომებს საქმის ყოველმხრივ გამოსაძიებლად, ყველა დამნაშავეთა აღმოსაჩენად და ბოროტმოქმედების ყველა ძაფების გამოსარკვევად, აგრეთვე დამნაშავეთა,—კერძოთ ფიზიკური მკვლელის სასწრაფოდ და სასტიკად დასასჯელათ;

2) რომ პოლონეთის მთავრობა, თანახმად საბჭოთა კავშირის ვარშაველი დროებითი რწმუნებულის ულიანოვის წინასწარი მოლაპარაკებისა პოლონეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, ულიანოვს ან საკავშირო მთავრობის სხვა რწმუნებულს მისცემს საშუალებას მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში ამ პროცესთან დაკავშირებით;

3) რომ, პოლონეთის მთავრობა, ბოლოს და ბოლოს მიიღებს ენერგიულ ზომებს, რომ ბოლო მოუღოს პოლონეთის ტერორისტული და ბანდიტური ორგანიზაციების მოქმედებას, მიმართულს საბჭოთა კავშირისა და მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ და პოლონეთის რესპუბლიკის საზღვრებიდან გააძევებს იმ პირებს, რომლებიც ასეთ მოღვაწეობას ეწევიან. საკავშირო მთავრობა პოლონეთის მთავრობისაგან მოელის შესაფერ დაუყოვნებლივ ცნობას.

საკავშირო მთავრობა ფიქრობს, რომ არსებულ პირობებში, ვარშავაში მომხდარ ტრაღიკული შედეგების აღმოფხვრა შეიძლება არა ფორმალური ხასიათის განცხადების საშუალებით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთის მთავრობა მიიღებს შესაფერ ღონისძიებებს თეთრ—ბანდიტურ ტერორისტულ ორგანიზაციების მიმართ. ხელმძღვანელობს რა ამ წინაპირობით, საკავშირო მთავრობა იძულებულია მოითხოვოს ზემოთ-აღნიშნულ ელემენტარულ მოთხოვნილებათა შესრულება.

მიიღეთ რწმუნება ჩემს თქვენდამი [illegible]ულ პატივისცემაში ლიტვინოვი.

11 ივნისი 1927 წ.

ლოიდ-ჯორჯი განხეთქილების შესახებ

ლონდონი, 12 ივნისი. ლოიდ-ჯორჯი გამოვიდა ლონდონში სიტყვით ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ.

„მთავრობამ წინდაუხედავათ შესწყვიტა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობა, მაშინ როდესაც ამ ვაჭრობის ტრიალი უდრიდა რამოდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგს წელიწადში და ამავე დროს კი ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები არ არიან საკმაოთ უზრუნველყოფილნი შეკვეთებით.

მთავრობას შეეძლო სხვა საშუალებებითაც გამოეთქვა უკმაყოფილება საბჭოთა მთავრობის მოქმედებით და არ შეეწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს უაზრო ნაბიჯი იწვევს მთელ რიგ გაუგებრობებს ცენტრალურ ევროპაში“.

— ინგლისის პოლიტიკის გამარჯვება ჩინეთში,—განაცხადა შემდეგ ლოიდ-ჯორჯმა,—ჯერ კიდევ შორსაა. ჩემის შეხედულებით მთავრობის პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ეფლობა ჩინეთის ამბების ტბაში და არ არის არც ერთი ნიშანი, რომ იგი ამ ტბას, თუნდაც ოდესმე, დააღწევს თავს. (ადს).

პოლონეთის სესხი და დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან

ბერლინი, 12 ივნისი. „ბერლინელ ტაგებლატის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით შეერთებული შტატების მიერ პოლონეთისათვის სესხის მიცემა გადადებულია განუსაზღვრელი დროისათვის, პოლონეთ-საბჭოთა კავშირს შორის შექმნილი კრიზისის გამო.

ნიუ-იორკის საბანკო წრეების აზრით არ შეიძლება ამ მხრივ რაიმე გარკვეული ნაბიჯის გადადგმა, სანამ არ გამოირკვევა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება.

მიუხედავათ იმისა, თუ რა მიმართულებას მიიღებენ ამბები, პოლონური ობლიგაციების გამოშვებისათვის ამერიკის ბაზარზე მაინც არაა ხელისშემწყობი პირობები. (ადს).

ამხ. ვოიკოვის მოკვლის შემდეგ

პოლონეთის კომპარტიის ხმა

ბერლინი, 12 ივნისი. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის კომპარტიის ცეკამ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის კომუნისტური პარტიების თანამდებობითი პირების ვარშავაში გამართულმა თათბირმა აღიარა, რომ ვოიკოვის საზიზღარი მკვლელობა წარმოადგენს პილსუდსკის ფაშისტური დიქტატურის ახალ პროვოკაციულ აქტს, იმ პილსუდსკის, რომელიც, წარმოადგენს რა ინგლისის იარაღს, ამზადებს ახალ იმპერიალისტურ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კრებამ დაადგინა პარტიის მთელი მუშაობა მიმართოს მშრომელთა მასების დარაზმვისაკენ ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. პოლონეთის პროლეტარიატი მთელი თავისი ძალით დაიცავს საბჭოთა კავშირს — ამ მსოფლიო რევოლიუციის ციხე-სიმაგრეს“ (ადს).

საგანგებო სასამართლო

ვარშავა, 12 ივნისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დასრულდა გამოძიება ელჩ ვოიკოვის მოკვლის საქმეზე მკვლელი წარსდგება საგანგებო სასამართლოს წინაშე, ამასთან საქმე განხილული იქნება მარტივად წესით. მკვლელს მოელის სიკვდილით დასჯა (ადს).

გერმანიის კომპარტიის ხმა

ბერლინი, 12 ივნისი. კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“ სწერს:

„კითხვაზე—აქვს თუ არა უფლება საბჭოთა კავშირს იხმაროს რევოლიუციური ტერორის იარაღი თავისი შეურიგებელი მტრების წინააღმდეგ, —პასუხს აძლევენ უკანასკნელი თვეების ამბები შანხაისა, პეკინსა, ლონდონსა, ვარშავასა და ლენინგრადში“.

საბჭოთა კავშირის მუშებს „როტე ფანე“ მიმართავს შემდეგი შინაარსის მოწოდებით:

„რუსო ძმებო, დაიცავით თავი ყველა საშუალებებით. თქვენთან არიან იმ ქვეყნების მუშები, სადაც კონტრ-რევოლიუცია ბატონობს. ამ მუშებს ესმით, რომ თქვენ, იცავთ რა რუსეთის რევოლიუციას, ამითვე იცავთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს. თქვენი რკინის ხელი, მიმართული კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, არის ამავე დროს ჩვენი გამარჯვების ნამდვილი საწინდარი. იბრძოლეთ, რუსო ძმებო, კონტრ-რევოლიუციის სრულ დამარცხებამდე. იბრძოლეთ ყველა საშუალებებით, აწარმოეთ ერთად-ერთი მსოფლიო ისტორიაში სამართლიანი ომი—ექსპლოატაციის ქვეშ მყოფთა ომი ექსპლოატატორების წინააღმდეგ“ (ადს).

„არაპირდაპირი შედეგი“.

ვარშავა, 12 ივნისი. პილსუდსკის ორგა[illegible] [illegible]ს პრავდი“ იუწყება, რომ ვოიკ[illegible]სთან დაკავშირებით ვი[illegible]ლმა გამოძიებამ არა[illegible] ვით[illegible]რ გამოიღო (ადს).

ამხ. ვოიკოვის დაკრძალვა

ნეშტის ჩამოსვენება

მატარებლის მოსვლა

მოსკოვი, 13 ივნისი. 11 ივნისის შუადღიდანვე აუარებელი ხალხი ტვერის ქუჩით გაემართა ბელორუსია-ბალტიის სადგურისაკენ ამხ. ვოიკოვის ნეშტის შესახვედრათ. ნაშუადღევის 3 საათზე სადგურზე მივიდნენ გაერთ. სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოს სატრანსპორტო სკოლის კურსანტები.

სადგურის ბაქანზე არიან განსვენებულის ოჯახის წევრნი, მთავრობის და პარტიის წევრნი, კომინტერნის უცხოეთის სექციების და საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელნი.

მატარებლის მოსვლამდე სადგურის ბაქანზე შეიკრიბა მოსკოვის დიპლომატიური კორპუსი მთელი შემადგენლობით. იაპონიის ელჩი ტანაკა მოვიდა გვირგვინით დიპლომატიური კორპუსიდან, პოლონეთის მთავრობის ელჩი პატეკი ცოცხალი ყვავილების გვირგვინით პოლონეთის საელჩოსაგან.

4 ნახ. საათზე მატარებელი მოუახლოვდა ბაქანს, სადაც იდგენ საპატიო მცველები. მუსიკა უკრავდა სამგლოვიარო მარშს. კურსანტებმა ვაგონიდან გამოიტანეს 70 გვირგვინი. ბევრი იყო გვირგვინები ვარშავის ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან.

ნეშტის გადატანა

კუბო ვაგონიდან ხელით გამოაქვთ მთავრობის კომისიის წევრებს და გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელს—ამხ. ლიტვინოვს, კარახანს, როზენგოლცს, არალოვს, განეცკის და სხ. ორკესტრი განუწყვეტლივ უკრავს სამგლოვიარო მარშს. მთავრობის წევრებს, ამხ. ვოიკოვის ნათესავებს და მეგობრებს კუბო ხელით გააქვთ აივანზე. სდგას კურსანტების და წითელარმიელთა საპატიო მცველთა რამოდენიმე რიგი.

კუბოს ამხ. ვოიკოვის ნეშტით სდებენ ზარბაზნის ლაფეტზე და სამგლოვიარო პროცესია ნელნელა მიიმართება ტვერის ქუჩისაკენ. კუბოს უკან მიჰყვება ამხ. ვოიკოვის ცოლი და ნათესავები, მთავრობის წევრები და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

წითელ მოედანზე

6 ნახ. საათზე პროცესია მივიდა წითელ მოედანზე; მოედანი გავსებულია ხალხით, რომელიც რამდენიმე საათით ადრე შეიკრიბა ამხ. ვოიკოვის ნეშტის შესახვედრათ. კუბოს ამხ. ვოიკოვის ნეშტით იღებენ ლაფეტიდან და დგამენ ლენინის აკლდამის პირდაპირ შავი და წითელი მატერიით მორთულ პოსტამენტზე.

ტრიბუნაზე ადიან: ამხ. რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ლიტვინოვი, მელნიჩანსკი და სხ.

ამხ. რიკოვის სიტყვა

„დღეს ჩვენ ვმარხავთ ჩვენი სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენელს, კომუნისტურ პარტიის წევრს ამხ. ვოიკოვს, რომელიც მონარქისტის ხელით იქნა განგმირული ვარშავაში. არა მარტო საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა ყურადღება უკანასკნელ დღეებში მიპყრობილია ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ამბებისადმი. ამგვარი ამბები მეტად იშვიათად ხდება და მოწმობენ მწვავე კრიზისის მომწიფებას საერთაშორისო ურთიერთობის დარგში.

ჩვენი კავშირის ელჩის მოკვლა წარმოადგენს უშუალო თავდასხმას ჩვენს სახელმწიფოზე, აშკარა თავდასხმას საკავშირო მთავრობაზე, მშვიდობიანობის პოლიტიკაზე, მშვიდობიან შრომაზე და სოციალიზმის აღმშენებლობაზე.

საკავშირო მთავრობამ თავის ნოტაში აღნიშნა, რომ კავშირი არსებობს ვარშავაში მომხდარ ამბებისა და დიდ ბრიტანეთის მიერ ჩვენს სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის შორის; აგრეთვე კავშირი არსებობს ამ მოვლენასა და იმ პოლიტიკას შორის, რომელსაც ინგლისის კონსერვატიული მთავრობა აწარმოებს კავშირის მიმართ. შეგნებულად გამოწვეულმა ურთიერთობის შეწყვეტამ შექმნა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ იმგვარ თავდასხმებს, როგორიც ადგილი ჰქონდა ვარშავაში და ლენინგრადში. კიდევ მეტი, მთელ რიგ შეურყეველ საბუთებით დამტკიცებულია, რომ საზღვარ-გარეთის მონარქისტული ორგანიზაციები ასეთი თავდასხმებისა და პროვოკაციისათვის მნიშვნელოვან დახმარებას იღებენ უცხოეთის მთავრობებისაგან. საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არის პირდაპირი დამტკიცება იმისა, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ფინანსებს აწვდის თეთრგვარდიელთა მონარქისტულ ორგანიზაციებს და სცდილობს ამგვარი ტერორის მეთოდებით ზიანი მიაყენოს ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენს მშვიდობიან პოლიტიკას.

ასეთივე თეთრგვარდიელთა ორგანიზაციები არსებობენ აგრეთვე პოლონეთის ტერიტორიაზე.

პროვოკაციის ყველა ეს ავანტიურისტული ცდები არიან უცხო, გარეშე მოვლენანი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში; მათ არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ რაიმე ფესვები ჩვენს ქვეყანაში. იმ თავდასხმათა სულის ჩამდგმელნი, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დღეებში, სცდილობენ აღადგინონ მონარქია, აღადგინონ მემამულეთა და თავადაზნაურთა ბატონობა, კაპიტალისტური საკუთრება და კაპიტალისტური ჩაგვრა ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე.

ჩვენი კავშირის მოსახლე ერებისა, ჩვენი სახელმწიფოს მუშებისა და გლეხებისათვის ყველაზე უფრო უსაშინელეს და საზიზღარ აზრს წარმოადგენს დაბრუნება ცარიზმის, მემამულეთა და კაპიტალისტების რეჟიმისაკენ. მთელი საბჭოთა ქვეყანა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ამგვარ ცდებს, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს ცდები, უპასუხებს კიდევ უფრო მეტის ძალით, მეტის ძლიერებით, ვიდრე იმ პერიოდში, როცა ჩვენი კავშირის მუშები და გლეხები მიდიოდენ ბარიკადებზე და ინტერვენციის დღეებში იბრძოდენ რევოლიუციის ფრონტებზე.

ამხ. ვოიკოვის მკვლელობა და მთელი რიგი სხვა მოვლენებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დღეებში, ხდება ჩვენი სახელმწიფოს განვითარების სწორედ იმ მომენტში, როცა ახალი ცხოვრების მშენებლობამ, როცა მშვიდობიანი შრომის მიღწევებმა, როცა მუშათა და გლეხთა მასების შეკავშირებამ, ხალხის კულტურულმა წარმატებამ და რევოლიუციონურმა შეგნებამ მიაღწია უდიდეს სიმაღლეს ყველა წარსული წლების განმავლობაში ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. სწორედ ეს წარმოებანი ჰქმნიან მოსყიდულ ავანტიურისტების განწირულ ცდებს, რომ შეაჩერონ ჩვენი კავშირის მშენებლობა.

ჩვენ იძულებული გავხდით ამ პროვოკაციაზე გვეპასუხნა მტკიცე და გადამჭრელი ზომებით. ის გამოხმაურება, რომელიც ამხ. ვოიკოვის მოკვლამ ჰპოვა ჩვენს სახელმწიფოში, აღშფოთების ტალღა, მუშათა და გლეხთა მასების განსაკუთრებული სიმტკიცე და დარაზმულობა, მრისხანება, რომლითაც ჩვენი მშრომელი მასები გამოხატავენ შეურყეველ ნებისყოფას, სურვილს როგორც ჩვენი სახელმწიფოს და მისი საზღვრების დაცვისა, ისე მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფისათვის,—არის მტკიცე, რკინის გარანტია იმისა, რომ სოციალიზმის მშენებლობის საქმე, ოქტომბრის რევოლიუციის საქმე მრავალმილიონიანი ხალხის მაგარ ხელშია.

ჩვენი კავშირის მთავრობის სახელით თავს ვიხრი ხალხის საქმისა, სოციალიზმის მშენებლობისა, კაცობრიობის ჩაგვრისა და გაჭირვებისაგან განთავისუფლებისათვის ერთ-ერთი მებრძოლის ნეშტის წინაშე. მთავრობის სახელით განსვენებული ვოიკოვის კუბოს წინაშე ვაცხადებ, რომ ჩვენ არა მარტო მივიღებთ ზომებს ხალხის მიერ წამოყენებული მუშაკების სიცოცხლის დასაცავად, არამედ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს სახელმწიფოს თავდაცვის უზრუნველყოფისათვის.

ჩვენი კავშირის მოსახლე ასეული მილიონები, დაცემული მებრძოლის მაგივრად წამოაყენებენ მრავალ ასეულს და ათასეულს ახალ მებრძოლთ და გამარჯვებით დაამთავრებენ ოქტომბრის რევოლიუციის საქმეს.

ამხ. ბუხარინის სიტყვა

ამხ. ბუხარინმა სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით; მან განაცხადა:

„ის ფაქტი, რომ ტყვიას ესვრიან ჩვენ პარტიულ მუშაკებს, ჩვენ სახელმწიფო მუშაკებს, პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ ისინი ესვრიან კომუნიზმის აღმშენებლობას, ესვრიან იმ საქმეს, რომელიც თავის განვითარებისა და ძლევამოსილ მსვლელობაში ბოლოს და ბოლოს გაანადგურებს ძალადობის, დამონების და ჩაგვრის ძველ დაწყევლილ ქვეყანას, მიწისაგან აღგვის ბურჟუაზიას და მუშათა კლასის ბატონობით დაამყარებს თავისუფალი შრომის სამეფოს. ამ იდეის განხორციელების, ყველაზე უფრო კეთილშობილი, ყველაზე უფრო უმაღლესი იდეის, რომელიც კი წამოუყენებია როდისმე კაცობრიობას, ამ დიადი საქმის წინააღმდეგ ისვრიან ტყვიას ჩვენი მტრები და ამ საქმისათვის დაიღუპა ამხ. ვოიკოვი—ჩვენი პროლეტარული კომუნისტური არმიის ჯარისკაცი. ეს არმია სხვადასხვა ფრონტებზე სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვაგვარ დაუღალავად და სისტემატიურად უნდა ატარებდეს თავის ხაზს, დაუღალავად და სისტემატიურად უნდა იბრძოდეს თავისი დიადი საქმისათვის. დიდი კომუნისტური არმია მუშაობდა ჩვენს ქვეყანაში იმისათვის, რომ აეგო სოციალიზმის დიადი შენობა.

უკანასკნელ წლებში ჩვენ გვქონდა შესვენება და მთელი შეუჩერებლობითი უნარი, ჩვენი მშრომელი კლასების, მუშათა კლასის და მისი ხელმძღვანელებით გლეხობის აზრი მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის საქმისაკენ და აი, ეხლა, ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის დიქტატურის 10 წლის არსებობის თავზე კვლავ იწყება მსოფლიო ისტორიის ბორბლის შემობრუნება: ეხლა სავსებით ნათელია ყველასათვის, რომ ჩვენ შევდივართ ახალ პერიოდში, როცა ჩვენ, საერთაშორისო რევოლიუციის მუშაკებს მოგვიხდება ჩვენი პროლეტარული არმიის რიგების, საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდის რიგების იმგვარად დაწყობა, რომ ერთის მხრივ გაძლიერებული ენერგიით განვაგრძოთ მშვიდობიანი მშენებლობის საქმე და მეორეს მხრით ჩვენი რიგები დავრაზმოთ დიდი ბრძოლებისათვის, რომლებსაც აუცილებლად მოგვახვევს თავზე ისტორიული ამბების მსვლელობა.

დიდი, ძლიერი რევოლიუცია ჩინეთში, მისი გამოძახილი კოლონიალურ ქვეყნებში, კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობანი დასავლეთში, რომელიც უფრო და უფრო რთულდება განთავისუფლების გზაზე შემდგარი აზიის ხალხების ბრძოლის მიმდინარეობით, — ყოველივე ეს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აიძულებს დაიწყოს გამაფრთხილებელი ომი ჩვენს წინააღმდეგ, დაიწყოს გამაფრთხილებელი გალაშქრება თავისი ბატონობის, თავისი მოგების, თავისი სახელმწიფო ძალაუფლების დასაცავად, დაიწყოს გალაშქრება საერთაშორისო რევოლიუციის ცენტრების წინააღმდეგ, მთავარი ძალის — მუშათა კლასის, დიადი კლასის წინააღმდეგ, რომელმაც უნდა დაანგრიოს ძველი სამყარო.

აი, ეხლა ამხანაგები, ალბად ყველამ იცით და გრძნობთ, თუ როგორ უახლოვდებით კვლავ ამ ისტორიულ ზღვას. ბურჟუაზია პირველი ისვრის და არ იქნება საკვირველი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იგი დიდი ხმაურობით უცებ გამოგზავნის ჩვენს წინააღმდეგ აუარებელ ჯარებს. შეიძლება მან ეს უცებ არ მოახდინოს და მთელი პერიოდის განმავლობაში გაძლიერებული ენერგიით გააშწვავოს თავისი პარტიზანული ომი ჩვენს წინააღმდეგ. ამ პარტიზანული ომის პირველი წინამორბედები არიან ის არამზადები, რომლებმაც ყუმბარა ესროლეს ჩვენს კულტურულ მუშაკებს ლენინგრადში, რომელნიც სწვავენ ჩვენს ქარხნებს და სასიკვდილო ტყვიით მუხანათურად მოჰკლეს ამხ. ვოიკოვი. ალბათ ეს პარტიზანული ომი ჩვენს წინააღმდეგ გაძლიერდება, სანამ იგი არ გადაიქცევა მთელ ფრონტზე შეტევით. მაგრამ ასეთია ისტორია, ასეთია ჩვენი ბედი, ასეთია მომავალი ისტორია. მაგრამ ტყუილად კი არ დაგვიპყრია ძალაუფლება და მუშათა კლასი უმსხვერპლოდ ვერ გახდება ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს ბატონ-პატრონი. ეს მხოლოდ პირველი მსხვერპლია სისხლისმღვრელ ბრძოლაში, რომელიც უკვე იწყება. ჩვენი პარტია ბოლომდე იბრძოლებს მშვიდობიანობის საქმისათვის. ჩვენი პარტია ბოლომდე დაიცავს მშვიდობიან ურთიერთობას. მაგრამ დიად ისტორიულ ბრძოლაში საკითხს სწყვეტს არა მარტო ის კლასი, რომელსაც თავს ესხმიან, არამედ ის კლასიც, რომელიც თავს ესხმის, არა მარტო ის არმია, რომელსაც თავს ესხმიან, არამედ სწყვეტს კიდევ ვიღაც, ამ შემთხვევაში ჩვენი მოწინააღმდეგე. საერთაშორისო ბურჟუაზია და პირველ რიგში ინგლისის ბურჟუაზია. იგი ამზადებს ამ გალაშქრებას და მისმა აგენტებმა უკვე დაიწყეს სროლა: ჩვენი სამღთო მოვალეობაა, მოვამზადოთ მშრომელთა ძალები, მობილიზაცია მოუხდინოთ მშრომელთა ძალებს იმათ შიგნით, რომელნიც ბოლოს ააფეთქებენ მათ შიგნიდან, როცა ისინი გაბედავენ მახვილის აღმართვას მუშათა კლასისა და მთელი მსოფლიო სამშობლოს წინააღმდეგ.

ამხ. ვოიკოვი

ჩვენი პარტია შეეჩვია მსხვერპლის გაღებას. ჩვენმა პარტიამ სამოქალაქო ომის დღიდან დაჰკარგა რამოდენიმე ათასი საუკეთესო შვილები და მიუხედავად ამისა, იგი იზრდება და კვლავ გაიზრდება. დეე, იფიქრონ მათ, რომ შესძლებენ ჩვენი რიგების დაშლას მუხანათურად გამოსროლილი ტყვიებით. მათ შეუძლიათ ერთი, ათი, ასი, ათასი მებრძოლის მოკვლა, მაგრამ მუშათა კლასს და მის მოკავშირეს თავის განკარგულებაში ჰყავს მრავალი ათასი, აუარებელი ძალა, ბევრი მტკიცე მებრძოლი. ჩვენი არმია არის კაცობრიობის უმრავლესობა და ეს კაცობრიობის უმრავლესობა ეხლა ამოძრავდა. ჩვენ ყველა მტრებს უცხადებთ, რომ ჩვენ ვამაყობთ იმ როლით, იმ დიადი საერთაშორისო როლით, რომელიც აქვს ჩვენს პარტიას; დაღუპული ამხანაგის კუბოს წინაშე ჩვენ ყველა მტრებს უცხადებთ, რომ არც ერთი წუთით, არც ერთი წამით ჩვენი პარტია არ გადაუხვევს იმ ამოცანებს, რომელნიც მან დააწერა თავის დროშაზე; მან თავის დროშაზე დააწერა დიადი ლოზუნგი, დიადი პაროლი—საერთაშორისო სოციალური რევოლიუცია, პაროლი მებრძოლი კომუნიზმისა, რომელიც იბრძოლებს მანამ, სანამ მთელ დედამიწაზე არ დაამყარებს თავისუფალ შრომას. ამხანაგის კუბოსთან მე სიტყვას ვათავებ ასეთი ლოზუნგებით:

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას და საერთაშორისო მუშათა კლასს! გაუმარჯოს ამ კლასის გამარჯვებას! გაუმარჯოს ჩვენს საქმეს, რომელმაც მსოფლიო უნდა დაიპყროს!

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით ილაპარაკა ამხ. ლიტვინოვმა.

„საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი,—სთქვა ამხ. ლიტვინოვმა,—უკვე მესამე მსხვერპლს ასაფლავებს: სამი წლის წინად დაასაფლავა ვოროვსკი, მის შემდეგ—ნეტტე, დღეს კი ასაფლავებს ვოიკოვს. ყველა ესენი იმსხვერპლა ბრძოლამ მშვიდობიანობისათვის, ბრძოლამ, რომლის წარმოებაც უხდებათ საბჭოთა მთავრობას და მის დიპლომატებს უმაგალითო მოთმინებითა და ძალთა დაჭიმვით. მშვიდობიანობისათვის მებრძოლი საბჭოთა დიპლომატია იძულებულია იმუშაოს მტრულ პირობებში, მოიგერიოს მოწინააღმდეგე დიპლომატიის ჩვეულებრივი თავდასხმები, განიხილოს მისი ხრიკები და ინტრიგები და გააცნოს ბანდიტების, ჯაშუშების, სეიფების, გამძარცველების და ზურგიდან თავდამსხმელ მკვლელების ბოროტმოქმედულ ხერხებს.

ვეთხოვებით რა ამხ. ვოიკოვს, ჩვენ შეგვიძლია ვანუგეშოთ ის, რომ მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის დაცვის საქმე, რომელსაც შესწირა მან თავისი სიცოცხლე, გაგრძელებული იქნება ისეთივე სიმტკიცით და ერთგულობით, როგორის მაგალითიც მოგვცა ამხ. ვოიკოვმა“.

ამხ. მელნიჩანსკის სიტყვა

საკავშირო პროფსაბჭოს სახელით გამოვიდა ამხ. მელნიჩანსკი.

„პროფკავშირების ათეული მილიონი წევრები, რომლებიც მუშაობენ კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით,—სთქვა ამხ. მელნიჩანსკიმ,—განაგრძობენ თავის საქმეს. კუთხიდან გამოსროლილი ტყვიით, დაქირავებულ მკვლელების თავდასხმებით, ბურჟუაზია ვერ მოახერხებს არევ-დარევის შეტანას საბჭოთა კავშირის დარაზმული მუშათა კლასის რიგებში.

საერთაშორისო ბურჟუაზიის დაქირავებულ მკვლელების გამოსვლას პროფკავშირების წევრები უპასუხებენ თავისი რიგების უფრო მეტი შემჭიდროვებით კომპარტიის გარშემო და უფრო მეტი ენერგიით განაგრძობენ იმ საქმეს, რომელიც დავიწყეთ ჩვენ ოქტომბერში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით“.

დაკრძალვა

სიტყვების შემდეგ ამხ. რიკოვს, ლიტვინოვს, სტომონიაკოვს და სხ. ხელით მიაქვთ კუბო კრემლის კედლის გასწვრივ. კუბოს მიჰყვებიან განსვენებულის თანამოსამსახურენი, მისი ნათესავები და ახლობლები.

7 საათს და 45 წ. კუბო ჩაასვენეს საფლავში. საფლავზე დახრილ იქნა დროშები. გაისმა ზარბაზნების სალიუტი.

ამის შემდეგ დაიწყო მუშათა დელეგაციებისა და სამხედრო ნაწილების აღლუმი. საღამომდე მოსკოვის მუშები, მუშა-ქალები, მოსწავლეები და წითელარმიელები იხდიდენ უკანასკნელ ვალს განსვენებულის საფლავის წინაშე.

ამხ. ვოიკოვი დასაფლავებულია ნოგინისა და ლიხაჩევის გვერდით (ადს).

ინგლისის პროვოკაცია

სადისკუსიო კლუბში აფეთქების გამო.

ლენინგრადი, 13 ივნისი. აფეთქება, რომელიც უცნობმა ბოროტგანმზრახველებმა მოაწყეს ლენინგრადის სადისკუსიო კლუბში, მოხდა 7 ივნისს, საღამოს 10 საათზე. ბოროტგანმზრახველთა მიერ გადასროლილი ორი ყუმბარიდან გასკდა მხოლოდ ერთი. ბოროტმოქმედმა ეს ყუმბარა გადაისროლა პრეზიდიუმის მაგიდისაკენ, რომელთანაც იჯდა ამხ. პოზერნი. ამხ. პოზერნი დაიჭრა ფეხში და დაუზიანდა თავის ქალას კანი.

ეხლა გამოირკვა, რომ ბოროტმოქმედს კიდევ ჰქონდა მესამე ყუმბარა; იგი აფეთქების შემდეგ იქნა აღმოჩენილი პორტფელში, რომელიც გადააგდო ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა. ყუმბარას დიდი ამაფეთქებელი ძალა აქვს. ყუმბარები საზღვარგარედ არის დამზადებული. ყუმბარის წონა უდრის 8 გირვანქას. პორტფელიც, რომელშიაც ნახულ იქნა ყუმბარა, საზღვარგარედ არის დამზადებული; პორტფელს აზის ინგლისური დაღი. ბოროტმოქმედების ადგილას ბოროტგანმზრახველებმა დასტოვეს მოსასხამი, რომელიც აგრეთვე უცხოეთშია შეკერილი. ბოროტმოქმედთა რიცხვი, მნახველების თქმით, 4—6 კაცს უდრის (ადს).

ჯაშუშის საქმის გარჩევა.

ლენინგრადი, 13 ივნისი. 15 ივნისს კრონშტადტში დაიწყება ყოფილი კომანდირის კლეპნიკოვის და მისი ცოლის საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალი ედებათ ჯაშუშობაში ინგლისის სასარგებლოდ (ადს).

მუკდენის არმიის განადგურება

სამხედრო - პოლიტიკური კონფერენცია

ხანკოუ, 12 ივნისი. 8 ივნისს ჩენჩჟოუში ჩამოვიდა ნაციონალური მთავრობის (უხანის) გომინდანის პოლიტბიუროს დელეგაცია სამხედრო—პოლიტიკურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ. 9 ივნისს ჩენ-ჩჟოუში ჩამოვიდა ფინ-იუი-სიანი. იმავე დღეს ფინ-იუი-სიანისა და დელეგაციის წევრების დასწრებით შესდგა თათბირი.

11 ივნისს კონფერენცია დასრულდა და უხანის მთავრობის გომინდანის პოლიტ-ბიუროს დელეგაციის წევრები გაემგზავრენ უკანვე უხანში.

კონფერენციის შედეგები არ ქვეყნდება. სხვა დადგენილებათა შორის, კონფერენციამ გადასწყვიტა დანიშნოს მთავრობის კომისიები ხენანში, შენ-სიში და განსუში. (ადს).

იან-სენის-დამარცხება

ხანკოუ, 12 ივნისი. დასავლეთის ფრონტზე უხანის მთავრობის ჯარებმა საბოლოოთ დაამარცხა გენერალ იახსენის არმია.

უხანის ჯარებმა დაიკავეს იო-ცზიაგოუ. იან-სენის რჩეული ჯარები განადგურებულია და იხევენ უკან ყველა მიმართულებით. (ადს).

ახალიმ ძალები.

შანხაი, 12 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, შეერთებული შტატების საზღვაო ფეხოსანი ჯარის ერთი რაზმი, 1500 კაცის შემადგენლობით, გაიგზავნა მანილიდან შანხაიში. რაზმთან ერთად იგზავნება 50 საბარგო ავტომობილი, 25 ტანკი და ავიოასეული (ადს).

უხანის არმიის ოპერაციები.

ხანკოუ, 12 ივნისი. უხანის არმიის ოპერაციები ვითარდება შემდეგნაირად: დასავლეთის ფრონტზე ნაციონალურ-რევოლიუციონური არმიის ნაწილებმა 6—9 ივნისამდე წარმოებულ ბრძოლების დროს მდინარე ხანის ჩრდილო ნაპირზე გაანადგურეს იან-სენის ჯარების სამი დივიზია. უკუქცეული მოწინააღმდეგის დევნის დროს უხანის ჯარებმა აიღეს ცზიან-ცზიანი და მენ-იანი. ნაციონალურ-რევოლიუციონური არმიის ნაწილები განაგრძობენ შეტევას.

ნანიანის მიმართულებით უხანის ჯარები მიუახლოვდნენ ცზიან-სიანს. უ-პეიფუს ნაწილები უკან იხევენ.

ჩრდილოეთის მიმართულებით უხანის მთავრობის ჯარები, ხენანის პროვინციაში მუკდენელების დამარცხების შემდეგ, ნაწილობრივ ბრუნდებიან უხანში, სადაც უკვე ჩავიდა ერთი დივიზია (ადს).

იან-სენის არმიის განადგურება.

ხანკოუ, 12 ივნისი. უხანის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს სიჩუანელი გენერალი იან-სენი, რომელიც ხანკოუსაკენ მიიწევდა. იან-სენის ჯარები იხევენ მდინარე იან-ცზის სათავისაკენ სი-ჩუანის პროვინციაში (ადს).

ერთი დღის მარხვა

ხანკოუ, 12 ივნისი. ხანკოუს სტუდენტებმა გამოაცხადეს ერთი დღის მარხვა, იმ მიზნით, რომ ის ფული, რომელიც იხარჯება ერთი დღის კვებაზე, გადაეცეს ხენანის ფრონტზე დაჭრილ უხანელ ჯარისკაცების დამხმარე ფონდს. (ადს)

აჯანყება ციციკარში.

პეკინი, 12 ივნისი. დაირენის იაპონური გაზეთები იუწყებიან, რომ 2 ივნისს ციციკარის ჯარები აჯანყდენ ანგოცზიუნის წინააღმდეგ. ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს დამორჩილებოდენ ბრძანებას ფრონტზე გასვლის შესახებ.

იგივე გაზეთები ამტკიცებენ, რომ საგარეო საქმეთა კომისარმა ცაომ გასცა განკარგულება, რათა სასტიკი თვალყური ადევნონ „წითლების“ მოქმედებას მუკდენის უცხოელთა უბანში და მუკდენიდან გაძევებულ იქნან „ყველა საეჭვო პირები“ (ადს).

პეკინიდან მიდიან.

პეკინი, 12 ივნისი. გაზეთები იუწყებიან, რომ შესდგა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა ჩან-ძო-ლინის საავტომობილო პარკის უმეტესი ნაწილის გადაყვანა მუკდენში (ადს).

ბრწყინვალე ატესტაცია.

შანხაი, 12 ივნისი. შანხაის საერთაშორისო უბნის მუნიციპალურმა საბჭომ განაცხადა, რომ ის მოხსნის ბარიკადებს ჩინელთა ტერიტორიასთან მოსაზღვრე ადგილებში, „ვინაიდან ჩინეთის სამხედრო ხელისუფალნი ბრწყინვალე დახმარებას უწევენ უცხოელთა პოლიციას ბრძოლაში მუშათა ლიდერებისა, კომუნისტებისა და რევოლიუციონერების წინააღმდეგ“ (ადს).

მუკდენელები გარბიან.

პეკინი, 12 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ ყვითელ მდინარის ჩრდილოეთით დაბანაკებულმა მუკდენელთა ნაწილებმა დაიწყეს უკან დახევა.

სააგენტოს ცნობით, ხინ-სიანის რაიონში მყოფი მუკდენელების მთავარი ნაწილები იხევენ ბაო-დინ-ფუს რაიონისაკენ პეკინ-ხანკოუს რკინის გზის ხაზით, 180 კილომეტრის მანძილზე პეკინისაგან სამხრეთ-დასავლეთით. ამასთან დაკავშირებით შანდუნის ჯარებმაც დაიწყეს დახევა ტე-ჩჟოუსა და ჩან-ჩჟოუს ხაზით (ადს).

ამხ. ჩიჩერინი ბერლინში

ბერლინი, 12 ივნისი. გერმანიის დელეგაციის გამგზავრებამდე ჟენევაში, ბერლინში მყოფი ჩიჩერინი ორჯერ შეხვდა შტრეზემანს. ოთხშაბათს შტრეზემანმა, გერმანიის მთავრობის მთელ რიგ სხვა წევრებმა და გერმანიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ისადილეს საბჭოთა საელჩოში, სადაც შტრეზემანი დარჩა გვიან საღამომდე და, ბადენ-ბადენის შემდეგ, მეორედ ესაუბრა ჩიჩერინს. თათბირში მონაწილეობა მიიღეს სხვა მინისტრებმაც და გერმანიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა.

ხუთშაბათს შტრეზემანი განმეორებით მივიდა საბჭოთა საელჩოში, სადაც ესაუბრა ჩიჩერინს და კრესტინსკის (ადს).

ლიუჩეტის საქმე

განაჩენი

რომი, 12 ივნისი. საგანგებო ტრიბუნალმა მუსოლინიზე თავდამსხმელის ლიუჩეტის საქმეზე გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ლიუჩეტის მიესაჯა 30 წლის ციხე, ხორილს—20 წლით და ვატერონის—18 წლით. ყველა მსჯავრდადებულთ სამუდამოდ წართმეული აქვთ მოქალაქობრივი ყოველგვარი უფლებები. (ადს).

ავერესკუ-მძარცველი

ვენა, 12 ივნისი. ბუქარესტის ყველა გაზეთები სავსეა ცნობებით ავერესკუს მთავრობის მიერ რუმინეთის სახელმწიფო ხაზინის გაძარცვის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ავერესკუმ გადამალა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილიდან 3 მილიონი ლეი.

ლენინგრადის საბჭოს პლენუმი

ლენინგრადი, 13 ივნისი. გაიმართა ლენინგრადის საბჭოს სასწრაფო პლენუმი. დღის წესრიგში დასმულია საკითხი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

თავმჯდომარის წინადადებით, პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ვოიკოვის, ოპანსკის და ცაკის პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ივანოვის ხსოვნას. შესრულებულ იქნა სამგლოვიარო მარში.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ამხ. ტომსკის, რომელსაც დარბაზი მიეგება მქუხარე ტაშით. ამხ. ტომსკის სიტყვის შემდეგ გამართულ კამათში პირველად გამოვიდა ლენინგრადის სამხედრო ოლქის უფროსი ამხ. კორკი, რომელმაც ლენინგრადის საბჭოს სახელით აღუთქვა საბჭოთა ხელისუფლებას არმიისა და ფლოტის სრული ბრძოლის უნარიანობა და წითელარმიელთა, წითელფლოტელთა და მთელი უფროსი შემადგენლობის მაღალი რევოლიუციონური სულისკვეთება. ამასთან კორკმა განაცხადა, რომ წითელარმიელები და უფროსი შემადგენლობა მზად არის გავიდენ მტრის წინააღმდეგ პირველ ძახილისთანავე.

ამხ. კორკის სიტყვა დაიფარა ძახილით: „გაუმარჯოს წითელ არმიას და ფლოტს“.

შემდეგ გამოვიდნენ მუშები და მუშა - ქალები, მსხვილ ქარხნების წარმომადგენლები, გლეხები, დიასახლისები, სამეცნიერო მუშაკნი და სხვ. ყველამ ერთსულოვნად განაცხადა, რომ მშრომელნი მზად არიან დადგენ რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე საბჭოთა მთავრობის პირველი ძახილისთანავე.

კამათის შემდეგ გამოვიდა ამხ. ტომსკი, რომელსაც შემდეგი ჯამი გაუკეთა კამათს:

„ჩვენი ბანაკი მტკიცეა, ჩვენ მედგარნი და შემჭიდროებულნი ვართ. ჩვენ შეგვიძლია თამამად განუცხადოთ ინგლისის იმპერიალისტებს: „თქვენ სთესთ ქარს, მაგრამ მოიმკით ქარიშხალს“.

რეზოლიუცია

პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ლენინგრადისა და მისი გუბერნიის პროლეტარიატისა და ყველა მშრომელთა სახელით საბჭოს პლენუმი აღუთქვამს მთავრობას სრულ დახმარებას ყველა მის ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია მშვიდობიანობის საქმისა და ჩვენი კავშირის დაცვისაკენ. პლენუმი მოითხოვს ჩვენი საზღვრების, სახალხო ქონების და მშვიდობიანი შრომის ფხიზლად დაცვას საერთაშორისო მკვლელებისა და ცეცხლის წამკიდებელთა საზიზღარ თავდასხმისაგან. მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ გახურებული შანთით უნდა ამოსწვას თავაღებული შინაური კონტრ - რევოლიუცია. არავითარი დინდობა ბანდიტებს, თავდამსხმელებს და ჯაშუშებს. ლენინგრადის საბჭო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მუშებისა და გლეხების კავშირი ღირსეულ პასუხს გასცემს იმპერიალისტების გათავხედებულ ხროვას, რომელნიც ეპოტინებიან საბჭოების ქვეყანას და ოქტომბრის მონაპოვართ“ (ადს).

ამხ. ივანოვის

გარდაცვალების გამო

დაკრძალვა მოხდება კიევში

მოსკოვი, 13 ივნისი. ამხ. ივანოვის დაკრძალვის კომისია იუწყება, რომ ივანოვის დაკრძალვა, უკრაინის მთავრობის თხოვნით, მოხდება კიევში. ივანოვის ნეშტის გადასვენება კიევში მოხდება 12 ივნისს. (ადს).

ნეშტის წასვენება კიევში

მოსკოვი, 13 ივნისი. ამხ. ივანოვის ნეშტი გააცილეს სადგურზე კიევში წასასვენებლად. სადგურის მოედანზე თავი მოიყარეს მუშათა დელეგაციებმა. სამგლოვიარო პროცესიას შეხვდენ ამხ. კალინინი, კისელიოვი, კარახანი, სემაშკო, კურსკი და მთავრობის სხვა წევრები. ამხ. კასიორს, ბუდენკოს, კლიმენკოს ფელიქსონს და სხვებს მიაქვთ კუბო სადგურის ბაქანზე და ასვენებენ მას ამაღლებულ ადგილზე. საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი მთავრობის და საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას ამხ. ივანოვის გარდაცვალების გამო.

უკრაინის მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის ცაკის მდივანმა ბუცენკომ.

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კისელევმა, რის შემდეგ მიცვალებულის კუბოს მისვენებენ ვაგონში. (ადს).

ამხ. ივანოვის უკანასკნელი წუთები

მოსკოვი, 13 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ამხ. ივანოვის უკანასკნელ წუთების შესახებ მისმა მახლობლებმა სთქვეს შემდეგი:

27 მაისს მან გააკეთა მოხსენება კოლომნას მუშების წინაშე. კოლომნიდან დაბრუნების შემდეგ, მან ცუდათ იგრძნო თავი და ჩაწვა ლოგინში. 5 ივნისს მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, სიცხე დაეცა, მაგრამ ჩქარა ჩავარდა უგონო მდგომარეობაში. განუწყვეტლივ აძლევდენ მას ჟანგბადს და უკეთებდენ ქაფურს. სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე ის მივიდა გონზე. გადაავლო თვალი ყველა იქ მყოფთ და უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვერ შესძლო. 20 წუთის შემდეგ გარდაიცვალა. (ადს).

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

13 ივნისის დილის სხდომა

ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება

13 ივნისის დილის სხდომაზე პლენუმმა მოისმინა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საბჭოების უკანასკნელი გადარჩევის შედეგების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი გადარჩევის კამპანია არის მეორე კამპანია, რომელიც ჩატარდა ფართო საბჭოთა დემოკრატიის საფუძველზე. ამ წლის არჩევნები იყო პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიღწევათა გენერალური შემოწმება.

მოსამზადებელ პერიოდში პარტიის წინაშე იდგა მთელი რიგი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებისა, რომელთა წარმატებით შესრულებაზე იყო დამოკიდებული გადარჩევის შედეგები. აუცილებელი იყო სოფლის ღარიბი ჯგუფების შეკავშირება, მუშების ჩაბმა აქტიურად გადარჩევაში, თავიდან აცილება საბჭოთა დემოკრატიის პრინციპის შემცდარი გაგებისა ზოგიერთ პარტიული ორგანიზაციების მხრივ, რომლებმაც ეს პრინციპი გაიგეს ისე, როგორც თავისი თავის მოშორება გადარჩევის ხელმძღვანელობისაგან. სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების ელემენტების შეკავშირების გზით შესაძლო გახდა წარმატებით ბრძოლის წარმოება კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენასთან.

კამპანიის პირველ მოსამზადებელ პერიოდში, რომელიც დაიწყო 1926 წ. დეკემბერში, მობილიზაცია მოუხდინეთ მთელ რიგ პარტიულ ამხანაგებს; მაზრებში გამოყოფილ იქნენ რწმუნებულნი გადარჩევის ჩასატარებლად.

მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც გამოიხატა ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებამოკლებულთა სიების შედგენაში, კომკავშირლების ცოცხალ მონაწილეობით ჩატარდა. ეს სიები განხილულ იქნა აგრეთვე ღარიბ გლეხთა კრებებზე, რომელნიც ზედმიწევნით ადევნებდენ თვალყურს იმას, რომ კულაკურ ელემენტებს არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

ღარიბი გლეხობის შეკავშირების მეოხებით, თემაღმასკომების წინასწარი ანგარიშის წარდგენის დროს კრების მონაწილენი თითქმის ყოველთვის სათანადო პასუხს აძლევდენ კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების გამოსვლებს,

პარტია მთლიანად საკმაოდ მომზადებულად შეხვდა უკანასკნელ არჩევნებს, თუმცა ზოგიერთ ადგილას იყო პარტიული ხაზის გამრუდების ცალკე შემთხვევები.

ანტისაბჭოთა ელემენტები წელს ყველგან იჩენდენ მნიშვნელოვან აქტიობას. მენშევიკები, რომელნიც სცდილობდენ თავიანთ თანამოაზრეთა გაყვანას საბჭოებში, ყველგან ბლოკს კრავდენ კულაკურ და ანტისაბჭოთა ელემენტებთან; მენშევიკები ამ ელემენტებთან ერთად გამოდიოდენ პარტიის სიის წინააღმდეგ დემაგოგიური ლოზუნგებით.

როგორც საერთო წესი, ღარიბი გლეხობა ყველგან მხარს უჭერდა კომპარტიის სიებს. კულაკებმა, მიუხედავად მათი ყოველმხრივი ცდისა, ვერ შესძლეს გავლენის მოპოვება ღარიბ გლეხობაზე.

დირექტივა ქალების საბჭოებში ჩაბმის შესახებ, ადგილობრივ ყველგან ვერ იქნა შესრულებული. იყო შემთხვევები, როცა ქალები არ იქნენ შეყვანილი საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში; მაგრამ მათ ყველას დაუგზავნეს უწყებები. ქალები ყველგან დიდ აქტიობას იჩენდენ.

სოფლების მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით საარჩევნო უბნების რაოდენობა გადიდებულ იქნა 17 ერთეულით.

საარჩევნო კანონის უფრო სწორი დამუშავების შემდეგ საარჩევნო უფლების მქონეთა საერთო რიცხვი გაიზარდა 1.157.000-მდე. საარჩევნო უფლება-მოკლებულთა სიაში შეტანილ იქნა 56.340 კაცი, ე. ი. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 4,2 პროც. (შარშან—1,2 პროც.). ამომრჩეველთა საშუალო აქტიობა წელს გაიზარდა. გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო ყველა ამომრჩეველთა 52,2 პროც., ხოლო შარშან 51,1 პროც. გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 118,472 ქალმა. მათი აქტიობა უდრიდა 37,7 პროც. აქტიობის მხრივ ყველაზე წინ დგანან წითელარმიელები და სოფლის ინტელიგენცია.

კომუნისტების რაოდენობის მხრივ საბჭოების ახალი შემადგენლობა ასეთია: მთელ საქართველოში გაიზარდა თემსაბჭოებში არჩეულთა კომუნისტებისა და კომკავშირელების პროცენტი. წელს თემსაბჭოებში კომუნისტებისა და კომკავშირელების რიცხვი შეადგენს 24,2 პროც., (ხოლო შარშან შეადგენდა 21 პროც.); კომკავშირელების რიცხვი 8,8 პროც. (შარშან იყო 6,5 პროც.). სათემო აღმასკომებში კომუნისტების რიცხვი 49,6 პროც. გაიზარდა 52,6 პროც., კომკავშირელების რიცხვი—5 პროც. 5,9 პროც.-დე. სამაზრო აღმასკომებში გავიდა 66,3 პროც. კომუნისტი და 2,8 კომკავშირელი. სამაზრო საბჭოებში წევრებისა და კანდიდატების რიცხვი შეადგენს 52,8 პროც., კომკავშირელების რიცხვი—6,5 პროც.

სათემო საბჭოების შემადგენლობა განახლდა 55,7 პროც. რაც შეეხება სამოქალაქო საბჭოებს, პარტიის დირექტივის თანახმად საბჭოს წევრ მოსამსახურეთა რიცხვი შემცირდა 14,2 პროც. ამავე დროს მუშათა რაოდენობა გაიზარდა 22 პროც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არჩევნებმა მოსახლეობას ეროვნული შემადგენლობის უფრო სწორი გამოხატულება მოგვცეს.

შეიძლება ითქვას, რომ პარტიის ძირითადი დირექტივები შესრულებულია, მიუხედავად ცალკე დეფექტებისა. რომელნიც სასწრაფოდ უნდა იქნას თავიდან აცილებული.

როგორც ერთ-ერთი მიღწევათაგანი უნდა აღინიშნოს, რომ წელს მოხერხდა ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხობის მთლიანი ფრონტის დამყარება, გადარჩევის საანგარიშო კამპანიის გაცხოველების მიღწევა, რომლის დროსაც სწარმოებდა სასოფლო საბჭოების და აღმასკომების ანგარიშების ნამდვილი საქმიანი განხილვა. მომავალში მთელი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას, საბჭოს ყველა წევრები სექციურ მუშაობაში ჩაბმის გზით. ვინაიდან მხოლოდ საბჭოების საშუალებით შეიძლება მთელ მასასთან ერთად წინსვლა.

13 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ.: ვ. ჯაფარიძემ, მეგრელიშვილმა, მზარეულიშვილმა და გურგენიძემ. ორატორებმა აღნიშნეს შარშანდელ წელთან შედარებით—ღარიბ გლეხთა აქტიობის ზრდა საბჭოთა არჩევნებში, პარტიის ხელმძღვანელობის უფრო გაძლიერება,—გარდატეხა საერთოდ მასაში—ჩვენი ხაზის სასარგებლოდ და სხვა.

დასასრულ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელმაც ციფრებით დაადასტურა წარსულ წლებთან შედარებით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ზრდა საბჭოებში. შემდეგ ეხება რა კამათში გამოსულ ამხანაგების ნათქვამს, ამხ. ფილიპე ამბობს: მოკამათეებმა დაადასტურეს ყველა ის ფაქტები, რომელზედაც ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში. ზოგმა კი ეს ფაქტები უფრო გააღრმავა, ან დაუმატა სხვადასხვა ადგილობრივ შემჩნეული ფაქტები. მომხსენებელი ჩერდება სხვადასხვა ორგანიზაციების როლზე საბჭოთა არჩევნების დროს და ამბობს, რომ—პროფორგანიზაციებმა კოოპერაციამ და გლეხკომებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო აქტიობა, რაც არანორმალურად უნდა ჩაითვალოს.

ამავე დროს სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელ არჩევნების დროს საბჭოს შემადგენლობა როგორც ქალაქად, ისე სოფლად—სოციალური შემადგენლობის მხრივ დიდათ გაუმჯობესდა. სოფლად საბჭოში ღარიბ-გლეხობის 60 პროც. გვყავს ჩაბმული.

ამხ. მახარაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ, პლენუმმა ზოგიერთ შესწორების და დამატების შემდეგ მიიღო საბჭოთა არჩევნების შედეგების შესახებ წარდგენილი რეზოლიუციის პროექტი.

ნ. ფ—ძე.

ამხ. პ. ცინცაძის გამორიცხვა

საქართ. კომპ. ც. საკ კომისიიდან

კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, ოპოზიციის ახალ გამოსვლებთან დაკავშირებით გადასწყვიტა, თანახმად საქართველოს ცენტრ. საკონტ. კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებისა, გამორიცხოს საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან ამხ. პარმენ ცინცაძე დეზორგანიზატორული და გამხრწნელი მუშაობისათვის. ამასთან ერთად პლენუმმა დაადგინა სთხოვოს ამ.-კავკ. საკონტრ. კომისიას გამორიცხოს ამხ. ცინცაძე აგრეთვე თავის შემადგენლობიდანაც.

ოპოზიციის ახალი გამოსვლის წინააღმდეგ

განჯა, 12 ივნისი. აზ. ახ. ლ. კ. კ: განჯის ორგანიზაციის აქტივის კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ოპოზიციის გამოსვლის შესახებ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელ პლენუმზე, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც, სხვათა შორის ნათქვამია:

„კრება სასტიკად ჰკიცხავს ოპოზიციის ანტიპარტიულ გამოსვლას, ისიც იმ მომენტში, როდესაც საჭიროა მთლიანობა, შემჭიდროვება და შეთანხმებული მუშაობა. პარტიამ უსასტიკესი ზომები უნდა მიიღოს ოპოზიციის ალვირახსნილ ლიდერების წინააღმდეგ“ (ადს).

კომკავშირში

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის ა. ლ. კ. კ. პირველი კონფერენცია

მეოთხე სხდომა

კონფერენციის მეოთხე სხდომა, რომელიც შესდგა 12 ივნისს, დილის 8 საათზე, მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. რატნეკის მოხსენების ირგვლივ.

167 დელეგატიდან, რომელნიც ესწრებიან კონფერენციას, კამათში მონაწილეობა მიიღო 47 დელეგატმა, რაც მოწმობს დელეგატების დაინტერესებას კონფერენციის მუშაობით.

კამათში მონაწილე ამხანაგები თავის სიტყვებში შეეხენ უმთავრესად იმ ნაკლს, რომელიც თან სდევს კომკავშირის მუშაობის წითელი ჯარის რიგებში. ეს ნაკლი მეტ წილად გამომდინარეობს იქიდან, რომ ზოგი ერთ ნაწილებში კომკავშირელნი ვერ იჩენენ საჭირო აქტივობას, არ არიან ჩაბმულნი მთლიანად ნაწილის საქმიანობაში, როგორც არის პოლიტმეცადინეობა, საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში და სხვა. აღნიშნულ იყო აგრეთვე, რომ კომკავშირი არ იღებს საჭირო მონაწილეობას სამხედრო საქმიანობაში, რაც აფერხებს კომკავშირის გასამხედროების საქმეს.

კამათში აღნიშნულ იყო ნაწილების მომარაგების, პოლიტმეცადინეობის და პარტორგანიზაციების მუშაობის ზოგიერთი დეფექტები.

მეხუთე სხდომა

კონფერენციის მეხუთე სხდომაზე ამხ. რატნეკმა გასცა პასუხი შეკითხვებზე. საბოლოო სიტყვაში მან ხაზი გაუსვა კომკავშირის პოლიტიკურად მომზადების საკითხებს და პარტიის ხელმძღვანელობას კომკავშირისადმი.

ამხ. ლევანდოვსკის მოხსენება

ამავე სხდომაზე მოხსენებას საბრძოლო მომზადების ამოცანებზე აკეთებს არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი, რომელსაც დელეგატები უმართავენ ოვაციებს.

ამხ. ლევანდოვსკიმ მოხსენების დაწყებამდე გადასცა კონფერენციას მისალმება კავკასიის წ.-დ. არმიის სამხედრო - რევოლიუციონურ საბჭოს სახელით.

„დღევანდელ პირობებში არ არის საკმარისი ლაპარაკი მარტო მშვიდობიანი ხასიათის ნოტებით. საჭიროა ამასთან ერთად ჩვენი წითელი არმიის და მთელი კავშირის მომზადება ომისათვის“—ამბობს ამხ. ლევანდოვსკი.

შეეხო რა წითელი არმიის და კერძოდ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მდგომარეობას, სარდალმა აღნიშნა, რომ წითელი არმიის ნაწილები წარმოადგენენ კარგად მომზადებულ და ბრძოლის უნარიან ერთეულებს.

ტერიტორიალური ნაწილები, რომლებსაც დიდი ხანი არ არის, რაც ჩაეყარათ საძირკველი, თავისი მომზადებით არ ჩამორჩებიან საკადრო ნაწილებს

შემდეგ ამხ. ლევანდოვსკიმ დაუხატა კონფერენციას თანამედროვე ომის სურათი, თუ რათ ექნება მიქცეული ყურადღება, რა მნიშვნელობა ექნება ომში მეთაურს და რიგის მებრძოლს და აღნიშნა, რომ საჭიროა წითელ არმიასთან ერთად მოსახლეობამაც კარგათ იცნობდეს თანამედროვე ომის წარმოებას და იქნეს გაცნობილი სამხედრო საქმეს.

მეექვსე სხდომა

კონფერენციის მეექვსე სხდომა გაიხსნა კამათით ამხ. ლევანდოვსკის მოხსენების ირგვლივ. კამათში მიიღო მონაწილეობა 17 დელეგატმა.

ამხ. ლევანდოვსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. გავრიშის მოხსენება არმიის კომკავშირის მდგომარეობის და მის მორიგ ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არმიის კომკავშირი უკანასკნელ წლების განმავლობაში მომაგრდა წელში, გაიზარდა რიცხვობრივ და თვისობრივადაც. კომკავშირს აქვს მრავალი მიღწევები: გატარებულია შინა - კავშირული დემოკრატია, რამაც გამოაცოცხლა ჯგუფების მუშაობა, შექმნილია ლეგიონის ბიუროები, რომლის საშუალებითაც ასეულებში კარგათ არის დაყენებული ხელმძღვანელობა და სხვა.

არმია თავისი მხრივ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ნაწილებს და იღებს ზომებს, რომ კომკავშირის მუშაობა წარმართულ იქნეს სწორი გზით.

მეშვიდე სხდომა

კამათში ამხ. გავრიშის მოხსენების ირგვლივ ჩაეწერა 58 დელეგატი.

მეშვიდე სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს.

კამათში მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელობა ცენტრიდან ზოგიერთ შემთხვევებში მოისუსტებდა, კომკავშირის სამეცნიერო პროგრამა არ არის შეფარდებული მოთხოვნილებებთან, არ არის საკმაო ლიტერატურა ნაციონალურ ნაწილებისათვის მათ ენებზე, ყველა ნაწილებში არ არის შექმნილი კომკავშირის ძლიერი აქტივი.

საერთოდ კამათში მონაწილე ამხანაგები შეეხენ კომკავშირის მუშაობის მტკივნეულ ადგილებს ნაწილებში და ხელმძღვანელობის საკითხებს.

კონფერენციის უკანასკნელი სხდომა შესდგა დღეს, დილის 9საათზე. შემდეგ დელეგატები გაემგზავრებიან ზაჰესის დასათვალიერებლათ.

ამხ. გრიგოლ ჩიჩუას ხსოვნას

ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციას გამოაკლდა ძველი წევრი კომპარტიისა ამხ. გრიგოლ ჩიჩუა. ამხ. გრიგოლი ძვირფასი და საყვარელი იყო არა მარტო კომპარტიის წევრებისათვის, არამედ ზუგდიდის მაზრის მთელი მშრომელი გლეხობისათვის. წყნარი, კეთილი, პატიოსანი, ენერგიული მუშაკი განსაკუთრებით კოოპერატიულ დარგში, იშვიათი სინდისით აღჭურვილი ამხ. გრიგოლი მუდამ მზად იყო არ დაეზოგა თავისი ენერგია მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ. არა მარტო ამხ. გრიგოლი, არამედ მთელი მისი ოჯახი: ცოლი, ძმები და ყველა წევრები მისი ოჯახისა განუყრელი მუშაკები იყვნენ და არიან მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და კომუნისტურ პარტიის რიგებში.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე ამხ. გრიგოლიც გახადა თავისი მსხვერპლი. დღეის იქით სპეტაკი ამხანაგი გრიგოლი აღარ არის ზუგდიდის ამხანაგების რიგებში, მაგრამ მის დავიწყებას ვერ შესძლებს ვერც ერთი ამხანაგი ზუგდიდიდან. მისი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მის ამხანაგებში და მეგობრებში.

მშვიდობით, ამხანაგო გრიგოლ! შენი ამხანაგები არასდროს დაივიწყებენ შენს თავდაუზოგველ მუშაობას ზუგდიდის მაზრის გლეხების საკეთილდღეოთ.

აკაკი ქავთარაძე.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და ც. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის რეზოლიუცია

საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. გობეჩიას მოხსენება საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი აღნიშნავს:

1) ორგანიზაციული შეკავშირების გაძლიერება და ახალგაზრდა ლენინური კომკავშირის პოლიტიკური გავლენის განმტკიცება საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის მასებზე.

2) მუშა-ახალგაზრდობის საერთო პოლიტიკური აქტიობის ზრდა, რაიც გამოიხატება შემდეგში: საწარმოო ცხოვრებაში მონაწილეობის გაძლიერება, ძლიერი მისწრაფება განათლებისაკენ, ინტერესის გაძლიერება საერთაშორისო მდგომარეობის საკითხისადმი; ზოგიერთი მიღწევანი საქალაქო ორგანიზაციების მუშაობაში, მუშა-ახალგაზრდობის აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმის დარგში, წარმოების გაუმჯობესების საქმეში და სხ.

3) პარტიის მე-14 და კომკავშირის მე-7 ყრილობების დირექტივების საფუძვლებზე დაიწყო, თუმცა ნელის ტემპით გარდატეხა საკავშირო მუშაობის გაცხოველების მიმართულებით,—მუშაობის ფორმის, შინაარსისა და მეთოდების შეფარდება ახალგაზრდობის გაძლიერებული მოთხოვნილებებისადმი.

4) სოფლის კავშირთა ორგანიზაციების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოქმედების გაძლიერება კულტურულ-სამეურნეო აღმშენებლობაში მონაწილეობის ხაზით, კერძოთ შრომის კოლექტიური ფორმების შეტანა.

5) უფრო აქტიური და ორგანიზაციული მონაწილეობის მიღება საბჭოთა გადარჩევაში, ვიდრე შარშან, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

6) პარტიული აქტივის გაძლიერება ახალგ. ლენინურ კომკავშირის ორგანიზაციაში, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

7) იდეოლოგიური მომწიფების ზრდა, რაიც გამოიხატა იმაში, რომ კომკავშირის მთელმა ორგანიზაციამ მკაცრი პასუხი გასცა ოპოზიციურ ჯგუფებს და ოპოზიციურ სულისკვეთებას, როგორც საქართველოს პარტიულ, ისე კომკავშირთა ორგანიზაციებში.

8) მაგრამ ამასთან ერთად საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლულოვანებათა.

1. ახალგ. ლენინური კომკავშირის შემადგენლობა კვლავ ცვალებადია; კავშირის მუშაობის გამოცოცხლების ტემპი ქალაქად ჩამორჩენილია მუშა-ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიობის ზრდას, რის გამოც მუშა-ახალგაზრდობა ვერ აკმაყოფილებს მუშაობის შინაარსი და იწვევს უიმედო განწყობილებას მუშა-ახალგაზრდობის ჩამორჩენილ ჯგუფებში.

2. აქტივის ზრდა ჩამორჩება კავშირის საერთო ზრდას; აქტივი სუსტად ითვისებს მუშაობის ახალ ამოცანებს.

3. საკმაოდ ვერ არის განვითარებული მასიური კულტურული მუშაობა, არ არსებობს ახალგაზრდობის დასვენების ცოცხალი, საინტერესო ფორმები.

4. ქალაქის უჯრედები საკმაო მონაწილეობას არ იღებენ წარმოების, სასოფლო მეურნეობის აღორძინების, ახალი კულტურის, კოლექტივიზაციის შემოღებაში და გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირებაში.

5. ორგანიზაციაში შემცირებულია პროლეტარული აქტივი, საკმაოდ ვერ არის ჩაბმული ორგანიზაციაში ახალგაზრდა მოჯამაგირენი და ხელოსნები; საკმაო ყურადღება ვერ ექცევა ახალგ. ლენინურ კომკავშირში მიღების მოწესრიგებას სოფლად, რის გამოც კავშირში შედიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ანხორციელებენ კულაკების გავლენას; ადგილი აქვს პარტიული ხაზის გამრუდებას ღარიბ და საშუალო შეძლების ახალგაზრდათა საკითხში; არის შემთხვევები, როცა საშუალო შეძლების კომკავშირელები მედიდურად უყურებენ ღარიბ კომკავშირელებს.

6. პოლიტცოდნის დონე დაბალია, როგორც სოფლად (პირველი კატეგორიის 65 %), ისე ქალაქად (პირველი კატეგორიის 40 პროც.).

7. ახალგ. ლენინურ კომკავშირის მუშაობის მდგომარეობა შიათურის კონცესიაში ვერ არის დამაკმაყოფილებელი; უჯრედების მუშაობა ვერ არის შეფარდებული მუშაობის სპეციფიურ პირობებთან კონცესიაში, სუსტია მასიური და ეკონომიური მუშაობა.

8. სუსტია მოსწავლე კომკავშირელთა უჯრედები, ისინი საკმაო აქტიობას ვერ იჩენენ ახალგაზრდა მარქსისტებთან ბრძოლაში, რომლებმაც გააძლიერეს თავიანთი მუშაობა.

9. სუსტია პარტხელმძღვანელობა ორგანიზაციის დაბალი საფეხურების ქსელში, განსაკუთრებით სოფლად; პარტიის უჯრედთა უმრავლესობა ფორმალურად ეკიდება კომკავშირზე პარტხელმძღვანელობის საკითხს.

საქართველოს ახალგ. ლენინური კომკავშირის ორგანიზაციის წინაშე სდგას შემდეგი საკითხი: მთელი ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი არსებითად უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ახალგაზრდობის მოთხოვნილება სავსებით და სასწრაფოდ იქნას დაკმაყოფილებული, გაუმჯობესდეს და გაცხოველდეს მუშაობა პარტიის მე-14 ყრილობისა და კომკავშირის მე-7 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე.

პრაქტიკული მუშაობა მუშაობის გაძლიერებისა და გამოცოცხლების დარგში მომავალში უნდა სწარმოებდეს ამგვარად:

1) ქალაქად მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მუშა-ახალგაზრდობის სალი მოთხოვნილებანი, რომ ისინი ჩაბმულ იქნან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ გაუმჯობესდეს ეკონომიური მუშაობა, გაუმჯობესდეს პროფესიონალურ-ტექნიკური კვალიფიკაცია.

2) მასიური მუშაობა ახალგაზრდებს შორის წარმოებებში უნდა დაუკავშირდეს სოციალისტური აღმშენებლობის ძირითად ამოცანებს. კავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს წარმოების რაციონალიზაციისა, მომჭირნეობის რეჟიმის გატარების, ფასების დაკლებისა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში.

ახალგაზრდობის აქტიობის ზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში წითელი ზოლივით უნდა გატარდეს კომკავშირის ქალაქის ორგანიზაციების მთელ მოქმედებაში.

3) მუშა-ახალგაზრდობა საუჯრედო მუშაობის შინაარსში უნდა ჰპოვებდეს მისთვის საინტერესო პოლიტიკური, ეკონომიური, სამეურნეო და კულტურულ ყოფა-ცხოვრების საკითხების დაკმაყოფილებას; ამ ინტერესების სრული დაკმაყოფილებისათვის უნდა მიზიდულ იქნან სამეურნეო მუშაკები, პროფმუშაკები, პარტმუშაკები და სხ.

4) ვინაიდან თბილისის ორგანიზაციის მუშაობის შინაარსი მუშაობის გამოცოცხლების მხრივ არ არის საკმაო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის ორგანიზაციის თვისობრივ განმტკიცებას და ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი, როგორც პროლეტარული ცენტრის პოლიტიკური მნიშვნელობა.

5) სოფლად კომკავშირმა შემდეგი კურსი უნდა აიღოს: იგი მონაწილეობას უნდა იღებდეს სასოფლო მეურნეობის აღორძინებაში კოლექტიური ფორმების დანერგვაში და სასოფლო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტურ ტენდენციებთან ბრძოლაში.

ამ მუშაობის პრაქტიკული ამოცანები უნდა იყოს: სასოფლო-სამეურნეო წრეების, ახალგაზრდა გლეხობის სკოლების განვითარება და განმტკიცება, ახალი კულტურების შემოღება, კოოპერატიული გაერთიანებების პროპაგანდა და მოწყობა საბჭოთა აგრონომთან, მასწავლებელთან და კულტურულ გლეხებთან კავშირში.

ამავე დროს აუცილებელია გაძლიერდეს კომკავშირის საზოგადოებრივად-სასარგებლო მუშაობა სოფლად და უპარტიო გლეხთა და ახალგაზრდათა ჩაბმა მუშაობაში.

6) კომკავშირის უმთავრესი პოლიტიკური ამოცანა სოფლად უნდა იყოს: მონაწილეობა საბჭოების გამოცოცხლებაში, პარტიისათვის დახმარების აღმოჩენა ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა ბლოკის განმტკიცებისა და ღარიბი გლეხობის შეკავშირების საქმეში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა ეკონომიურ-უფლებრივ დაცვას და მათ მიზიდვას კავშირში.

ამასთან ერთად აუცილებელია ფართოდ იქნას განმარტებული პარტიის პოლიტიკა და სოფლის კომკავშირელების პოლიტიკური კვალიფიკაციის გაუმჯობესება სწორი პოლიტიკური ხაზის უზრუნველყოფის მიზნით.

7) პლენუმი იღებს რა მხედველობაში კომკავშირის დაბალ პოლიტიკურ დონეს როგორც ქალაქად, ისე სოფლად, და პოლიტგანათლების საქმის სუსტად დაყენებას, რაიც იწვევს იმას, რომ კომკავშირელები არ არიან დაინტერესებულნი ამით და სუსტად ესწრებიან მეცადინეობას, პლენუმი აუცილებლად სცნობს მიაქციოს ყურადღება სკოლების ხელმძღვანელთა შერჩევას, სწავლების მეთოდის შეფარდებას ახალგაზრდობის მოთხოვნილებებისა, საჭირბოროტო პოლიტიკური საკითხებისა და წარმოების ან სოფლის პირობებისადმი.

ამასთან ერთად საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ კომკავშირის დაბალი საფეხურის ორგანიზაციებს მიეცეს კომკავშირის ლიტერატურა, ხოლო ეროვნულ უმცირესობის რაიონებში (თურქები, ოსები, აფხაზები) ეს ლიტერატურა უნდა იქნას მიწოდებული მშობლიურ ენაზე.

8) ახალგაზრდობის კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდა მოითხოვს:

1. პარტიამ, პროფკავშირებმა და პოლიტგანებმა მეტი დახმარება და ყურადღება უნდა მიაქციონ კომკავშირის სათანადო ორგანოებს, პირველ რიგში ნივთიერი დახმარების გაძლიერების გზით.

2. გაძლიერებულ უნდა იქნას მასიური კულტურული მუშაობა, ახალგაზრდათა სექციების და კლუბების მუშაობა ქალაქად, ქოხ-სამკითხველოების და სახალხო სახლების მუშაობა სოფლად შეფარდებულ უნდა იქნას ახალგაზრდობის კულტურული მოთხოვნილებებისადმი.

აუცილებელია კომკავშირის ახალ, კარგ წამოწყებათა, მხარის დაჭერა და დახმარება: კონკურსები, მასიური ექსკურსიები, კოლექტიური გასეირნება, კინო და თეატრები, მასიური საღამოები და აღმოჩენა, რომელნიც ხელს შეუწყობენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გამოცოცხლებას.

ამასთან მჭიდრო კავშირში არის აუცილებლობა იმისა, რომ ბრძოლა იქნას წარმოებული ცხოვრებისა და ყოფა-ცხოვრების მოსაწესრიგებლად როგორც კომკავშირის შიგნით, ისე უპარტიო ახალგაზრდობის შორის, ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული უიმედო განწყობილებასთან, სასოწარკვეთილებასთან და ლოთობასთან.

9) პლენუმი აღნიშნავს რა, რომ უიმედო განწყობილების,სასოწარკვეთილების და ლოთობის ზრდა კომკავშირის ორგანიზაც. უმთავრესად აიხსნება უმუშევრობის გაძლიერებით ქალაქად და სოფლად, მოზარდების სამუშაოზე მიღების შემცირებით, უმუშევრობის ზრდით კვალიფიციურ მუშა-ახალგაზრდებს შორის იმის გამო, რომ ახალი მუშა-ხელის მომზადება არ შეეფერება მრეწველობის მოთხოვნილებებს. პლენუმი საჭიროდ სცნობს შესწავლილ იქნას საკითხი ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის შესახებ და შემუშავებულ იქნას ღონისძიებანი უმუშევრობის შესამსუბუქებლად.

გარდა ამისა, ახალი კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების საქმის ჯეროვანად მოგვარებისათვის აუცილებელია ერთიანი სათათბირო ორგანოს შექმნა ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციებისაგან.

10) იმ მიზნით, რომ ბრძოლა იქნას წარმოებული ანტიკომუნისტურ ჯგუფებთან, რომელნიც გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებენ უმთავრესად ახალგაზრდა მოსწავლეთა შორის, არალოიალურად განწყობილ მასწავლებელთა ზეგავლენის გამო, ძირითად, ამოცანას წარმოადგენს სასკოლო უჯრედების მნიშვნელობის გადიდება, იდეოლოგიურ გავლენის გაძლიერება მოსწავლე ახალგაზრდობაზე, უმაღლეს სასწავლებლების და სპეცტეხნიკუმების სოც. შემადგენლობის გაუმჯობესება.

განათლების სახალხო კომისარიატმა აუცილებელია უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს კომკავშირის მდგომარეობას,—პოლიტიკურ განწყობილებას სკოლებში, როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა შორის.

მუშაობა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დაშლისათვის წარმოებულ უნდა იქნას არა მარტო ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა ბიუროს ძალებით, არამედ იმ გზითაც, რომ ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნას კომკავშირის მთელი აქტივი და მასა, გამომჟღავნებული იქნას ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციის კონტრ-რევოლიუციონური ბუნება, მათი შოვინისტური ტაქტიკა შესწავლილ იქნას საქართველოს კომპარტიის და კომკავშირის ბრძოლა მენშევიზმთან.

11) რელიგიური სექტების გაძლიერება, უმთავრესად ეროვნულ უმცირესობის ახალგაზრდებს შორის, და ამის პარალელურად ანტირელიგიური პროპაგანდის შესუსტება და ხანდახან შეწყვეტა, მოითხოვს, რომ გაძლიერებულ იქნას ანტირელიგიური პროპაგანდა პარტიის მიერ მტკიცედ განსაზღვრულ ფარგლებში.

12) კომკავშირის მასების ინტერნაციონალურმა აღზრდამ ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უნდა დაიჭიროს და იგი უნდა სწარმოებდეს იმ მიზნით, რომ ფართოდ იქნას ახსნა-განმარტებული და განხილული ეროვნული პოლიტიკის საკითხები, სასტიკი ბრძოლა იქნას წარმოებული დიდმპყრობელურ ნაციონალისტურ ტენდენციების ცალკე შემთხვევებთან, რომელნიც ხანდახან გამოწვეულია არასწორი მუშაობით უჯრედებში (მოხსენებას არ სთარგმნიან ეროვნულ ენებზე, გვერდს უხვევენ ნაციქტივს და სხ.); ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული აგრეთვე ეროვნულ უმცირესობისადმი მბრძანებლობისა და მედიდური დამოკიდებულების ტენდენციებთან, რომელნიც დღემდე არსებობს აქტივის ზოგიერთ ნაწილში; აუცილებელია აგრეთვე გაძლიერდეს ბრძოლა ქართული ნაციონალური გადახრის წინააღმდეგ.

13) ვინაიდან კავშირში არ არის ჩაბმული წარმოებებში მომუშავე ახალგაზრდობის დიდი რაოდენობა, მეტად სუსტია მოჯამაგირე ახალგაზრდათა ზრდის ტემპი და ამასთანავე გამუდმებით მცირდება პროლეტარული აქტივის პროცენტი კავშირში, კომკავშირის წინაშე სდგას შემდეგი ამოცანა: შენარჩუნებულ იქნას არსებული პროლეტარული აქტივი, გაძლიერდეს მუშაობა კავშირში ჩაბმულ პროლეტარულ ახალგაზრდობის შორის და ზრდის შეკავება სოფლად, არა იმგვარად, რომ ზრდა შესწყდეს მექანიკურად, არამედ იმ მხრივ, რომ კავშირში შემავალ ახალ გლეხებისადმი წაყენებულ უნდა იქნას დიდი მოთხოვნილებანი.

14) მუშაობის ახალი მეთოდების სუსტად შეთვისება აქტივის მიერ, სუსტი თეორეტიული მომზადება, პროლეტარული აქტივის დაცემასთან ერთად,—განსაკუთრებით მწვავედ აყენებს აქტივის რაოდენობითი და უმთავრესად თვისობრივი გაძლიერების პრობლემას.

აქტივის საერთო და პოლიტიკური კვალიფიკაციის გაუმჯობესება, მისი უფრო გადაჭრითი და სისტემატიური ზრდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა გლეხ-ქალთა და მუშა-ქალთა შორის, მისი დაახლოება კავშირის დაბალი საფეხურის მასებთან,—კომკავშირის ძირითად საორგანიზაციო ამოცანას წარმოადგენს.

15) საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხე კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ, მთელი სიგრძე-სიგანით სვამს კომკავშირის წინაშე ამოცანას იმისა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს დაახლოება წითელ არმიასთან, და კომკავშირელებმა სათანადო ორგანიზაციების საშუალებით გაიარონ სამხედრო მომზადება, გაძლიერდეს თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობა როგორც კომკავშირის შიგნით, ისე უპარტიო ახალგაზრდებს შორის.

16) პარტიულმა, პროფესიონალურმა და კომკავშირთა ორგანიზაციებმა აუცილებელია თავის დროზე მიაქციონ ყურადღება პიონერთა მოძრაობას, რომელიც დაბრკოლებებს განიცდის ზრდაში იმის გამო, რომ პიონერ-კოლექტივის მუშაობის ფორმა და შინაარსი არ შეეფერება ბავშვთა გაძლიერებულ მოთხოვნილებებს; აუცილებელია პირველ რიგში გაძლიერდეს ხელმძღვანელთა შემადგენლობის მომზადება და ხელმეორედ მომზადება: ხელმძღვანელმა პიონერთა შორის მუშაობისათვის უნდა გაგზავნოს მომზადებული კომკავშირელები და პარტიულები, აგრეთვე ნივთიერად უნდა იქნას უზრუნველყოფილი ბავშვთა კომორგანიზაცია.

17) კომკავშირის წინაშე მდგომი გართულებული ამოცანები და დაბრკოლებანი მის მუშაობაში მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გადაწყვეტილი, თუ პარტია ყოველდღიურ დახმარებას გაუწევს კავშირის პრაქტიკულ მუშაობას ყველა დარგში, ახალგ. ლენ. კომკავშირზე საუკეთესო თეორეტიულად მომზადებული პარტიულების მიმაგრების გზით; პარტიამ სისტემატიურად უნდა შეისწავლოს და აუცილებლად დასვას პარტიაში კომკავშირის საკითხები, გააძლიეროს პარტაქტივის პასუხისმგებლობა კომკავშირში მუშაობისათვის, განამტკიცოს არსებული პარტაქტივი და მომავალში ხელი შეუწყოს მის ზრდას; პარტმუშაკებმა უფრო მეტი ამხანაგური ურთიერთობა უნდა დაიჭირონ ახალგ. ლენ. კომკავშირის აქტივისადმი და აღმოფხვრან კომკავშირის მუშაობაში მეურნეობის და წვრილმანი ჩარევის შემთხვევები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მარულა აფხაზეთში

სოხუმი, 13 ივნისი. ადგილობრივ მეცხენეობის წახალისების მიზნით აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატმა მოაწყო სრულიად აფხაზეთის მარულა (დოღი). მარულაში მონაწილეობა მიიღო 34 ცხენმა. სულ გათამაშებული იქნა 1.000 მანეთის ჯილდოები.

ცხენების შეჯიბრზე დასასწრებათ გარდა ქალაქის მოსახლეობისა ჩამოვიდნენ გლეხები შორეულ სოფლებიდანაც. სულ მარულას დაესწრო 5.000-მდე გლეხი (ადს).

სამტრედიის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა

ქუთაისი, 12 ივნისი. სამტრედიის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობას წელს არ მიუღია გლეხებისაგან დაკვეთები სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე. რაც შეეხება გლეხობის მოთხოვნილებას საწამლო მასალაზე: გოგირდსა და შაბიამანზე, ის 90 პროც.-ით არის დაკმაყოფილებული.

შარშან სამტრედიის რაიონში სიმინდის კარგი მოსავალი იყო. წელს კი ცუდი მოსავალია მოსალოდნელი. ამიტომ სამტრედიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა თავის რაიონისათვის იძენს სიმინდს ჩრდილოეთ-კავკასიაში. გადაწყვეტილია 10 ვაგონი სიმინდის შეძენა (ადს).

სამტრედიის 1-ლი ცხრაწლედი

ქუთაისი, 12 ივნისი. სამტრედიის 1-ლ ცხრაწლედში 20 ივნისს თავდება მეცადინეობა და კოლოქვიუმები. წელს ამ სასწავლებელს ათავებს 62 მოსწავლე, მათგან 42 ქალი. სკოლაში მოსწავლეთა საერთო რიცხვი უდრის 595, მათგან 311 ვაჟი და 284 ქალი. უფასოდ სწავლობს მოსწავლეთა 75 პროც.. 95 პროც. მუშისა და გლეხების შვილებია (ადს).

წერილები

სოფლის გლეხკომების მუშაობის შესახებ

გლეხკომების მუშაობა ბევრ თემში საგრძნობლად მოისუსტებს. ეს აიხსნება მით, რომ ზოგან გლეხკომების პრეზიდიუმში მდიდარი გლეხები გადიან. ისინი კი გლეხკომს საკუთარი ჯიბის გასასქელებლად იყენებენ, სარგებლობენ გლეხკომისთვის მინიჭებულ უპირატესობებით და თავის ქონებას ამრავლებენ. არის ისეთი თემები, სადაც გლეხკომის პრეზიდიუმში ღარიბი და საშუალო გლეხები არიან გაყვანილი, მაგრამ მათ არ იციან რა უნდა აკეთონ, არ ესმით გლეხკომის დანიშნულება, ისეთ რამეს წამოიწყებენ, რაც გლეხკომის მოვალეობას სრულიად არ შეადგენს.

„სამი-ოთხი წელიწადია ს. ზეინდარში არსებობს გლეხკომი, მაგრამ მან ვერავითარი გავლენა ვერ მოიხვეჭა, გლეხკომმა არ იცის რა აკეთოს, რას მოკიდოს ხელი“ გვწერს ერთ-ერთი სოფლის კორესპონდენტი. „თავასის თემში ორი გლეხკომი გვყავდა, მაგრამ არც ერთი არაფერს არ აკეთებდა“—გვწერს მეორე გლეხკორი. საერთოდ ასეთი ჩივილი გლეხკომებისადმი ერთობ გახშირდა.

ამ მდგომარეობას უსათუოდ ყურადღება უნდა მიექცეს და გლეხკომებზე ხელმძღვანელობა გაძლიერდეს. პირველად ყოვლისა საჭიროა, რომ გლეხკომები გაიწმინდოს კულაკურ ელემენტებიდან. გლეხკომის მუშა-აპარატში აუცილებლად ღარიბი და საშუალო გლეხები უნდა დავტოვოთ, რომლებიც შესძლებენ გლეხკომების გარშემო გლეხობის შემოკრებას, მუშაობის გამოცოცხლებას და გლეხკომის გავლენის განმტკიცებას.

შემდეგ საჭიროა გლეხკომებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება. სამაზრო გლეხკომი ხშირად უნდა იწვევდეს თემისა და სოფლის გლეხკომების აქტიურ მომუშავეთა თათბირებს, რომელზეც უნდა გაკეთდეს მოხსენებები ადგილებიდან. თვითონ სამაზრო გლეხკომიც უნდა აცნობდეს თათბირს თავის მუშაობის ნაკლსა და მიღწევებს. ასეთ თათბირებზე უნდა კეთდებოდეს მოხსენება გლეხკომების მოვალეობასა და დანიშნულებაზე, გლეხკომების მიმდინარე ამოცანებზე. გარდა ამისა უნდა გაძლიერდეს სამაზრო გლეხკომების ცოცხალი კავშირი სოფლისა და თემების გლეხკომებთან. სამაზრო გლეხკომის ინსტრუქტორი სისტემატიურად უნდა ახდენდეს გლეხკომების დათვალიერებას, უნდა აძლევდეს ახსნა-განმარტებას და დარიგებას, უნდა ეხმარებოდეს გლეხკომს ნაკლის გამოსწორებაში.

შემჩნეულია, რომ ზოგან სოფლის პარტიული უჯრედი და კომკავშირი ყურადღებას არ აქცევს გლეხკომის მუშაობას. ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. უჯრედმა და კომკავშირმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ გლეხკომის მუშაობის გამოსაცოცხლებლად, გლეხკომის ირგვლივ ღარიბ და საშუალო გლეხების შემოსაკრებად. უჯრედის ღია კრებაზე გლეხკომის თავმჯდომარე ორ-სამ თვეში ერთხელ მოხსენებას უნდა აკეთებდეს თავის მუშაობის შესახებ.

ყველა ეს ზომები ხელს შეუწყობს გლეხკომის მუშაობის გაცხოველებას და მისი გავლენის ზრდას.

ნ.

გლეხობას ანგარიში უნდა გაეწიოს

დ. აბაშა (სენაკის მაზრა)

1926 წ. ბამბის თესვის დროს აბაშაში ჩამოვიდა საქ. ბამბის კომიტეტის წარმომადგენელი და აბაშის საკრ. ამხანაგობის საშუალებით დაარიგა ახალი ბამბის ჯიშის თესლი და ავანსი თანხაც ბამბის წინასწარი თესვისათვის. ავანსი გლეხობას უნდა გამოანგარიშებოდა ბამბის ფასის განაღდების დროს. უკეთუ ბამბა არ იხეირებდა ბუნებრივი მიზეზებით, გლეხს ავანსი უნდა დარჩენოდა. ის იყო ამხანაგები დაიგზავნენ თემებში, ჩატარდა ბამბის თესვის კამპანია. 300-მდე გლეხმა მიიღო თავზე ბამბის დამუშავება. მიიღეს ავანსებიც წინასწარი სამუშაოდ და ბამბა დაითესა, მაგრამ დახეთ უბედურებას, ზოგან ბამბა სრულებით არ ამოვიდა, ზოგან გაიზარდა. მაგრამ უნაყოფო შეიქნა, კურკა არ მოიბა, ვერ იხეირა. გლეხებს დაეკარგა მოხვნის და თესვის თანხისათვის გაწეული ხარჯები, გაუცდათ ყანებისათვის გამოსადეგი მიწები და დარჩენ პირში ჩალა ამოვლებულნი. გლეხობის მდგომარეობა უნუგეშო შეიქნა. გავიდა დრო და მიადგა გლეხს კარებზე მილიციელი ავანსად მიღებული ბამბის სათესი თანხის გადასახდევინებლად.

„გაღმა შემოდავე და გამოღმა დაგრჩებაო“ ამბობენ გლეხები საკრედიტო ამხანაგობის ამ მოქმედებაზე. საჭიროა ამ საქმეზე მოხდეს სასწრაფო გამოკვლევა, რა ბედი ეწია გაცემულ თესლს მთელ უბანში. მანამ კი გადახდევინება ავანსების შეჩერებულ უნდა იქნეს. საკრედიტო ამხანაგობას ამ ნაბიჯით გლეხობაში ნდობა ეკარგება და რამე ახალ საქმეში გლეხობა მას ამ გზით შორს ვერ გაჰყვება.

მეხი.

წერილებიდან

— **გლეხკომი არ ვარგა.** (გორას თემი, ქუთაისის მაზრა). სამი-ოთხი წელიწადია ს. ზეინდარში არსებობს გლეხკომი, მაგრამ მან გლეხობაში ვერავითარი გავლენა ვერ მოიხვეჭა. გლეხკომმა არ იცის რა აკეთოს, რას მოკიდოს ხელი. საჭიროა, რომ გლეხკომის გაჯანსაღებას ყურადღება მიაქციოს სამაზრო გლეხკომმა.

აბკორი ბზიკი.

— **გზები არ გვივარგა.** (გორას თემი, ქუთაისის მ.). ამ თემის დიდ ნაკლულევანებათ უნდა დაითვალოს ის, რომ მას არ უვარგა გზები. ზამთარში და საზოგადოთ წვიმიან ამინდში აქ გავლა შეუძლებელი ხდება. საბჭომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს გზების კეთებას.

აბკორი ბზიკი.

— **შეუგნებლობის ნიმუში.** (ყაზბეგი, დუშეთის მ.). ყაზბეგი ტყით ძლიერ ღარიბია. გლეხებს შეშის ზიდვა შორიდან უხდებათ და ძვირადაც ჯდება. მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და შარშან რამდენიმე დესეტინა ველი დაგვითესა. ტყე ამოვიდა, მაგრამ მცხოვრებლებმა აუშვეს საქონელი და სრულიად გაანადგურეს ახალგაზრდა ტყე. წელსაც უნდოდათ ტყის დათესვა, მაგრამ მოსახლეობა უგულოდ ეკიდება საქმეს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა უნდა აუხსნან გლეხებს ტყის მნიშვნელობა.

შვილდ-ისარი.

— **ღარიბს ვეხმარებით** (ბოგვის თემი, თბილ. მ.). სოფ. საღრაშენის გლეხები ყოველგვარ დახმარებას უწევენ ღარიბებს და ქვრივ-ობლებს. 29 მაისს გლეხობა დაეხმარა ერთ ღარიბ გლეხს—მოუტანა სახლის მასალა.

ქ. მორბელაძე.

— **შემოიღეს რევოლიუციონური დღესასწაული.** (მარნის თ., სენაკის მ.). აპრილში ჩვენს თემში მოხდა სოფლის საერთო კრება, რომელზეც გამოტანილ იქნა დადგენილება საეკლესიო დღესასწაულების „მთავარანგელოსობის“ და ფერისცვალების გაუქმების შესახებ. მათ მაგიერ კრებამ დაადგინა შემოიღონ რევოლიუციონური დღესასწაული.

შ. ვაჩეიშვილი.

— **მილიცია თავის სიმაღლეზე სდგას.** (ყარაიაზი, თბილ. მ.). ყარაიაზის რაიონში გახშირებული იყო ყაჩაღობა. გლეხობა შეწუხებული იყო. მილიცია ვერაფერს ვერ ახერხებდა ყაჩაღების წინააღმდეგ. მაგრამ ახლა მდგომარეობა გამოსწორდა, მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. ჯიქიძე, რომელმაც თითქმის აღმოფხვრა ყაჩაღობა. მან მჭიდრო კავშირი დაიკავა გლეხობასთან და მისი საშუალებით ებრძვის ყოველგვარ ბოროტებას. უსურვოთ მილიციის კიდევ უფრო მეტი ენერგია.

ობლისშვილი.

მუშათა ცხოვრება

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს წარმოება-დაწესებულებებში და ფაბრიკა-ქარხნებში შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხის მოგვარება-მოწესრიგებას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მუშა ან მოსამსახურე თავის დროზე სამსახურში არ ცხადდება, სცდება მუშაობას და ეკარგება სამუშაო საათები, რის გამო ნორმალური მუშაობა ფერხდება. ზოგჯერ გამოუცხადებელ მუშის მოვალეობას აკისრებენ მეორე მუშას. ასე, რომ ორი კაცის მოვალეობის შესრულება ერთს უხდება. თავის თავად ცხადია, ასეთ მუშაობას დიდი ნაყოფის მოტანა არ შეუძლია.

სიმულიაციას სამწუხაროდ, კიდევ აქვს ადგილი ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში.

არა ნაკლებ უშლის ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას ლოთობა, რომელიც წარმოების და თვით მუშების ჯანმრთელობის მტერია. თუ მუშა ლოთობს და სამსახურში მთვრალი ცხადდება, რა თქმა უნდა იგი წარმოებას ვერ მოუტანს სარგებლობას. შრომის ნაყოფიერების ზრდა მარტო მუშებზე როდია დამოკიდებული; აქ მნიშვნელობა აქვს მანქანების მდგომარეობას, რაციონალიზაციის გატარებას და სხვ. მაგრამ ის რაც მუშებისაგან არის დამოკიდებული უთუოდ უნდა იქნეს შესრულებული.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში თვით მუშები უნდა იქნენ დაინტერესებულნი და ჩაბმული. წამოწყება-დაწესებულებებში და ფაბრიკა ქარხნებში მუშათა მასების უშუალო მონაწილეობით უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ა. ქ.

ხულიგნები რონოდებში

რკ. გზებზე განვითარდა ხულიგნობა რონოდებში.

ხულიგნობას ეწევიან მგზავრები, რომლებიც ხშირათ ლამობენ უბილეთოთ მგზავრობას. ზოგჯერ ხულიგნობა ბანდიტიზმში გადადის. ოქტომბერში სუფსა-ნატანების გადასარბენზე მოკლულ იქნა უფროსი კონდუქტორი, რომელმაც დააპირა უბილეთო მგზავრის სადგურში წარდგენა.

იმავე თვეში ქობულეთის მახლობლათ მძიმეთ დასჭრეს თავში რევიზორი, იმიტომ, რომ მან გაუბედა თავხედ მგზავრს შენიშვნების მიცემა.

თებერვლის თვის განმავლობაში ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში შემოსულია 109 ოქმი რონოდების ხულიგნების მოქმედობის შესახებ.

ეს ოქმები [illegible] თუ რამდენათ მძიმეა მატარებლების მომუშავე—მომქმედ ამხანაგების მდგომარეობა.

დღემდე ჩვენს სინამდვილეში არ იყო შემთხვევა, რომ გაემართათ ამგვარი ხულიგნობის საჯარო საჩვენებელი გასამართლება. სათანადო ორგანიზაციებს მართებს მიიღონ ზომები ასეთი უწესობების აღმოსაფხვრელად.

ს. სტრიჟკო.

საჭიროა სხვა მაზრებმაც მიჰბაძონ

დღეს ადგილობრივი ხელისუფლების პირველ საზრუნავ საგანს წარმოადგენს საბჭოების მუშაობის შესწავლა და მათი მუშაობის გამოცოცხლება. ამ მიზნით თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებამ თავის დროზე გადადგა სათანადო ნაბიჯები.

ამ საქმისათვის სპეციალურად გამოყოფილ იქნა ერთი კაცი, რომელიც აწარმოებს როგორც მაზრის, ისე თბილისის საბჭოს, მისი სექციების, აღმასკომის და პრეზიდიუმის როგორც დასწრების, ისე გარჩეულ საკითხების აღნუსხვას.

თითეულ საბჭოს წევრზე—როგორც ქალაქის, ისე თემის შემოღებულ იქნა პირადი ბარათი, რომლის მეორე გვერდზე აღინიშნება როგორც საბჭოს, სექციის, აღმასკომის ისე პრეზიდიუმის დასწრება, ეს კი გვაძლევს საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ როგორია აქტივობა მუშების, მოსამსახურეების, ქალების, პარტწევრების და სხვა.

საჭიროა სხვა მაზრებმაც მიჰბაძონ ასეთ ნაბიჯს და მათაც შემოიღონ ისეთივე წესი აღრიცხვისა, როგორიც თბილისის აღმასკომმა შემოიღო.

ვ. ბარათელი.

საყურადღებო წვრილმანები

— **„ხოშის“ კაცი.** ზაქტეპოს სავაჭრო რონოდის № 106 განაგებს ნიკოლოზ ივანოვი. ეს ვაგონი დადის სადგ. კურდამისისგან განჯამდე. სამწუხაროდ მოქ. ივანოვი უფრო მეტადათ ლოთობას ეწევა, ვიდრე მინდობილი საქმის წარმოებას. ის უანგარიშოთ ფლანგავს ფულებს. 25 მაისს გალეშილი გადმომდგარიყო რონოდიდან და ყვიროდა: «У кого есть «хоши» кутить, пойдем со мной». და სხვა.

მუშკორი ძია-ლევან.

— **ვინ მიაქცევს ყურადღებას?** (ქვალონი, ზუგდიდის მაზრა). ქვალონში არსებობს უმუშევართ ნადთა კავშირი, რომლის ხელმძღვანელად ითვლება ი. პაპავა. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ფულის დროზე გაცემის საკითხი ამ ხალხში. იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც კავშირში მომუშავე მუშებს უარი უთხრა პაპავამ ფულის მიცემაზე, მათ კი ერგებოდათ ერთი კვირის ნამუშევარი ხელფასი.

ეს საქმე უნდა მოაწესრიგოს შრომის ინსპექციამ.

***

— **ცოტა ყურადღება ჩვენც მოგვაქციეთ!** ქიათურის უბნის სახალხო სასამართლოში 2-3 წლის საქმეები ყრია გაურჩევლად. ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ მათ გარჩევას.

მოსამართლე ჯაჯანიძემ უნდა გვიპასუხოს რაშია საქმე.

სოფლელი.

— **მუყაითი მუშაკი.** 31 მაისს ბორჯომიდან გამოსულმა მატარებელმა მე-9 კილომეტრზე დააზიანა რელსი. ახალდაბიდან გამოსულ მატარებელს უთუოდ უბედური შემთხვევა მოელოდა, რომ რელსის დაზიანება არ შეემჩნია გზის დარაჯს ამხ. სიმონ მესხიძეს. მან გააფრთხილა სადგური და ამრიგად გადაარჩინა მატარებელი ხიფათს.

იქაური მუშა.

მუშათა ქრონიკა

— **პლენუმი.** 15 ივნისს თბილისში გაიხსნება საგზაო კომიტეტის მე-4 პლენუმი.

— **კვალიფიკაციის ამაღლება.** საგზაო კომიტეტის სატარიფო ეკონომიური განყოფილება ამჟამად აწარმოებს მუშაობას უმუშევართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— **1 ივლისს** დამთავრდება მეცადინეობა წერა-კითხვის ნაკლებ მცოდნეთა სკოლებში.

— **პრაქტიკაზე.** საგზაო კომიტეტმა მიმართა ელექტრო-ტექნიკურ სამსახურს, რათა ფართოთ იქნას გამოყენებული ამ სამსახურში მივლინებული სატელეგრაფო კურსებ დამთავრებული პრაქტიკანტები.

— **გადასამზადებელი კურსები.** რკინის გზის პროფგანათლების განყოფილება ახლო მომავალში ხსნის რონოდების დამზეთავთა გადასამზადებელ კურსებს.

— **საგზაო კომიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა რკ. გზის გამგეობის წინაშე რათა უბედურ შემთხვევებთან მებრძოლ კომისიაში შეყვანილ იქნას საგზაო პროფგანათლების წარმომადგენელი.

— **საზოგადო სწავლება.** საგზაო კომიტეტმა მიმართა საგზაო განათლების განყოფილებას—დაჩქარებით მოაწყოს სამტრედიაში და ბათომში მოწაფეთა საზოგადო სწავლების საქმე.

— **საგზაო კომიტეტმა დაადგინა** ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც ესაჭიროებათ კურორტებზე გამგზავრება — ჯანმრთელობის სისუსტის გამო, შეძლების დაგვარათ მივლინებული იქმნას სამუშაოთ სურამის და ბაკურიანის შტოებზე.

— **წესდება.** საგზაო კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს ადგილობრივ ენებზე რკ. გზელთა პროფკავშირის წესდება. ამ მიზნისათვის გადადებულია სათანადო თანხა. წესდება დაიბეჭდება და გამოვა მოკლე ხანში.

— **დასასვენებელ სახლებში.** საგზაო დამზღვევი სალარო შეუდგა მუშაობას მუშების დასასვენებელ სახლებში გასაგზავნად.

ჩვენი მიწერ-მოწერა

— **ვაჩეიშვილს.** „შემწუხებელს ასე ეკუთვნის“ არ დაიბეჭდება.

— **ხარბინელს.** „ამასაც პროტექცია უნდა?“ მოათავსეთ კედლის გაზეთში.

იაკობ სიმონისძე გოგებაშვილი

(მისი გარდაცვალებიდან 15 წლისთავის გამო).

დღეს სრულდება 15 წელიწადი ი. გოგებაშვილის გარდაცვალების დღიდან.

იაკობი დაიბადა სოფ. ვარიანში (გორის მაზრა) 1840 წ. 8—9 წლის იგი მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში; როცა აქ სწავლა გაათავა, გადაყვანილ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში; 1862 წელს გაათავა სწავლა სემინარიაში და, როგორც საუკეთესო მოწაფე, გაგზავნილ იქნა სახელმწიფო ხარჯზე კიევის სასულიერო აკადემიაში.

ეს ის დრო იყო, როდესაც მთელი რუსეთის ცხოვრება მესამოცე წლების ღრმა ზეგავლენას განიცდიდა. იმ დროს კიევში ცხოვრობდენ პიროგოვი და უშინსკი; მათი მოძღვრება ეფინებოდა ახალგაზრდობას. შესაძლებელია, რომ სწორედ ამ პიროგოვის და უშინსკის ზეგავლენით ჩაენერგა მას სურვილი პედაგოგიური მოღვაწეობისა. იაკობი არ კმაყოფილდებოდა აკადემიის ლექციებით და ხშირად დაიარებოდა უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა მომეტებულად საბუნებისმეტყველო ლექციებს. პროფესორის რჩევით, მან შეიძინა ჰუმბოლდტის „კოსმოსი“ და იწყო გულმოდგინეთ მისი კითხვა. კითხულობდა და, რამდენიც წინ მიდიოდა, იმდენად მთელი მისი ღვთისმეტყველური შეხედულება ჰაერში დაკიდებულ, უსაძირკვლო კოშკს ემზგავსებოდა. „კოსმოს“-აგან დაწყებული საქმე სრულიად დაამთავრა ფიზიოლოგიის პროფესორმა, რომლის რამდენიმე ლექციაც მოისმინა იაკობმა. გაჩნდა ბრძოლა მის სულსა და გულში, ღვთისმეტყველური აზროვნება ჯიუტად ეფარებოდა ძველებურ ციხე-კოშკებს, მაგრამ ბუნებისმეტყველების მედგარი იერიშები მიწასთან ასწორებდენ ამ ხავსმოკიდებულ ციხე-კოშკებს და მათ ქვეშ თავშეფარებულ მოძღვრებას შეუბრალებლად ერეკებოდენ გარედ.



იაკობ გოგებაშვილი

კიევში იაკობს ავადმყოფობა აღმოაჩნდა: დააწყებინა ხველება, რაც რუსეთის ზამთარმა თავისი მკაცრი ყინვებით უფრო და უფრო გაურთულა. მესამე წლის შემდეგ სისხლის ღებინება დააწყებია და ჭლექის სხვა ნიშნებიც აღმოაჩნდა. ექიმების რჩევით იაკობი იძულებული შეიქნა სურვილის წინააღმდეგ სამშობლოში დაბრუნებულიყო.

როდესაც ცოტაოდნათ მომჯობინა, სამსახურში შევიდა. იგი დაინიშნა სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიის და არითმეტიკის მასწავლებლად. შემდეგ გადაყვანილ იქნა სემინარიაში. იაკობის ბუნება ვერ ითმენდა მოხელურ ცხოვრებას, რომელსაც უფრო და უფრო ართულებდა ის საშინელი ძველი ყაზარმული დისციპლინა, რომელიც იქ გამეფებული იყო. მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობის და თავისი პროფესიის განუსაზღვრელი სიყვარული აჩერებდა მას და ამაგრებდენ თავის ადგილზე.

იაკობის ინიციატივით სემინარიაში დაარსებული იქნა ახალგაზრდა მასწავლებელთა ჯგუფი. ამ ჯგუფს დასახული ჰქონდა მიზნად მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის და საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესება. ჯგუფის წევრები ხშირად იკრიბებოდენ იაკობის ბინაზე და გატაცებით ბჭობდენ დასახულ მიზნის მისაღწევად. ეს ბაასი მოსწავლეებშიაც გადადიოდა. მოსწავლეთა უმრავლესობა ამას აღტაცებით ეგებებოდა... რა თქმა უნდა, მათ შორის თითო-ოროლა სულმდაბალნიც აღმოჩნდენ, რომელნიც უფროსებთან ენატანიობას ეწეოდენ. უფროსებს, უკვე სრული ინფორმაცია ჰქონდათ ხსენებული ჯგუფის მოღვაწეობაზე და ზომების მიღებაზე ფიქრობდენ. მალე ჯგუფის ყველა წევრები დაითხოვეს სამსახურიდან. ამის შემდეგ იაკობი დაინიშნა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. მაგრამ აქაც გამოჩნდენ ულირსნი და დააბეზღეს. იგი, როგორც ავტორი „ბუნების კარი“-სა, სადაც მოთავსებული იყო ბუნებისმეტყველებიდან „მაიმუნების ცხოვრება“. მას ათეისტობა შესწამეს.

— შენ დარვინისა და კ. ფოხტის მოწაფე ხარ. საწერელო მაგიდაზე გიდევს „შთამომავლობა ადამიანისა“ და არა თუ შენ კითხულობ, არამედ მცირეწლოვან მოწაფეებსაც კი ანვითარებო.

ათასნაირი გაიძვერობა ობობას ქსელივით შემოეხვია იაკობის გარშემო. „შინაურმა“ მტერმაც წამოჰყო თავი: სიცხემ და ხველამ უმატა. იგი იძულებული გახდა ყველა ამ პირობების მიზეზით სრულიად დაენებებინა თავი სამსახურისათვის.

და აი, იაკობი მხოლოდ ლიტერატურული შრომით იწყებს ცხოვრებას. იგი ადგენს სახელმძღვანელო წიგნებს, განსაკუთრებით პირველდაწყებით სკოლებისათვის. ეწევა თანამშრომლობას ყოველდღიურ და პერიოდულ რუსულ-ქართულ პრესაში, ჟურნალ-გაზეთებში, იღებს მონაწილეობას ყოველგვარ საზოგადოებრივ ხასიათის დაწესებულებებში, როგორც ინიციატორი და აქტიური წევრი, ერთი სიტყვით, ეწევა ფართო მასშტაბით საზოგადო სარბიელზე მოღვაწეობას; მაგრამ განსაკუთრებით კი პედაგოგიურ სფეროში.

პირველად მისი წიგნი „ქართული ანბანის“-ს სახელწოდებით გამოვიდა 1865 წელს და 1867 წ.—ქართული ენის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“. 1876 წელს—პირველდაწყებითი სახელმძღვანელო ქართული ენისა „დედაენა“-დ წოდებული; გარდა ამ წიგნებისა, სხვადასხვა დროს გამოიცა „კონა“, „კოკორი“ და სხვა მრავალი საყმაწვილო საკითხავი წიგნი: „ივ-ნანამ რა ჰქნა“, „აკიდო“, „მოსავლის მცველნი“, „ასპინძის ომი“, „რანი ვიყავით გუშინ“. „ბურჯი ეროვნებისა“, „სხივი წარსულისა“, „ხომლი“, „კუნწულა“, „ძირითადი უკუღმართობა“, „Русское Слово“, „სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის“, „რჩეული ნაწერები“ და სხვა. სულ იაკობის ნაწარმოებნი 37 სხვადასხვა სახელწოდებითაა გამოცემული. ტირაჟით — 2.475.000 ცალი. ვინ იცის, რამდენი ათასი და ათი ათასი ბავშვი აზიარა სწავლაში ი. გოგებაშვილმა. ვინ დასთვლის, რამდენს შეაყვარა სწავლა და განაგრძობია იგი უმაღლეს საფეხურამდე, რამდენ ახალგაზრდას აღუგზნა გულში ხალხის სიყვარული და ჩაუნერგა სურვილი მისი სამსახურისა.

პატარა მოკლე საგაზეთო წერილით არ შეიძლება ამოიწუროს იაკობის ღვაწლის დაფასება. ჩვენ საშუალება გვექნება შემდეგ დაუბრუნდეთ ამ საკითხს და დაწვრილებით განვმარტოთ, თუ ვინ იყო და რა გააკეთა გოგებაშვილმა განსაკუთრებით ქართველ მშრომელი მასების სასარგებლოდ.

ვ. ბურჯანაძე.

იშვიათი პედაგოგი

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

დღეს, 15 წელიწადი შესრულდა, რაც გარდაიცვალა ქართველთა სახელგანთქმული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე **იაკობ სიმონისძე გოგებაშვილი.**

ი. გოგებაშვილი დაიბადა ქართლში, სოფ. ვარიანში 1840 წელს 15 ოქტომბერს, იაკობის მამა მღვდელი იყო, დედა კალმახელიძის ქალი, რომლის წინაპრები ქართლში გადმოსახლებულან ზემო იმერეთიდან.

ცხრა წლის იაკობი მშობლებმა შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც იაკობს პირველ მოწაფედ დაუმთავრებია. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იაკობი გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და აქ კურსი დაამთავრა 1861 წელს. შემდეგ იგი გაგზავნეს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. იაკობმა კიევში ავადმყოფობა დაიწყო და იძულებული გახდა კიევისათვის თავი დაენებებია. იგი დანიშნეს კავკავის სასულიერო ინსტიტუტის ინსპექტორად. გოგებაშვილს ვერც კი მოესწრო კავკავში ჩასვლა, რომ რაღაც მიზეზით, სასწავლებელი დაკეტეს და ისიც გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო საწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებლად. შემდეგ იაკობი სიტყვიერების მასწავლებლად, იყო იმავე სასწავლებელში. აქ გოგებაშვილმა თავი ისახელა, როგორც საუკეთესო პედაგოგმა, რომელმაც მკვიდრ ნიადაგზე დააყენა რუსული ენისა და სიტყვიერების სწავლების საქმე ქართველ მოწაფეებს შორის, მაგრამ ვერც მისმა პედაგოგიურმა ნიჭმა და ვერც მისმა გულმოდგინე პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ვერ იხსნა იგი რეაქციონური მთავრობის იერიშებისაგან. ორი წლის პედაგოგიურ მოღვაწეობის შემდეგ, გოგებაშვილი სასულიერო სემინარიის მასწავლებლობიდან დაითხოვეს, იმ მიზეზით, რომ მოწაფეებს ლიბერალიზმს უქადაგებსო.

ამის შემდეგ გოგებაშვილი შეუდგა საზოგადო სამწერლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას და დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას.

ქართველთა ახალგაზრდობის მთელი თაობები იზრდებოდენ მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებზე.

არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი საჭირბოროტო საკითხი, მაშინდელ სინამდვილეში, რომელსაც არ შეხებოდეს გოგებაშვილი.

გოგებაშვილმა პირველი თავისი ნაშრომი „ანბანი“ გამოსცა 1965 წელს, „ბუნების კარი“—1867 წ., ხოლო 1876 წ. დაბეჭდა „დედა ენა“. როგორც პედაგოგი იგი თავის უშუალო ამოცანად ისახავდა ბრძოლას პედაგოგიკის გაჯანსაღებისათვის ქართულ სკოლებში.

იაკობი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ჰუმანიტარულ განათლებით გატაცებისა და გიმნაზია-პროგიმნაზიების გამრავლებისა, რომელნიც მისი აზრით მხოლოდ გამოუდეგარ და ცხოვრებისათვის შეუფერებელ ჩინოვნიკებს ზრდიდენ.

ბევრი მისი პედაგოგიური შეხედულებანი, რასაკვირველია, ჩვენი დროისთვის მოძველებულია და შეუფერებელი, მაგრამ არის მის შეხედულებებში ბევრი ისეთიც, რომელიც თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერების მიერ სავსებით მისაღებია.

გოგებაშვილი თავის მოღვაწეობას არ საზღვრავდა პედაგოგიურ-კულტურული ასპარეზით. იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, რომელსაც ეკუთვნის მრავალი საყურადღებო წერილი სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე.

ქ. ლ—ი.

პროფკავშირებში

ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმში

პროფკავშირების 10 წლის თავი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად დაამუშაოს საკითხი სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს 10 წლის თავის დღესასწაულის შესახებ და წარუდგინოს პრეზიდიუმს თავისი მოსაზრებანი.

მუშათა განათლება

ს. პ. კ. საბჭოს კულტგანყოფილებას დაევალა შეადგინოს თავისი წინადადებები მუშათა განათლების ქსელის შესახებ და მიიღოს ზომები, რათა შეცვლილი იქნეს ამჟამად არსებული მუშათა განათლების სისტემა და დაარსებული იქნეს მუშათა უნივერსიტეტი.

საწევრო ანარიცხების აკრეფა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო რა მხედველობაში სახალხო კვების კავშირის წევრთა შორის ანარიცხების აკრეფის სიძნელე მათ სხვადასხვა ადგილებზე მუშაობის გამო და სახალხო კვების კავშირის კრიტიკული ფინანსიური მდგომარეობა, შესაძლებლად სცნო დაუშვას როგორც გამონაკლისი სახალხო კვების კავშირის წევრთა შორის ანარიცხების ამკრეფლებზე ჯილდოს დაწესება.

ს. პ. კ. ს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა სახალხო კვების კავშირთან ერთად მოაგვაროს აღნიშნული საკითხი.

გამომცემლობა „შრომა“

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა“-ს გამგეობა დაამტკიცა 7 კაცისაგან.

გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **ალ. ფირალიშვილი,** მოადგილეთ—ამხ. **ს. გოდაბრელიძე,** წევრებად: ამხ. ი. ჭელიძე, ბაიანდუროვი, უშანგი ჯაში (მბეჭდავი), ორჯონიკიძე (საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირიდან) და ფანცულაია (მბეჭდავთა კავშირი).

მუდმივ სამუშაოდ გამომცემლობაში მოწვეულია ამხ. **უშანგი ჯაში.**

დასასვენებელი სახლების გამგეობის შესახებ

რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს არჩევითი პრინციპზე დაარსების გამო, სადაც საკმაოდ შედიან კავშირების წარმომადგენლები, დასასვენებელი სახლების გამგეობის არსებობა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ზედმეტად ჩასთვალა და მისი ფუნქციები გადასცა რესპუბლიკის სოცდაზღვევის სამმართველოს.

მე-6 ყრილობის დადგენილებების პოპულიარიზაცია

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-6 ყრილობის მუშაობის და დადგენილებების პოპულიარიზაციისათვის თბილისში ჩატარებული იქნება სათანადო კამპანია 15 ივნისიდან 15 ივლისამდე.

წარმომადგენლის გაგზავნა

სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ბანკთან არსებულ მუშათა სექციებზე სესხის გამცემ კომიტეტში საქართველოს ს.პ.კ.ს. წარმომადგენლად გამოყოფილი იქნა ამხ. **ხვედელიძე,** ხოლო მის მოადგილედ—ამხ. **ერისთავი** (მუშკოოპიდან).

ფარმაცევტების შევიწროების შესახებ

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აბსოლიუტურ დაუშვებლად ჩასთვალა ერთი და იმავე ფარმაცევტის შეთავსებითი მუშაობა სხვადასხვა ადგილებზე მაშინ, როდესაც მრავალი უმუშევარია მშრომელი ინტელიგენციიდან, რომელთა გამოყენება შეიძლება სათანადო მომზადების შემდეგ.

გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. **ხვედელიძის, ჭელიძის და ჯაჯაძის** შემადგენლობით, რომელსაც დაევალა წარუდგინოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს თავისი მოსაზრებები ზედმეტ და შეთავსებით მუშაობის აღმოსაფხვრელად და ფარმაცევტების შევიწროების შესახებ.

ამავე დროს მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობას დაევალა წარუდგინოს პრეზიდიუმს მორიგ სხდომაზე თავისი მოსაზრებები აღნიშნული საკითხის შესახებ.

დამსახურ. პროფ. გრ. წერეთელი
მისი არჩევის გამო გერმანიის არქეოლოგიურ ინსტიტუტის წევრ - კორესპონდენტათ

მუშათა კონფერენციები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სამაზრო ქალაქებში, სახელდობრ ბორჯომში, ქუთაისში, ხაშურში, ფოთში, ბათომში, სამტრედიაში, სოხუმში და ჭიათურაში ჩატარებული იქნება მუშათა გაფართოებული კონფერენციები.

კონფერენციები ჩატარებული იქნება 1-ლი ივლისიდან 15 ივლისამდე. კონფერენციების დღის წესრიგში დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და 2) ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

მუშათა გაფართოებულ კონფერენციებზე მომხსენებლები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გაგზავნილი იქნებიან თბილისიდან.

წარმომადგენლობის ნორმად დაწესებულია: ბორჯომში 10 კაცზე 1 დელეგატი ქუთაისში 15, ფოთში 10, ხაშურში 10, ბათომში 20, სამტრედიაში 10, სოხუმში 15 და ჭიათურაში 15.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი.

ვოიკოვის ხსოვნის აღნიშვნა

სხდომის გახსნისას ამხ. ლადო სუხიშვილის წინადადებით პლენუმმა ფეხზე ადგომით პატივი სცა თეთრ-გვარდიელების მიერ ვარშავაში ვერაგულად მოკლულს საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ვოიკოვის ხსოვნას.

თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატი“

პრეზიდიუმის სახელით ამხ. ლადო სუხიშვილს შემოაქვს წინადადება, რომ თბილისის მუშათა მასსამ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მსგავსად სათანადო პასუხი გასცენ ინგლისის ბურჟუაზიის მორიგ გამოსვლას—საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას იმით, რომ ააგოს საკუთარი თვითმფრინავი „თბილისის პროლეტარიატის“ სახელწოდებით. ამ მიზნით პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია დაიწყოს შეწირულების შეგროვება თბილისის მუშა-მოსამსახურეებს შორის. ამავე დროს ამხ. სუხიშვილი წინადადებას აძლევს საბჭოს დაადასტუროს პრეზიდიუმის დადგენილება თვითმფრინავის ასაგებად ხუთი ათასი მანეთის გაღების შესახებ.

წინადადება მქუხარე ტაშის ცემით ერთხმად იქნა მიღებული.

ფასების დაკლების შედეგები

(მომხსენებელი ამხ. მ. გავაშელი)

შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით 1-ლი ივნისისათვის უნდა მომხდარიყო საცალო ფასების დაკლება ათი პროცენტით. დაკლება უნდა ჩატარებულიყო შემდეგნაირად: თვით სახელმწიფო მრეწველობას თავის პროდუქტებზე უნდა დაეკლო 4,5—5 პროცენტით, დანარჩენი უნდა დაეკლოთ სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს. შემოწმება იმისი, თუ როგორ ჩატარდა ეს დირექტივა ცხოვრებაში თბილისში დაკისრებული ჰქონდათ მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ამ მიზნისათვის საგანგებოდ მოწყობილ მუშათა ფართო სარაიონო კომისიებს. კომისიებმა უკვე დაამთავრეს თავისი მუშაობა და დააგროვეს საკმაოდ დიდი ძალი მასალები, რომელთა მიხედვით შეიძლება საბოლოო დასკვნის გამოტანა ფასების დაკლების შესახებ. ამ მასალებით ირკვევა, რომ პირველი ივნისისათვის თბილისის მუშკოოპში საცალო ფასები დაკლებული იყო 12,5 პროცენტით, ა. ქ. სატრანსპორტო კოოპერაცია —„მეომარში“ 11,5 პროცენტით, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო მაღაზიებში 11,7 პროცენტით და „ტექსტილტორგ“-ში 9,6 პროცენტით. ამ უკანასკნელს სავაჭრო ორგანიზაციაში აბსოლიუტურად ფასები უფრო მეტადაა დაკლებული, ვიდრე თბილისის სხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების იმ ნაკლულევანებებს, რომელნიც მუშათა კომისიებს შეუნიშნავთ თავის გამოკვლევის დროს. ამ დეფექტებს შორის აღსანიშნავი არიან: ფასების დაკლება ისეთ საქონელზე, რომელზედაც ან სრულიად არ არსებობს მოთხოვნილება, ან ნაკლები მოთხოვნილებაა. ფართო მოსახმარი საქონლის ნაკლებობა და უქონლობა, ცუდი მოპყრობა მყიდველებისადმი და სხვა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სცნობს მუშაობის გაგრძელებას ფასების შემდგომი დაკლებისათვის და სადაც მოყვანილია მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებებისა, ფასების დასაკლებად გამოცემულ დირექტივის განსახორციელებლად.

შრომის ბირჟის მუშაობის შესახებ

იმ კომისიის სახელით, რომელიც წარსულ პლენუმზე იქნა არჩეული შრომის ბირჟის მუშაობის შესახებ წაკითხულ მოხსენების მიხედვით კონკრეტულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად, საბჭოს ამხ. თხილავამ წარუდგინა შემდეგი წინადადებები: 1) წინადადება მიეცეს ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებას იმ თანხების 80 პროცენტი, რომელიც ქალაქის კეთილმოსაწყობად არის დანიშნული, მოხმარდეს უმუშევართა ხელფასს, 2) აღიკრძალოს ბირჟის გარეშე მუშათა ხელის დაქირავება და იმ დაწესებულებების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომელნიც მუშა ხელს ბირჟის გარეშე აიყვანენ, მიიღებულ იქნას სასტიკი ზომები მათი პასუხისგებაში მიცემით და სხვა; 3) გაიხსნას სპეციალური კურსები უმუშევართა მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საბჭომ მიიღო კომისიის წინადადება.

ზაჰესის საზეიმო გახსნა

საბჭოს პლენუმმა ზაჰესის საზეიმო გახსნის დღეთ დანიშნა კვირა, 26 ივნისი. ზეიმის ჩატარების წესრიგის გამოსამუშავებლად პლენუმმა აირჩია კომისია, რომელშიდაც შედიან ამხ. ამხ. **სუხიშვილი** (თავმჯდომარედ), **კახიანი. ელიავა, ასრიბეკოვი, ყურულაშვილი, ინჟ. ჭიჭინაძე, ინჟ. მელიქფაშაევი ალაძე, ფანცულაია, ვართაპეტოვი** და **ვოლსკი.**

ფასების დაკლებისათვის

შედეგების შემოწმება პროვინციაში

ფასების დაკლების კამპანიამ, როგორც უკვე გამორკვეულია, ყველაზე მეტი შედეგი მოგვცა ქალაქებში. განსაკუთრებით კი ისეთ ცენტრალურ ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ქალაქებში, როგორიცაა მაგალითად, თბილისი. პროფკავშირების ხელმძღვანელობით თბილისში უკვე მოეწყო მუშათა კომისიები კამპანიის შედეგების გამოსაკვლევათ. ამ კომისიათა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო, რომლის აღწერასაც ჩვენ აქ ეხლა არ შეუდგებით.

მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ საჭირო იყო და არის ასეთივე კონტროლის ჩატარება სხვა ჩვენს დაბა-ქალაქებში და სოფლებში. დღემდე ეს სხვადასხვა პატივსადებ მიზეზების გამო მიუღებელი იყო. ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფასების დაკლების კამპანიის შემოწმებაში სხვა ქალაქებშიაც.

ამ მიზნით ჯერ-ჯერობით განზრახულია შემოწმების ჩატარება რვა პუნქტში, როგორიცაა: ბორჯომი, ქუთაისი, ხაშური, ფოთი, ბათომი, სოხუმი, სამტრედია და ჭიათურა. ამ პუნქტებში იმუშავებენ ადგილობრივათ გამოყოფილი კომისიები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისიდან ჩამოსული ამხანაგები.

საჭიროა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღონ ყოველნაირი ზომები, რათა ფასების შემმოწმებელ კომისიებს გაუადვილონ მუშაობა. დღემდე დიდი საყვედურები ისმის პროვინციაზე, რომ ის ზანტათ ატარებს ფასების დაკლების კამპანიას, რომ იქ უფრო მეტად, ვიდამახინჯებას და სხვა. მუშათა შემმოწმებელ დრო დიდ ცენტრებში, ადგილი აქვს კამპანიის კომისიების საქმიანობამ უნდა დაგვანახოს, რამდენათ სამართლიანია ეს საყვედურები. მუშათა კომისიებმა უნდა უჩვენონ პარტიას და ჩვენს უმაღლეს სამეურნეო ორგანოებს, სად და რაში მოიკოჭლებს ფასების დაკლების საქმე პროვინციაში.

კომისიებში წარმატებით მუშაობა ბევრათაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად შეუწყობენ ხელს მათ ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოებრივი გაერთიანებათა ორგანოები. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ კომისიების მუშაობა დიდ სარგებლობას გამოიღებს ფასების დაკლების კამპანიისათვის.

გ. გ—ძე.

პროფსაბჭო ფასების დაკლების შესახებ

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა ფასების დაკლების კამპანიის შედეგების გამოკვლევაში ადგილებზე.

ამ მიზნით გუშინ ადგილებზე გაემგზავრენ საქ. პროფკავშირთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ხოლო ამ დღეებში მიემგზავრება კიდევ მეორე ჯგუფი. პროფსაბჭოს წარმომადგენლები იმუშავებენ ადგილებზე, ფასების კამპანიის შედეგების გამომკვლევ კომისიებთან ერთად. კომისიების მუშაობაში ჩაბმული იქნებიან მუშათა ფართო წრეები.

ფასების დაკლების კამპანიის შედეგების გამოკვლევა ჩატარდება 8 ისეთ ადგილას, სადაც მუშური მოსახლეობა ბევრია. ასეთი ადგილებია: ბორჯომი, ქუთაისი, ხაშური, ფოთი, ბათომი, სოხუმი; სამტრედია და ჭიათურა.

კომისია შეუდგება საცალო ფასების რაოდენობის გამოკვლევას 1-ლი იანვრისათვის და გამოკვლევის დროისათვის.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. მარკმანის თქმით, გამოკვლევის დასრულება ნავარაუდევია 25 ივნისისათვის.

გამოკვლევის მონაწილეთა თბილისში დაბრუნების შემდეგ, მოწვეულ იქნება მუშათა ფართო კრებები და კონფერენციები, სადაც გაკეთებულ იქნება მოხსენებები ფასების დაკლების კამპანიის შედეგებზე და გამოკვლევის დროს შეკრებილ მასალებზე.

ხარჯების შემცირება მუშკოოპში

მუშკოოპის გამგეობის წევრმა ამხ. **მელჩანსკიმ** განაცხადა, რომ ჯერ-ჯერობით არ მოიპოვება სრული ცნობები იმის შესახებ, თუ რა გააკეთა მუშკოოპმა მისი აპარატის რაციონალიზაციისა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად.

კოოპერაციის ხარჯები ორჯგუფათ იყოფა: დამოკიდებული ხარჯები, ე. ი. ისეთები, რომლის მოწესრიგება გამგეობას შეუძლია და ისეთი ხარჯები, რომლებიც გამგეობის ძალ-ღონეზე არაა დამოკიდებული.

პირველი ჯგუფის ხარჯები წარსული წლის განმავლობაში შეადგენდა 9.14 პროც.-ს ბრუნვასთან შეფარდებით, ხოლო 7 თვის განმავლობაში (ოქტომბრიდან დაწყებული) იგი გამოიხატა 7.85 პროც.-ში. ამ ჯგუფის ხარჯების შარშანდელ ნორმას თუ მივიღებთ 100-ათ, აღმოჩნდება, რომ ეხლა ჩვენ მივაღწიეთ ამ ხარჯების 14,2 პროც.-ით დაკლებას.

მაგრამ, თავის თავად ცხადია, მხოლოდ ერთ თვეს საერთო მდგომარეობის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მით უმეტეს, რომ კოოპერაციას მთელი კიდევ ისეთი ძნელი თვეები, როგორიც ივლისი-აგვისტო და სექტემბერია, როდესაც უნდა მოველოდეთ ჩვენი საქონლის ბრუნვის შემცირებას. ჩვენ იმედი გვაქვს პირველი ჯგუფის ხარჯების დარგში შევასრულოთ შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა. ჩვენ ვღებულობთ ყოველგვარ ზომებს, რათა შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა შევასრულოთ, არა მარტო პირველი ივლისისათვის, არამედ ეს 15 პროცენტი შევინარჩუნოთ წლის ბოლომდე.

შემდეგ — მეორე ჯგუფი ხარჯებისა, რომელთა შემცირება ჩვენზე არ არის დამოკიდებული. აქ სურათი სხვანაირია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენგან დამოკიდებულ ხარჯების შემცირება მთლიანად იფარება ჩვენგან დამოუკიდებელ ხარჯების გადიდებით. ამ ჯგუფს ეკუთვნის გადასახადები, იჯარა და სხვა. შარშან ამ ჯგუფის ხარჯები შეადგენდენ 3.47 პროცენტს ბრუნვასთან შეფარდებით, ხოლო მიმდინარე სამეურნეო წლის შვიდი თვის განმავლობაში—4,28 პროცენტს.

შარშანდელი წლის ხარჯების საერთო ჯამი ბრუნვასთან შეფარდებით შეადგენდა 12,61 პროცენტს, ხოლო მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში იგი უდრიდა 12,13 პროცენტს.

კოოპერატივ „მეომარში“

კოოპერატივ „მეომარში“ ისეთივე სურათია, როგორც სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. აქაც დამოკიდებული ხარჯები შემცირებული იყო 7,6 პროცენტით, მხოლოდ დამოუკიდებელი ხარჯები გაიზარდა 9,90 პროცენტით.

დამოუკიდებელ ხარჯების გადიდებაზე ძლიერი გავლენა მოახდინა ხელფასის 16,5 პროცენტით და სოციალურ დაზღვევის გადასახადის [illegible] პროცენტით გადიდებამ. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ პირველ ივლისისათვის შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ შესრულებული იქნება.

პატარა ფელეტონი

ნოტა პოლონეთის მთავრობას

(ამხ. ლიტვინოვის ნოტის დამატება)

ლიტვინოვს ნოტას მე მსურს
დაუმატო პან პილსუდსკი:
ჩვიდმეტ პროცენტს*) გაუფრთხილდი,
შემდეგ ნოტას ნუ დაუცდი.
შენ ცნობილი მარშალი ხარ,
თან ნასწავლი და ნაკითხი;
შენთვის უნდა გარკვეული
იყოს, ხოლმე, ეს საკითხი:
ეხლა უკვე შეიცვალა
ძველი დრო და ძველი ხანა,
არვის ძალუძს ძველ რელსებზე
ისტორიის გადაყვანა.

[illegible] შენც [illegible]
აიკარი ბარგ-ბარხანა,
გახსოვს? ბევრი გადაყარეს
შენისთანა სალახანა.
შეაგროვე და გასწიე
ჩემბერლენთან ბანდიტებით,
თორემ ხალხი მიგაბრძანებს;
ჩვენც კმაყოფილი ვიქნებით.
მანამდის კი.., გთხოვთ მიიღოთ,
ღრმა თქვენდამი... სხვაც ამგვარი.
ბრძანდებოდეთ დარწმუნებით,
ეს ასეა რაც გითხარი.

ხოზიკა.

---

*) ვარშავაში მუნიციპალურ არჩევნების დროს არალეგალურად მომუშავე კომპარტიის სიამ მიიღო ხმების საერთო რაოდენობის ჩვიდმეტი პროცენტი, ამრიგად ვარშავაში ყოველი მეექვსე მოქალაქე კომუნისტია, ან თანამგრძნობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის პროვოკაციის წინააღმდეგ

თბილისის ექიმთა ხმა

შაბათ საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა ქალაქის ექიმების და კბილის ექიმთა საერთო კრება, რომელმაც მოისმინა ამხ. ლევან ღოღობერიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

კრების გაგრძელება გადაიდო ორშაბათისათვის.

გუშინ საღამოს მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ქ. ტ. ლორთქიფანიძემ, პროფ. მაჭავარიანმა, პროფ. ალადაშვილმა, ნ. ა. ყიფშიძემ, ი. ლორთქიფანიძემ, ტყავაძემ, წულუკიძემ სარიბეკოვმა, ლამბარაშვილმა და გედევანიშვილმა.

დაწვრილებითი ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

კამათი დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ლ. ღოღობერიძე, რის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. საბჭოთა დიდი კავშირის მუშების, გლეხების და მშრომელი ინტელიგენციის უკეთესი ნაწილის თავდადებით, ყოფილი რუსეთის დიდი იმპერია, რომელიც მხუთავდა კულტურულ ცხოვრებას და დაჩაგრულ ერთა თვით გამორკვევის პრინციპებს, განთავისუფლდა თვითნებურ წესწყობილებისაგან. მშრომელთა მასების თავდადებული საქმიანობით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო მტკიცე აღმშენებლობითი მუშაობა, რასაც შედეგათ მოჰყვა საბჭოთა რესპუბლიკების უფლებრივი ცხოვრების ჩამოყალიბება, მშვიდობიანი შრომა, რესპუბლიკების მატერიალური და კულტურულ მხარეების აღორძინება, თავისუფლად ამოისუნთქა პატარა ერებმა, რომელთა შორის დამყარდა ძმური და საქმიანი ურთიერთობა.

2. მიუხედავათ ხელისშემშლელ მძიმე პირობებისა, შინაური და გარეშე მტრების ყოველგვარი აგრესიულ მოქმედებისა, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა მშრომელი მასის ურყევ ნებისყოფასა და სასიცოცხლო უნარიანობაზე, თავი დააღწია დაბრკოლებებს, ხსლია ომიანობის მძიმე მემკვიდრეობა, გადალახა მრავალი ეკონომიური დაბრკოლება, უცხოელების ინტერვენცია და იგი გამარჯვებული გამოვიდა ამ სწორუპოვარი ბრძოლიდან.

3. ყოველი მოუდგომელი და პატიოსანი მოქალაქე მათ შორის მოწინავე მშრომელი ინტელიგენციაც პირუთვნელად დარწმუნდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიდი ისტორიული სასიცოცხლო მოვლენაა; მან სინამდვილეში შესძლო მშვიდობიან, სამეურნეო და კულტურულ საქმიანობისათვის მტკიცე პირობების შექმნა, რომელშიაც ფრთებს შლის ხალხის უნარი და შემოქმედება. უდავო ხდება ყველასათვის, რომ აქ, საბჭოთა კავშირში იშვება ის მიზნები, რომელიც დასახული ჰქონდა კაცობრიობის მოწინავე ნაწილს და რომლისათვისაც თავგანწირულად იბრძოდა მოღვაწეთა მთელი რიგი.

4. მუშათა კლასის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების უნარიანობა და მიღწევები აბოროტებს კაპიტალისტური სახელმწიფოების მმართველ წრეებს და ჩვენი კავშირის გარეშე მოკალათებულ გაბოროტებულ ემიგრაციას, რომელიც გარიყულია რევოლიუციის ტალღების მიერ.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამ უმაგალითო სიძულვილში ერთმანეთს დაუკავშირდა რუსის მონარქისტი და ქართველი ემიგრანტი, რომელნიც უცხო სახელმწიფოების ფულით ყიდულობენ პოლიტიკურ ნაძირალებს და აყენებენ თავიანთ მიზნებისათვის.

5. ამ ღვარძლიანობისა და სიძულვილის შედეგია ის პროვოკაციული მოქმედებანი, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ: ითხზება ჭორები, თავს ესხმიან და ხძარცვავენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობას, სწყვეტენ დიპლომატიურ ურთიერთობას, ახდენენ ტერორისტულ და ბანდიტურ თავდასხმებს, რომლის ლოღიკური დაგვირგვინებაა ამხ. ვოიკოვის უკანასკნელი ყაჩაღური მკვლელობა პოლონეთში.

ამას უნდა დაემატოს ის ფაქტები, რომელიც გამოქვეყნებული იქნა ამხ. ლ. ღოღობერიძის მიერ და რომლიდანაც სჩანს, რომ მენშევიკური კონტრ-რევოლიუცია საქართველოში კიდევ უნდა გამოიწვიოს პროვოკაციული გამოსვლები, უნდა კიდევ გაიმეოროს 1924 ავანტიურა.

6. როდესაც ადგილი აქვს ასეთ აღმაშფოთებელ მოვლენებს, რომელიც ამწვავებს ისედაც გართულებულ საერთაშორისო მდგომარეობას, რომელსაც შესაძლოა შედეგათ მოჰყვეს მშვიდობიანობის დარღვევა, როდესაც საქართველოში კვლავ უნდათ გამოიწვიონ სისხლისღვრა და კვლავ უნდათ შექმნან სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლი, რითაც ხელი შეეშლება კავშირში წარმოებულ აღმშენებლობითი საქმიანობას, — ჩვენ, თბილისის ექიმები, მთელი ჩვენი არსებით ერთხმად ვაცხადებთ, რომ ჩვენ, რომლებმაც ჩვენი ბედი დაუკავშირეთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ საქმიანობას, სადაც სრული შესაძლებლობა გვაქვს ნაყოფიერი შრომისათვის, ვაღიარებთ, რომ ჩვენც, მუშებთან და გლეხებთან ერთად სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ, საბჭოთა მთავრობისა და მისი ხელმძღვანელ პარტიის წინააღმდეგ წარმოებულ მოქმედებათა გამო და მხურვალეთ მოუწოდებთ ყველა სახელმწიფოთა ექიმებს, რათა მათ ჩვენთან ერთად და ჰგმონ ძალმომრეობა და შეუერთონ თავიანთი ხმა ჩვენს სამართლიან პროტესტის ხმას.

მოვითხოვთ ამხანაგ ვოიკოვის მკვლელის სასტიკად დასჯას

კასპის რკინისგზელების რეზოლიუცია

სადგურ კასპის და კვანახურის რკინისგზის სააღმშენებლო სამუშაოებზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება ერთსულოვნათ უერთდება თბილისის და მთელს საქართველოს პროლეტარიატის ფართო საპროტესტო დემონსტრაციას. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის საზიზღარ მკვლელობის გამო და მოითხოვს მკვლელის სასტიკად დასჯას.

კრების თავმჯდომარე ამაშუკელი.

საპროტესტო მიტინგი ქალაქ გორში

ამხ. ვოიკოვის მოკვლის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა გორის მუშა-მოსამსახურეებში, წითელი არმიის ნაწილებში და მოსწავლე ახალგაზრდობაში.

9 ივნისს, საღამოს გაიმართა დემონსტრაცია მუშა-მოსამსახურეების, სამხედრო ნაწილების მუშა-მოსამსახურეების, სამხედრო ნაწილების, კომკავშირის ორგანიზაციების და მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობით. კარლ მარქსის მოედანზე გაიხსნა საპროტესტო მიტინგი. ამხ. **შალვა ნუცუბიძემ** მოკლედ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ამხ. ვოიკოვის ვინაობა და მიზეზები მისი მოკვლისა. სამაზრო აღმასკომის სახელით ილაპარაკა ამხ. **გ. კალმახელიძემ,** ქართულ № მსროლელ დივიზიის სახელით—ამხ. **გ. დევდარიანმა.**

სიტყვების მოსმენის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„გორის მუშა-მოსამსახურეთა რკინისგზელების სამხედრო ნაწილების და მოსწავლე ახალგაზრდობის გაერთიანებულ კრებამ, მოისმინა რა მან ცნობა საბჭოთა წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლის შესახებ ვარშავაში, უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამს ამ ვერაგულ აქტის გამო.

საბჭოთა კავშირის მშრომელთ არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ამხ. ვოიკოვის მკვლელობაში აქტიურ როლს თამაშობენ ინგლისის კონსერვატორები. ჩვენ ერთხმად მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, რათა ევროპის იმპერიალისტების ამ პროვოკაციულ პოლიტიკას ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო.

ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ [illegible] ძალათ თავზე მოგვახვევენ, მტრებს საკადრის პასუხს გავსცემთ! ძირს იმპერიალიზმი! ძირს შავი რეაქცია! გაუმარჯოს მშვიდობიანობისათვის მებრძოლ საბჭოთა კავშირს და მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

სამტრედიის მშრომელთა პროტესტი

9 ივნისს ქ. სამტრედიაში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის მოკვლის გამო რუს მონარქისტის მიერ ვარშავაში. საპროტესტო სიტყვების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ცნობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის ვერაგული მკვლელობის შესახებ, კრება მოუწოდებს ყველა მშრომელთ გაათკეცონ თავისი ენერგია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად, გააძლიერონ სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობა. კრება აცხადებს, რომ ყოველმხრივ განამტკიცებს წითელი არმიის ძლიერებას და გასცემს ღირსეულ პასუხს ინგლისის და პოლონეთის კულტურულ ველურების ასეთ თავხედობას. დეე იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ არ გვსურს ომი, მაგრამ თუ იგი თავზე მოგვახვიეს, მტრები შესაფერ პასუხს მიიღებენ. ჩვენ მოუწოდებთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ფხიზლად იდგენ მშვიდობიანობის სადარაჯოზე და უსასტიკესი პასუხი გასცენ ბურჟუაზიის მორიგ პროვოკაციას. სამტრედიის მშრომელები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ პოლონეთის მთავრობის მიმართ, რომელმაც პოლონეთის ტერიტორია რუსეთის თეთრგვარდიელების თავშესაფრად გადააქცია და მოითხოვენ პოლონეთის ტერიტორიიდან მათ გაძევებას.

გაუმარჯოს მსოფლიო მშვიდობიანობის საუკეთესო დამცველს საბჭოთა კავშირს. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

ჩვენი ხე-ტყის ექსპორტი ამერიკაში

საუბარი „ამტორგ“-ის წარმომადგენელთან მ. ვ. მაჟურთან

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ამერიკის სააქციო საზოგადოება „ამტორგ“-ის წარმომადგენელი **მ. ვ. მაჟური.** მისი ჩამოსვლის მიზანია გამორკვევა და შეთანხმება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან ყველა იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხე-ტყის ექსპორტთან ამერიკაში.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს **მ. ვ. მაჟურმა** ჩვენი სატყეო მასალის ექსპორტის პერსპექტივების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— ამერიკა ამჟამად სატყეო მასალის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია მთელს მსოფლიოში. ჩვენი ხე-ტყის ექსპორტი ამერიკასთან შეიძლება ფართოდ განვითარდეს, თუ ჩვენი სატყეო მასალის დამამზადებელი ტრესტები შეეგუებიან ამერიკის ბაზრის მოთხოვნილებებს.

ამიერ-კავკასიიდან ამერიკაში აქამდი იგზავნებოდა, უმთავრესად, კაკლის ხე და ბზა. მაგალითად, გასული წლის განმავლობაში ამერიკაში გასაღებული იქნა 500 ტონა კაკლის ხე და 35 ტონა ბზა. ამიერ-კავკასიის კაკლის ხე საუკეთესო საექსპორტო მასალაა. ამერიკის უდიდესმა ფირმამ „იტე-ვილეს“-მა „ამტორგ“-ისადმი გამოგზავნილ წერილში დაადასტურა ჩვენი კაკლის ხის კარგი ღირსება.

ამიერ-კავკასია გარდა ამ ხეებისა მდიდარია სხვა ჯიშებითაც. მაგალითად, აქ მრავლად მოიპოვება წიფელა, ჩინარი და სხვა, რომლებზედაც ამერიკაში დიდი მოთხოვნილებაა. ჩემი ჩამოსვლის მიზანს სწორედ ამ საკითხის გამორკვევა შეადგენს.

ჩვენი ექსპორტის განვითარებას საგრძნობლად აფერხებს ბაჟი გასატან სატყეო მასალაზე და ის გარემოება, რომ ხე-ტყის დამზადების საქმე არ არის გაერთიანებული ერთი ორგანიზაციის ხელში.

ყველა ეს საკითხი განხილული იქნება სატყეო ტრესტების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც მოწვეულია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში 15 ივნისისათვის. თათბირზე მიღებული იქნება, ალბად, სათანადო დადგენილებები ამ საკითხების მოსაგვარებლად.

შეღავათი ინვალიდებს

სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ომისა და შრომის ინვალიდთათვის რესპუბლიკის მასშტაბით ერთიანი საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ. ფინსახკომმა, რომელსაც აღნიშნული საკითხი გადაეცა დასკვნისათვის, აღნიშნა, რომ სოც. უზრუნველყოფაზე სახელმწიფო ბიუჯეტით შედარებით მცირე თანხაა გადადებული. რითაც ცხადია შეუძლებელია ყველა ამ საქმის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამის გამო საგადასახადო შეღავათებს ინვალიდებისათვის, ფინსახკომის აზრით დიდი მნიშვნელობა ექნება. საკავშირო კანონმდებლობით სახელმწიფო გადასახადებში მათ ეძლევათ ზოგიერთი შეღავათები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის; საჭიროა კიდევ მეტი შეღავათების მინიჭება და დახმარების გაწევა ადგილობრივ ორგანოთა მიერ ადგილობრივ გადასახადების დარგში.

რათა ერთგვარობა იქნეს დაცული ინვალიდებისათვის შეღავათების მინიჭების საქმეში, ფინსახკომმა საჭიროდ სცნო შემდეგი დადგენილების მიღება:

1) სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი ყველა კატეგორიების ომის და შრომის ინვალიდები, რომელთაც აქვთ შენობა და იბეგრებიან შეფასებითი გადასახადით არა უმეტეს 5 მანეთისა, განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან.

2) განთავისუფლებულ იქნენ დაწესებულ გადასახადისაგან ქალაქში მდებარე ბაღები და ბოსტნები, რომლებიც იმყოფებიან სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილ პირთა და მათ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრების სარგებლობაში, თუ ამ ბოსტნებს ამუშავებენ უშუალოდ დაქირავებულ შრომის დაუხმარებლად.

3) განთავისუფლებულ იქნენ სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი პირები ერთდროულის გამოსაღებისაგან მოძრავ (ფეხზე) ვაჭრობისათვის ბაზარზე, მოედნებზე ან სხვა ვაჭრობისათვის მიჩენილ ადგილებზე.

4) განთავისუფლებულ იქნენ სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი გლეხები გადასახადისაგან ბაზარზე გასასყიდად მორეკილ საქონელზე (თითო ოჯახზე ერთი მსხვილ-ფეხა და სამი წვრილფეხა საქონელი — საკუთარი ოჯახისა).

5) განთავისუფლებულ იქნენ სოც. უზრუნველყოფაზე აყვანილი პირები და მათ მზრუნველობაზე მყოფი ოჯახის წევრები საჩასაწერო გამოსაღებისაგან.

6) მიენიჭოს სოც. უზრუნველყოფის კონტინგენტს მაზრებში ისეთივე კომუნალური შეღავათები, როგორიც ეძლევათ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც იღებენ ჯამაგირს არა უმეტეს 50 მანეთისა.

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფინსახკომის მოხსენება და მასთან საჭიროდ სცნო გამოცემულ იქნეს სათანადო დადგენილება ზემოაღნიშნულ მოხსენების საფუძველზე.

საქ. ცაკში

დარიგებული პენსიების და დახმარებების რაოდენობა

საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თავის ცენტრალურ სამმართველოდგან გასულ თვეში (მაისში) სულ დაარიგა პენსიების და დახმარებების სახით — 30.550 მანეთი და 76 კაპეიკი. მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან განყოფილებას ჯერ კიდევ არ მიუღია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი დაურიგეს გასულ თვეში ინვალიდებს და ნივთიერათ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს პენსიები და დახმარებები.

პენსიები დამსახურებულ რევოლიუციონერებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს

სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების ფინანსო ნაწილს დამსახურებულ რევოლიუციონერებს, მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს დაურიგოს ამ თვის (ივნისის) პენსია.

ინვალიდების ნადები

თბილისში მოწყობილია თუთუნის ნაწარმოების გამსაღებელი ინვალიდების დიდი ნადი „გლადა“, რომელშიაც მუშაობს დაახლოვებით [illegible]0 კაცი. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით თბილისში კიდევ არის მოწყობილი ინვალიდების მეორე დიდი საშაქარლამო ნადი სახელწოდებით „რეკორდი“. ეს ნადი ამზადებს საუკეთესო ხარისხის სხვადასხვა ნაირ კანფეტებს და გასასყიდათ ბითუმათ აძლევს კოოპერატივებს, ნადი „რეკორდ“-ში ამჟამად გაერთიანებულია და მუშაობს 19 კაცი. მათში 13 ინვალიდია, 2—ინვალიდების ოჯახის წევრი და 4—არა ინვალიდი.

სახკომსაბჭოში

სას.-სამეურნეო საექსპერტო კომისია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სასოფლო - სამეურნეო საექსპერტო კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: ამხ. ა. რუხაძე (თავმჯდომარე), ჩიგოგიძე (მოადგილე), მაჩაბელი (მიწსახკომიდან), ვ. თევზაია (შინავაჭრობის სახ. კომ. რწმუნ. სამმართველოდან), ა. კალანდაძე (მ. გ. ინსპექციიდან), გ. შარაშენიძე (სახ. დამზღ. სამმართველოდან), ლ. კარბელაშვილი (საგეგმო კომისიიდან), შ. პაპავა (ფინსახკომიდან), ი. ჟურდიანი (ობსერვატორიიდან) და ა. შენგელია (სას.-სამ. ბანკიდან).

ამხ. ა. კაკაბაძის დანიშვნა

ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) მოადგილეთ დაინიშნა ამხ. ა. კაკაბაძე.

ამხ. ხვედელიძის დანიშვნა

ეკონომიურ საბჭოს წევრის ამხ. გ. ყურულაშვილის შემცვლელად დაინიშნა ამხ. ხვედელიძე.

საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაციის წესი

ფინსახკომს გადაეგზავნა დასკვნისათვის ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ გამოგზავნილი საკითხი სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაციის წესის თაობაზე არსებულ საქართველოს სახკომსაბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 5-ის დადგენილების შეცვლის შესახებ იმ მხრივ, რომ სასოფლო - სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაცია ხდებოდეს ფინსახკომში. ფინსახკომმა მიზანშეწონილად სცნო ასეთი წესის შემოღება.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა სათანადო დადგენილება სას.-სამეურნეო და საკრედიტო ამხანაგობათა რეგისტრაციის ახალი წესის შემოღების შესახებ, რაც დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

სახელმწიფო ორგანოთა ხარჯების შემცირება

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო დაევალოს კომერციულ ანგარიშის პრინციპზე მომქმედ, როგორც რესპუბლიკანურ ისე ადგილობრივ მნიშვნელობის სახელმწიფო წარმოებათა ხელმძღვანელებს და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა ხელმძღვანელ ორგანოებს, რომლებშიაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს და რომელნიც გატარებულ უნდა იქნენ ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის რეგისტრაციაში, დაუყოვნებლივ შეამცირონ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები 15 პროცენტით მაინც იმ ხარჯებთან შედარებით, რაც ფაქტიურად გაწეული იყო 1925-26 საოპერაციო წლის მეორე ნახევარში, და ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს 1926-27 წლის გეგმებით მიღებული სამუშაოთა რაოდენობა.

საუბნო მედპერსონალების შესახებ

მედსანშრომის კავშირის ც. გამგეობამ შეიტანა სახკომსაბჭოში პროექტი დადგენილებისა სოფლის საექიმო დახმარებით უზრუნველყოფისა და საუბნო მედპერსონალის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ანალოგიური დეკრეტი გამოცემულ იქნა გ. წ. დეკემბერში რ. ს. ფ. ს. რ. მასშტაბით; შემდეგ მედსანშრომის მუშაკთა მეხუთე ყრილობამ საჭიროდ აღიარა სათანადო დადგენილების გამოცემა საქართველოში. აღნიშნულ დადგენილების გამოცემა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მაზრების მთელი რიგი ექიმები ღებულობენ თვეში 80 მან. ჯამაგირს, ხოლო საშუალო პერსონალი კი 30—35 მან. გარდა ამისა არ არის მოგვარებული მათი ბინის საკითხიც.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საიურისკონსულტო ნაწილმა შეიმუშავა პროექტი დადგენილებისა ხსენებულ საკითხის შესახებ, რაც დამტკიცებული იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

ტრამვაის ახალი

მარშრუტები

შუა ბაზარში უკვე გაიყვანეს ტრამვაის მეორე ლიანდაგი. ამჟამად ამ ახალ ხაზზე მუშაობენ შემდეგი მარშრუტები: № 3, 4, 11 და 12. მარშრუტების გეზი ასეთია: № 3 და 4 თავისუფლების მოედნიდან მიდის შუა ბაზრით თათრის მოედანზე რიყის მოედნამდე. აქედან — 19 თებერვლის ქუჩით კარლ მარქსის მოედანზე საიდანაც ძველი მიმართულებით მიდის რკინის გზის სადგურამდი.

მარშრუტი 11 და 12 იწყებს სვლას სადგურიდან, მიდის რიყეზე, შემდეგ თათრის მოედანით გაივლის შუა ბაზარს თავისუფლების მოედნამდე, შემდეგ კი პუშკინის ქუჩის მიმართულებით გაივლის კარლ მარქსის ხიდს სადგურისკენ და უკანვე დაბრუნდება აღნიშნული მიმართულებით.

დღეს მუშაობას იწყებს № 6 მარშრუტის ვაგონები. მარშრუტი იწყება ლენინის ქუჩის თავიდან, გაივლის თავისუფლების მოედანს, შუა ბაზარს, თათრის მოედანს, აბანოებთან და მიდის ორთაჭალაში საიდანაც ბრუნდება უკან იმავე მიმართულებით.

ქუთაისის ქრონიკა

განათება

ელექტრონულ სადგურზე მანქანის გაფუჭების გამო მთელი ორი კვირის განმავლობაში ნახევარი ქალაქი ღამ-ღამობით წყვდიადით იყო მოცული. ამ დღეებში თბილისიდან ჩამოიტანეს ახალი მანქანა და ამ ჟამად ქალაქი ისეა განათებული, როგორც აროდეს არ ყოფილა.

საპროტესტო მიტინგი

9 ივნისს ქალაქის ბაღში, დიდძალი ხალხის თანადასწრებით, გაიმართა საპროტესტო მიტინგი პოლონეთში რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ვოიკოვის ვერაგულად მოკვლის გამო.

თავდაცვის საქმე

თავდაცვის საქმის გასაძლიერებლად ავიოქიმის საზოგადოების ინიციატივით 10 ივნისს ქუთაისში გაიმართა ყულაბებით ფულის შეკრება. ამავე მიზნით 13 ივნისს, ადგილობრივ კინოებში გაიმართა სეანსები.

აბრეშუმის მოსავალი

აბრეშუმის მოსავალს უკანასკნელ ხანამდი ძლიერ კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ამ ერთი კვირის წინად რამდენიმე დღის ძლიერმა სიცხეებმა და შემდეგ უცბად აგრილებამ აბრეშუმის ჭია დიდათ დააზიანა.

ბაზარი

ქუთაისის ბაზარზე სურსათ-სანოვაგის ფასებმა საზოგადოთ ძლიერ აიწია, გარდა ღვინისა, რომელიც შედარებით იაფად იყიდება.

დასასვენებელი სახლები

ქუთაისის დამზღვევ სალაროს დათმობილი აქვს ადგილები: არაზინდოში—8, აბასთუმანში—3, ქობულეთში—4, ბორჯომში—3, წაღვერში—3, კისლოვოდსკში—2, ესენტუკში—1, წყალტუბოში—25; დასასვენებელ სახლებში: წაღვერში—80, ბორჯომში—20, სურამში—20, ქობულეთში—60.

რიონჰესი

რიონის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის სამუშაოთა დაწყების საქმე ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ: უკვე აგებენ კანტორის ბინას და ადგენენ თანამშრომელთა შტატს. სამსახურში მიღების მთხოვნელთა რიცხვი დიდია.

სარწყავი არხი „მაშველი“

სამუშაოთა დასამთავრებლად (როგორიცაა: არხის სათავის გამაგრება, განმანაწილებლების დამთავრება და სხ.) საზოგადოებამ მიიღო მთავრობისაგან გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის სახით 34.000 მანეთი, მასვე მიეცა ხსენებული მიზნისათვის დახმარების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18.000 მანეთი. 1 საბჭოთა სარწყავ არხს მიეცა სესხად 5.000 მანეთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახმარების სახით 3.000 მანეთი.

წყალტუბოში

წყალტუბოს აბანოებს წელს აუარებელი ხალხი აწყდება. კურორტი სანიტარულ-ჰიგიენური მხრით უკეთაა მოწყობილი, ვიდრე წინა წლებში. ბინების შოვნა ძნელია; სურსათ-სანოვაგეც მოიძვირებს. სასურველი იყო ადგილობრივ კოოპერატივს განსაკუთრებული ყურადღება მიექცია უკანასკნელი საკითხისათვის და თავის სასადილოს გაფართოებით ხელი შეეწყო მოსვენელთათვის სასმელ-საჭმელის შედარებით იაფად მიწოდებით.

ძველი ამხანაგი.

ქრონიკა

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად გამოყოფილი იქნეს ცენტრალური კომისია, რომელსაც დაევალება ორი კვირის განმავლობაში გამოიმუშაოს დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

ამასთანავე პროფკავშირების კომისიები დაარსებული იქნება მაზრებშიაც საკავშირთაშორისო კლუბებთან და მსხვილ წარმოება-დაწესებულებებთან.

ცენტრალურ კომისიაში არჩეული არიან ამხ. გ. ყურულაშვილი, ალ. ფირალიშვილი, ს. თოხაძე, ვ. ანთიძე, ლ. გვარამიძე, ნ. ათოევი, არჩ. მიქაძე, ალ .ფანცხავა და ხორ. ავიტესოვი.

პროფსაბჭოს წარმომადგენლები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლებად მიმაგრებული არიან:

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში, ცაკში და თბილისის აღმასკომში—ამხ. ბ. მაჩაიძე, საქ. ს. მ. უ. საბჭოში—ამხ. ს. გოდაბრელიძე, საქართველოს ეკონომიურ საბჭოში—ამხ. გ. ყურულაშვილი, მის მოადგილეთ—ამხ. ხვედელიძე და ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის სამმართველოში—ამხ. ხვედელიძე, ხოლო მის მოადგილეთ—ამხ. ი. ჭელიძე.

ჩეხო-სლოვაკელი ლიტერატორის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკელი ჟურნალისტი და ლიტერატორი შრომ. ჩამოსვლის მიზანია—ამიერ-კავკასიის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების შესწავლა.

კიევის სტუდენტების ჩამოსვლა

კიევის პროლეტ. სტუდენტობის საოლქო ბიურო აცნობა საქართველოს პროფსაბჭოს, რომ სამეცნიერო ექსკურსიის მიზნით თბილისში იგზავნება 100 უკრაინელი სტუდენტი. საქართველოს პროლეტარული სტუდენტობის საბჭომ ექსკურსიისათვის ხელის შეწყობის მიზნით, მიიღო ყველა ზომები კიეველ სტუდენტთა უზრუნველსაყოფად ბინით, საჭმელით და სხ.

„ამტორგ“-ის წარმომადგენლის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკის სააქციო საზოგადოება „ამტორგ“-ის წარმომადგენელი მ. ვ. მაზური.

მისი ჩამოსვლის მიზანია გამორკვევა და შეთანხმება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსთან ყველა იმ საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია სატყეო მასალის ექსპორტთან ამერიკაში.

სანატორიუმი „არაზინდო“

სანატორიუმ „არაზინდო“-ს გამგეობაში არჩეული არიან: ამხ. ი. ჭელიძე, ვ. ნარჩემაშვილი, ბაინდუროვი, ხვედელიძე, სერედა და ორი ადგილი დაეთმო ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს.

საგზაო ფული წყალტუბოში და ახტალაში მიმავალ მუშა-მოსამსახურეებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, გზის ხარჯები მიეცემა წყალტუბოში და ახტალაში მიმავალ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც თვიურ ხელფასს ღებულობენ 60 მანეთამდე, იმ წესით, როგორც ეძლევათ დასასვენებელ სახლებში მიმავალთ.

50.000 მანეთი მუშათა კლუბისთვის

ა.-კ. რკ. გზის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საკლუბო მშენებლობის ფონდიდან გადასდო 50.000 მანეთი ბაქოს რკინისგზელთა ცენტრალური კლუბის გადასაკეთებლად, კლუბის გადაკეთება დასრულდება წელს ზაფხულს.

ლიბანის სანატორიუმის აგება

დასრულდა ლიბანის სანატორიუმის აგება. სწარმოებს უკანასკნელი მუშაობა: კარ-იატაკების შეღებვა და სხ. მზადდება მოწყობილობა.

წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები

პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობამ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების რიცხვი საქართველოში გაადიდა 826-დე, რომლებშიაც სწავლობს 25.462 კაცი.

მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო პუნქტების რიცხვი ამ ჟამად უდრის 172. მათში სწავლობს 5.183 კაცი.

სატყეო მასალა ქაღალდის ფაბრიკისათვის

ს. მ. უ. საბჭოს ახალშენებათა კომიტეტმა საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს შეუკვეთა ხე-ტყის მასალა ქაღალდის ფაბრიკისათვის, რომელიც ჯვარში შენდება.

სატყეო მასალის დამზადება უკვე დაიწყო.

თბილისის აღმასკომში

◆ **კრამიტის ქარხანა.** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა ააგოს კრამიტის ახალი ქარხანა.

◆ **თესლის დარიგება.** მაზრაში წელს გლეხებს საცდელათ დაურიგდათ გერმანიიდან გამოწერილი ბოსტნეულის სხვადასხვა თესლი.

ჯანსახკომში

◆ **ვენერიული დისპანსერი.** ჯანსახკომის ცნობით ამ დღეებში ბათომში გაიხსნება ვენერიული დისპანსერი.

◆ **გადამდებ სნეულებებთან ბრძოლის გაძლიერების** მიზნით მაზრაში ეწყობა სანიტსექციები და ჯანმრთ. დაცვის ბიუროები.

სხვადასხვა

◆ **ჩაის მეურნეთა თათბირი,** რომელიც უნდა გამართულიყო 10 ივნისს ოზურგეთში, გაიხსნება 10 ივლისს.

◆ **მასწავლებელთა კონფერენცია.** 28 ივნისს თბილისში გაიხსნება ბუნებისმეტყველ მასწავლებელთა კონფერენცია.

კრებები და მოხსენებები

◆ **სამშაბათს, 14 ივნისს,** საღამოს სრულ 6 საათზე მექსვე უბნის სალიანდაგო დარგის შენობაში შესდგება თბილისის ბავშთა მეგობრების საზოგადოების პირველი რაიონის კონფერენცია.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

მედსანშრომის საზაფხულო კლუბში

სიმფონიური კონცერტები მედსანშრომის კავშირის საზაფხულო კლუბში (ყოფ. „სტელლა“) აუარებელ ხალხს იზიდავს.

კლუბის გახსნიდან დღევანდლამდე კლუბის წევრად ჩაეწერა რამოდენიმე ასეული კაცი. ჯერჯერობით კლუბის წევრებად იღებენ მხოლოდ მედსანშრომის კავშირის წევრებს. საწევრო გადასახადათ დაწესებულია ხელფასის 1 პროცენტი.

ამჟამად კავშირის ცენტრალურ გამგეობაში განსახილველად დასმულია საკითხი სხვა კავშირების წევრების მიღების შესახებ კლუბის წევრებად.

შემთხვევები

უბედური შემთხვევის გარშემო

ჩვენი გაზეთის 132 ნომერში, შემთხვევის განყ. მოთავსებული იყო ცნობა მღებავი პავლე სამდუროვის ტრაგიკულად დაღუპვის შესახებ.

საქმე კვლევა-ძიების მოსახდენად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელს ამხ. თაბაგარს.

გამოძიებით ირკვევა, რომ სამდუროვის გადმოვარდნა რკინის ბოძის მწვერვალიდან გამოწვეული ყოფილა უვარგისი ქამრით, რომლითაც ის მიმაგრებული იყო ბოძზე.

ამჟამად სწარმოებს გამოძიება დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად სისხლის სამართლის წესით.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავენი.** 12 ივნისს ბაზარში ჩითის მოპარვისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი ვარამ მანუკიანცი.

◆ **კარლ მარქსის ხიდის** ახლოს ალექსანდრე გიგიაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 300 მანეთი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** ქურდობისათვის შეიპყრეს ლეონ ედიგაროვი.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** კომუნალურ ქუჩაზე ავტომობილმა გაიტანა მოქ. ლეონ ოვანეზოვი., რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. შოფერმა მოასწრო მიმალვა.

◆ **გლეხ ირემაშვილისათვის** ფულის ამოცლისათვის შეიპყრეს ართან ნარაქაშვილი და აბრამიძე.

◆ **მუშკოოპის გაქურდვა.** სადგურის ქუჩაზე 12 ივნისს ღამით გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია.

◆ **ტრამვაიში** თავისუფლების მოედნიდან პლეხანოვის გამზირამდე მოგზაურობის დროს პეტრე ტუროვერელს ჯიბიდან ამოაცალეს 87 მანეთი.

◆ **გადმოვარდნა.** ალექსანდროვის საავადმყოფოს მეორე სართულიდან თვითმკვლელობის მიზნით გადმოვარდა ალექსანდრე პავლიაშვილი, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

◆ **მკვლელის შეპყრობა.** 12 ივნისს სოფ. ომარაში (თბ. მაზრა) შეიპყრეს სისო ელიზბარის ძე იშლიაური, რომელსაც ბრალდება გიორგი ლიჯურაშვილის მოკვლა.

◆ **ქურდობისათვის** ამავე დღეს შეიპყრეს კულა გრიგორიანცი.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 11 ივნისს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ტიგრან ბარსეგიანცი.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 12 ივნისს ანასტასიევის ქ. № 12 გაქურდეს მიხეილ კანდელაკის ბინა.

◆ **ქურდობა.** 12 ივნისს კირკის ქ. № 19 გაქურდეს სოფიო ბაბასანოვის ბინა.

სასამართლო

მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ა. თენიეშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ალექსანდრე ბუთიკაშვილის საქმის გარჩევა.

ბრალს სდებს პროკურორი კიკაბიძე, ბრალდებულს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები ვუზელაძე და ადამიძე.

საქმის შინაარსი ასეთია:

1926 წ. გაზაფხულში სოფელ ზემო-ავჭალის და გლდანის შუა ნაჯახით მოჰკლეს იმავე სოფლებში წვრილმანი საქონლით მოვაჭრე ჩირაზ ხაშიმ-ოღლი.

როგორც საქმიდან სჩანს, მკვლელობა ჩადენილია ძარცვის მიზნით.

იმ ხანებში თემის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ს. ივანიშვილი ჩავიდა თბილისში, სადაც მას შეხვდა ავჭალაში მცხოვრები ვინმე ი. გიორგობიანი, რომელმაც უთხრა მას, რომ ავჭალაში მან ნახა ალექსანდრე ბუთიკაშვილი, რომელსაც ტანისამოსზე ჰქონდა სისხლის წვეთები.

ამხ. ივანიშვილი დაუყოვნებლივ გაემგზავრა ავჭალაში, ინახულა იქ ბუთიკაშვილი, რომელსაც მართლაც შეამჩნია ტანსაცმელზე სისხლის წვეთები. ტანისამოსზე სისხლის წვეთები ჰქონდა აგრეთვე გიორგი ბუთიკაშვილსაც.

შეკითხვაზე, თუ საიდან მოეცხოთ სისხლი, მათ განაცხადეს, რომ სისხლი წამოედინათ ცხვირიდან.

მათი ტანისამოსი გადაეგზავნა თბილისში ჯანმრთელობის სახკომისარიატის ქიმიურ ლაბორატორიას, რომელმაც გამოიკვლია, რომ სისხლი არ იყო წამოდენილი ცხვირიდან.

ალექსანდრე და გიორგი ბუთიკაშვილი დააპატიმრეს.

გ. ბუთიკაშვილი შემოწმებული იქნა და აღმოჩნდა, რომ იგი არ არის ნორმალური ადამიანი და შეპყრობილი ავი ზნით, რის გამოც იგი მოთავსებულია საავადმყოფოში.

გუშინ დაკითხულ იქნა ბრალდებული ალ. ბუთიკაშვილი, რომელმაც თავი არ სცნო დამნაშავედ.

გამოწვეულია 20 მოწმე და ქიმიკოსი—ექსპერტები.

გუშინ სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა.

მკვლელობა 65 ჭრილობით

აღმოსავლეთ საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა მიხეილ ველიაშვილის საქმე. მას ბრალდება გიორგი მეთეფშიშვილის მოკვლა.

მახათის ქუჩაზე, სახლი № 6-ში სცხოვრობდენ მეთეფშიშვილი და ველიაშვილი.

მეთეფშიშვილი დიდი ხანია, რაც მოჯამაგირეთ იყო ველიაშვილთან. ეს უკანასკნელი მეჩექმე იყო და შეასწავლა მას თავისი ხელობა. პირველ ხანებში მათ შორის კარგი განწყობილება იყო და განაგრძობდენ ერთად მუშაობას.

1922 წ. მეთეფშიშვილი ჩაეწერა კავშირში. ამით ველიაშვილი გაბრაზდა, რადგან იგი შემდეგში ველარ ვასწევდა მეთეფშიშვილის ექსპლოატაციას. ერთი კვირის შემდეგ ველიაშვილმა დაითხოვა მეთეფშიშვილი და არ გაუსწორა მას ანგარიში.

მეთეფშიშვილმა უჩივლა მას შრომის სასამართლოში და აიღო სალიკვიდაციო ფული. ფულის გასასტუმრებლად ველიაშვილმა გაჰყიდა ვერცხლის ქამარი. ამის გამო იგი ეუბნებოდა ნაცნობებს:

— „მეთეფშიშვილმა გამაყიდვინა ვერცხლის ქამარი, მაგრამ სამაგიეროს დანით მიუზღვიო“.

განწყობილება მათ შორის თანდათან გამწვავდა.

ცუდ განწყობილებას ზედ დაერთო შემდეგი გარემოება:

წინათ ველიაშვილს და მეთეფშიშვილს ერთად მოუპარავთ ფურნიდან დიდი ტაფა შემწვარი ინდაური. ნაქურდალი ინდაური შეუჭამიათ ველიაშვილის ცოლის დღეობაზე. ტაფი მიუთვისებია ველიაშვილს.მეთეფშიშვილს თვით სურდა ტაფის მისაკუთრება, მაგრამ ველიაშვილი არ თანხმდებოდა. ბოლოს მეთეფშიშვილი მოთმინებიდან გამოვიდა და საჯაროთ გამოამჟღავნა მათი „საქმიანობა“.

ამით ველიაშვილი კიდევ უფრო გაბრაზდა. იყო მათ შორის დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა, რომელიც ზოგჯერ ცემა-ტყეპამდის მიდიოდა.

ველიაშვილმა გადასწყვიტა მეთეფშიშვილის მოკვლა. გასული წლის ოქტომბერში მან მეთეფშიშვილი შეიტყუილა თავის სახელოსნოში და აივანზე გასვლის დროს დანით მიაყენა 65 ჭრილობა.

მიღებული ჭრილობისაგან იგი იქვე გარდაიცვალა.

მკვლელი თვითონ გამოცხადდა მილიციაში.

მან დაპატიმრებისას განაცხადა, რომ მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის ნიადაგზე.

ბრძოლა უმუშევრობასთან

შრომის კომისარიატში შესდგა შრომის ბაზრის განყოფილების და თბილისის შრომის ბირჟის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა ამხ. არეშიძის მოხსენება შრომის ბირჟის მდგომარეობის შესახებ. უმუშევრობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით თათბირმა დაადგინა: შრომის ბირჟა გადატანილი იქნას ახალ ფართო ბინაზე; შრომის ბირჟის მუშაობის გასაცხოველებლად მომავალ საბიუჯეტო წლიდან გადიდებული იქნას შრომის ბირჟის შტატი; ბირჟაში აღრიცხულ ხანგადასულ მოწაფეების კვალიფიკაციის ასაწევად მოეწყოს სპეციალური კურსები წარმოება-სახელოსნოებთან; პროფსაბჭოში დაისვას საკითხი რომ წინადადება მიეცეს ცალკე კავშირებს გააცხოველონ მუშაობა შრომის ბირჟის სექციებში, მიღებული იქნას გადამჭრელი ზომები, რათა წარმოება-დაწესებულებები უმუშევრებს სამუშაოზე არ იყვანდნენ შრომის ბირჟის გარეშე.

რკინისგზეზე

ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის პლენუმი

15 ივნისს თბილისში გაიხსნება ამიერ - კავკასიის რკ. გზელთა პროფკავშირის მე-4 პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია: რკ. გზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება, რკინისგზელთა სოციალური აღზრდის განყოფილებების, საგზაო შრომის ინსპექტორის, ა.-კ. საგზაო დამზღვევი სალაროს და რკ. გზელთა ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების მოხსენება.

პლენუმზე ცალკეა დასმული ა.-კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების (ზაკტრეპოს) მოხსენება საცალო ფასების დაკლების შედეგების შესახებ და ა.-კ. რკ. გზების მუშ. და გლეხთა ინსპექციის მოხსენება.

სამგზავრო მიმოსვლის ზრდა

მგზავრთა რიცხვის არაჩვეულებრივი ზრდის გამო, ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დაადგინა გაადიდოს სამგზავრო მატარებლის № 5 და 6-ის შემადგენლობა. ამ მატარებლებს მიემატება რამოდენიმე მაგარი ვაგონი და საერთაშორისო ვაგონი თბილისი-მოსკოვი-ლენინგრადი.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 14 ივნისი

დღეს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

წითელარმიელთა გაზეთი — ქართულ და რუსულ ენებზე (7—7—20).

„მეაბრეშუმეობა საქართველოში“ — ლექცია ქართულ ენაზე (7—20—7—40).

„ცოცხალ არსებათა ბრძოლა“ არსებობისათვის—ლექცია რუსულ ენაზე (7—40—8).

ტეხნიკური კონსულტაცია (8—8—20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8—20—8—40).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (8—40—11).

ფეხბურთი

„არსრაიონი“ — საგ.-სატრ. სახელ. პოლიტ. სამმართველო

შაბათს ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პირველი კატეგორიის გუნდების—„არსრაიონის“ და საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდის კალენდარული შეჯიბრი. შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა. შეჯიბრმა დაამტკიცა, რომ საგზაო - სატრ. სახელ. პოლიტ. სამმართველოს გუნდის სახით თბილისს მიემატა ძლიერი გუნდი, რომელიც სერიოზული პრეტენდენტი იქნება წრევანდელ სეზონში ქალაქის პირველობაზე.

„არსრაიონი“ ამ შეჯიბრში დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ არსრაიონელებს აღარ ემჩნევათ ის ერთსულოვნება და ერთმანეთთან შეთანხმებული თამაში, რომელიც მათ ახასიათებდა.

ამ დღეს არსრაიონელები ძალზე სუსტად, უგულოდ თამაშობდენ. პირველივე მარცხის შემდეგ ისინი დაიბნენ და ადვილად უთმობდენ პოზიციას „მოწინააღმდეგეს“.

სამაგიეროდ, იშვიათი ერთსულოვნებით და მონდომებით თამაშობდენ საგ.-სატრ. სახელ. პოლიტ. სამმართ. გუნდის მოთამაშეები. მათ რიგებში არის რამოდენიმე პირველ ხარისხოვანი მოთამაშე, განსაკუთრებით აღსანიშნავია ცენტრ — ფორვარდის და გოლკიპერის მოხდენილი თამაში.

შეჯიბრი დამთავრდა 6:2 საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდის სასარგებლოდ.

წ. ა. ფ. ს. — საბჭოთა მუშაკები

კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე მორიგ კალენდარულ შეჯიბრში ერთმანეთს შეხვდენ წითელი არმიის და ფლოტის სახლის გუნდი და საბჭოთა მუშაკები.

გუნდები თითქმის თანასწორი ძალის არიან. თამაშის კლასის მხრივ უპირატესობა ეკუთვნის საბჭოთა მუშაკებს. ამ უკანასკნელების მხრიდან განსაკუთრებით ლამაზათ თამაშობენ მარცხენა გარე-მარბი და მარცხენა ინსაიდი.

შეჯიბრი გათავდა 3:2 საბჭოთა მუშაკების სასარგებლოდ.

დინამო — ავტოკლუბი

კვირასვე „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება დინამოს და ავტოკლუბის პირველი გუნდების კალენდარული შეჯიბრი.

შეჯიბრი სიბნელის გამო დაუთავებელი დარჩა. შეჯიბრის შეწყვეტამდე მიღწეული შედეგი იყო 3;0 დინამოს სასარგებლოდ.

მოსკოვის „დინამო“-ს ჩამოსვლა

ახლო ხანში თბილისში ჩამოვა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელიც აქ გამართავს სამ შეჯიბრს. განზრახულია შეჯიბრები თბილისის დინამოსთან. არსრაიონთან და საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდთან.

მოსკოვის „დინამო“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია მოსკოვში. მისი რამოდენიმე მოთამაშე შედის მოსკოვის ნაკრებ გუნდში.

თბილისს გარდა, მოსკოველი ფეხბურთელები ესტუმრებიან ბაქოს, დონის როსტოვს და სხვა ქალაქებს.

ტრიკოტაჟის ფაბრიკა

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის ბაზრის განყოფილებამ გადასწყვიტა ამუშაოს ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე არ მუშაობდა.

ამასთან ერთად შრომის ბაზრის განყოფილებამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას პროფკავშირთა საბჭოს და შრომის კოლეგიის წინაშე, რომ შრომის კომისარიატის სატარიფო ფონდიდან ტრიკოტაჟის ფაბრიკის საჭიროებისათვის გადადებულ იქნას 3.000 მანეთი. თბ. დამზღვევსალარომ ამ მიზნით უკვე გადასდო 1000 მანეთი. ფაბრიკა ამუშავებული იქნება ივლისში. ფაბრიკის გამგეთ განყოფილებამ დანიშნა ამხ. ამირბეგოვი. ფაბრიკაში იმუშავებს 44 კაცი. შრომის ბირჟა შეუდგა გეგმის შედგენას ფაბრიკის მუშაობის გასაფართოვებლად.

დოღი

უკანასკნელი დღე

მწვრთნელ კამბეკოვის იუბილე

კვირას, 12 ივნისს იყო დოღის საგაზაფხულო სეზონის უკანასკნელი დღე.

მიუხედავათ იმისა, რომ დოღის მთელი სეზონის განმავლობაში აუარებელი ხალხი ესწრებოდა, წრევანდელი სეზონი მაინც ვერ ყო სავსებით დამაკმაყოფილებელი: ძალიან ცოტა იყვენ ჯიშიანი და ინტერესის აღმძვრელი ცხენები. აგრეთვე სუსტად იყვენ წარმოდგენილი მეზობელ რესპუბლიკების საჯინიბოები. სომხეთი კი სრულიად არ იღებდა მონაწილეობას, რომლის ცხენებმაც შარშან ისე საგანგებოდ ისახელეს თავი. მხოლოდ სამხ.-ოსეთი ეწეოდა ღირსეულ მეტოქეობას თავის საუკეთესო ცხენით—„როლანდით“.

აგრეთვე დოღში მონაწილე ცხენები ვერ იყვენ საინტერესოდ დაჯგუფებული, რაც მაყურებელში იწვევს დიდ დავასა და საგანგებო ყურადღებას.

მიუხედავათ ყველა ამისა, წრევანდელმა სეზონმა მაინც გვაჩვენა რამდენიმე საუკეთესო ცხენი: პირველ რიგში უდაოთ სდგას საქ. საჯინიბოს სამი წლის კვიცი—„ბერგენი“. ის ყოველთვის პირველობდა და ა.-კ. საგაზაფხულო დერბიც 1.000 მან. იმან აიღო, შემდეგ მას მოსდევენ — „როლანდი“, „დაგომე“, „ტაისი“ და სხვანი.

დოღის უკანასკნელ დღესთან შეფარდებული იყო საქ. საჯინიბოს ხელმძღვანელი და ცხენების საუკეთესო მომვლელ-მწვრთნელის — კამბეკოვის იუბილე.

კამბეკოვი ამ საქმეზე მუშაობს ოცდახუთ წელიწადზე მეტია. საქ. საჯინიბოში კი მსახურობს მხოლოდ სამი წელიწადი. მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაშიც მან თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის საქ. საჯინიბოს საერთო წარმატებაში.

იუბილეს არ ჰქონდა გაზვიადებული ხასიათი. ხალხით სავსე ტრიბუნა. სტადიონზე ჩამწკრივებული მის მიერ გაწვრთნილი ბედაურები და მათ შუა თვით იუბილიარი—რომელსაც ესალმებიან რამდენიმე გულწრფელი სიტყვით.

კამბეკოვის მოღვაწეობის აღსანიშნავად საქ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა ძღვნათ შესთავაზა მას საჯინიბოს საუკეთესო ორი წლის კვიცი — „კამონი“.

საიუბილეო ზეიმი დამთავრდა მეხუთე შეჯიბრებით, სადაც ექვს თანასწორთა შორის მონაწილეობას იღებდა კამბეკოვისადმი მიძღვნილი — „კამონიც“, რომელმაც პირველობით თვალსაჩინოდ დაამტკიცა აქავე, რომ ღირს გასაბოძებლად და ჯილდოთ.

დღის დანარჩენი პროგრამა შედარებით უფერულად იყო.

პირველი შეჯიბრება: 80 მან. 2134 მეტრი. „ბულგარკა“, „ომარი“, „გამხტომი“. მთელ მანძილზე სამივე სასტიკ ბრძოლას ეწეოდენ და ნახევარ კორპუსით მისწრეს ერთმანეთს ჯერ „ომარმა“, შემდეგ „გამხტომმა“ და „ბულგარკამ“.

მეორე შეჯიბრება: 120 მან. 2134 მეტრი. პირველი — „იაიჯა - ჭიათურელი“. მას მოსდევს ხუთი კორპ. ჩამორჩენილი „სანტი“, შემდეგ—„უაიტ-ლედი“.

მესამე შეჯიბრება: 100 მან. 1600 მეტრი. უდაო პირველობა „პორხანის“. შემდეგ „კარმანიოლა“ და „ბებია“.

მეოთხე შეჯიბრება. განდიკაპი 300 მან. 2440 მეტრი. „შაშარკა“, „დაგომე“, „ატოსი“.

მთელ მანძილზე პირველობდა „ატოსი“, მას [illegible] მიჰყვებოდა „შაშარკა“. მათ უკან კი „დაგომე“. რომელიც თითქოს არ სცდილობდა მთელი სიმარდის გამოჩენას.

აი, გაიშალნენ სწორედ გზაზე და „დაგომემაც“ რამდენიმე ლაღი ნახტომით უკან მოიტოვა მოდავენი. ბრწყინვალე და უდაო გამარჯვებაც იმისია. შემდეგ „ატოსი“ და „შაშარკა“.

ვინმე.

წერილი რედაქციისადმი

ამხ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ „კომუნისტი“-ს საშუალებით ურმესი მადლობა უძღვნათ საღამოს საქ. გან. კურსების ღარიბ მსმენელების სახელით გურულ სახალხო მომღერალს სამოველ ჩავლეშვილს, რომლის ლოტბარობით აღნიშნულ კურსების ღარიბ მსმენელთა სასარგებლოდ გაიმართა 30 მაისს პლეხანოვის სახელობის კლუბში გურულ სიმღერათა კონცერტი. მადლობას უცხადებთ აგრეთვე ლადიმე ბერძენიშვილს, ერმალო სიხარულიძეს, ერმილე კალანდაძეს, თეოფილე ლომთათიძეს და ესე მაღულარიას.

მინდობილობით **ბესარიონ ჩიგოგიძე.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 19|95

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელ მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე 1923 წ. მაისის 15-ს თარიღით და 95 №-ით გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების თაობაზე 1923 წ. მაისის 15-ს თარიღით და 95 №-ით გამოცემული დადგენილება („მოამბე“ 1923 წ. № 52) გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმასრულებელი გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წ. მაისის 6-ს.

თბილისი—სასახლე.

დადგენილება

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

საშენ წითელ აგურზე ფას. დაწესების შესახებ.

გასაუქმებლად ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის 1926 წ. თებერვლის 13-ს დადგენილების № 7. ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1) დაწესებულ იქნეს საშენ წითელ აგურზე შემდეგი მაქსიმალური საზღვრითი საბითუმო საგასაცემო ფასი ფრანკო - აგურის ქარხანა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, როგორც კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოებისთვის, ისე კერძო პირთათვის გაცემის დროს.

1-ლი ხარისხის აგურზე 30 მანეთი 1.000 ცალი.

მე-2-ე ხარისხის აგურზე 26 მანეთი 1.000 ცალი.

2) ა.-კ. ს. ფ. ს: რ: ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

3) ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

4) დადგენილება ესე ძალაში შედის ა.-წ. ივნისის 1-დან.

ა.-კ. ვაჭ. სახკომის რწმუნებული საქართველოში **ათაბეგოვი.**

3) მომწესრიგებელი განყოფილების უფროსი **ბერელაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

თბილისის აღმასკომის კომუჯრედის № 36 ბიურო აცნობებს აღნიშნული უჯრედის წევრთ, რომ დღეს, 14 ივნისს საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება კომუჯრედის № 36-ის დახურული კრება.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. რუბენ არტემის ძე ნასიბოვს სამშაბათს, 14 ივნისს, დილის 8 საათზე გამოცხადდეს, საქ. ცენტ. საკ. კომისიაში (რუსთაველის პროს. № 24, მესამე სართული, ოთახი № 12).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 14 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში მოწვეულია რაიკომის გაფართოებული პლენუმი უჯრედების ბიუროების წევრთა თანადასწრებით.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება პოლიტსკოლების მუშაობის შედეგების შესახებ, 2) საცალო ფასების დაკლების შესახებ, 3) რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შესახებ.

რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატებისა და აგრეთვე უჯრედების ბიუროების წევრთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

14 ივნისს, საღამოს 6 საათისათვის იუსტიციის კომისარიატის შენობაში მოწვეულია კომუჯრედის წევრთა და კანდიდატთა დახურული კრება.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება კომუჯრედის ბიუროს მუშაობის შესახებ.

უჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ისინი სამშაბათს, 14 ივნ. დღის 4 საათზე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ბიუროში დაუგვიანებლად.

ახობაძე გაბრიელ, ბერიძე ალექსანდრე, ბერულავა გაიოზ, ბერძულიშვილი დავით, ბახტაძე კორნელი, ბიწაძე ამბროსი, გურგენიძე ვალერიან, გერსამია ბარნაბ, დავითაშვილი ალექსანდრე, ელიზბარაშვილი შალვა, თედორაძე რაჟდენ კაკაბაძე სამსონ, კენჭაძე აკაკი, მაჭავარიანი ტარიელ, მძინარაშვილი დიმიტრი. მაიოროვი კონსტან., მარდალეიშვილი გალაქტ. მიქელაშვილი ვახტანგ, ნამურაძე სოლომონ, ნაკაიძე ალექსანდრე, როსჩუპკინი გიორგი სტურუა ნადია, საბაშვილი კონდრატი, ფხალაძე სპირიდონ, ქართსანიძე აკაკი ქათამაძე ზაქარია. ცხომარია ალექსანდრე, ჩიხლაძე კონსტანტინე შეკრელიძე ევნატე, წულაია სარდიონ, ჭიჭინავა გრიგოლ, ჭაბუკიანი პარასკევა, ხარიბავა ალექსანდრე, ჯღარკავა ნინო, ჯორბენაძე გაბრიელ ხუხუა მელიტონ. ჯანელიძე შალვა, თოფურიძე ალექსი.

ოთხშაბათს, 15 ივნისს, დილის 10 საათზე შესდგება სახ. უნივ. პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა. სხდომაზე უნდა გამოცხადდეს [illegible].

სახ. უნივ. ა. ლ. კ. კ. უჯრედების ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს 14 ივნისს საღამოს 11 საათზე [illegible] გამოცხადდეს ბიურო-კოლექტივის ტ.-მდივანი მეგრელიშვილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - განმანაწილებელი განყოფილება იუწყება, რომ ოთხშაბათს 15 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია თათბირი. სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

პირველი რაიონიდან: ვარლამოვი (მთავარ სახელოსნ.), ჯიოევი (მთავ. სახელოსნ.) კოლექტივის მდივანი), ცინცაძე (დეპო), ელიაშვილი (დეპოს კოლექტ. მდივანი), ინაური (რკ. გზის სტამბა), სულავა (რკინის გზის პროფკავშირი). ფანცულაია და კეკელია (პირველი რაიკომი).

მეორე რაიონიდან: რონზან და ბურუში (26-ის სახელობის ქარხანა), პეკლოვი (თამბაქოს ტრესტი), დათუნოვი (ლითონის ტრესტი), ენუქიძე (არსენალი). ბაიდაშვილი (როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანა), გარიბოვი თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“) ფარნიევი (ტრამვაი), გაბაშვილი (ტრამვაის კოლექტ. მდივანი), ტრამვაის ადგილკომის მდივანი, არუსტანოვი (სახკინმრეწვი), ცანავა (თბ. ელექტრო-მოწყობილობათ საქართველოს ელსადგური). იუზბაშევი (სპილენძის სატყეცი ქარხანა), ტერ-ავეტიკოვი (კალინინის სახელობის ქარხანა), გამბაროვი (კოლოფების ქარხანა) სოღიანოვი (ავტოსახელოსნოები „სტალინი“), მზარეულიშვილ და გეურქოვი (მესამე რაიკომი)

მესამე რაიონიდან: არჩვაძე (ტყავტრესტი), გარინი (საპნის სახარში ქარხანა), ბოკერია (ქალაქის სასაკლაო) სადგ. ნავთლუღის უჯრედის მდივანი, ტერ-ვართანოვი და ფირალოვი (მესამე რაიკომი).

მეოთხე რაიონიდან: წერეთელი (საუწყ. მილიციის უფროსი), ბელმანი (თბ. ელექტრო-მექანიკური ქარხ.): არიბჯანოვი (ფაბრიკა „ლენინი“), ხარაზიანი (პოლიგრაფტრესტი), სიხაშვილი და ბარათაშვილი (პოლიგრაფტრესტის უჯრედის მდივანი), კიკნაძე ნიკო (ადგილ. მრეწვ. განყოფილება), კვანტალიანი, ლომაია, მაზმანოვი (ტელეფ. ქსელი), დარახველიძე და გუდავაძე (მეოთხე რაიკომი).

ფესიუკი (სახელმწიფო ბანკი), მესხი (კომუნალური ბანკი), ნიკიტინი (მბეჭდავთა კავშირი), [illegible] ([illegible] კავშირი), მარკმანი და ფანცხავა (საქ. პროფკავშირთა საბჭო), აღნიაშვილი (ქართ. დივიზია), ბლიუმზაკი (საიდუმ. სპეც. ნაწილების პოლ. განყ.)

დღის წესრიგში სდგას მნიშვნელობანი საკითხები.

უზომო მწუხარებაში მყოფნი დედა ელისაბედ სერგოს ასული, მამა აკაკი ალექსის-ძე, ბებია ბაბუსი გიგოს ასული, ბაბუა ალექსი გიგოს-ძე ფანცულაიები და ბაბუა სერგო გიგოს-ძე ბერძენიშვილი აუწყებენ ნათესავეთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი მუდამ დაუვიწყარი პატარა გოგონა

ელეონორა აკაკის ასული

ფანცულაია

გამოსვენება მოხდება ბერძენიშვილის ბინიდან—ავლაბარი კახეთის ქუჩა 74 კასპიის შესახვევი. ხუთშაბათს 16 ივნისს ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1—1 3026

ზუგდიდის სამფინგანის თანამშრომელნი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ყოფილი გამგის და მასთან უძვირფასესი ამხანაგი და მუშაკის

გრიგოლი კონსტანტინეს-ძე

ჩიჩუასი

უდროოდ დაკარგვის გამო. 3033 1—1

შვილები გერმანე სამსონის-ძე პაიჭაძე, ლისა და ეკატერინე, სიძეები სამსონ გიორგაძე და გაბრიელ ბერძენიშვილი, მაზლები ეტლია და ეფიფანე პაიჭაძეები, ძმა კონსტანტინე ყაჭიეშვილი, შვილის შვილები იურა, ლეონიდე, გრიშა, საშა, ჟორჟიკა, ციცინო, ლოლა და ეპრასკია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნინო იორდანის ასული

პაიჭაძე

დაკრძალვა მოხდება წმინდა ნინოს სასაფლაოზე, ხუთშაბათს 16 ივნისს ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე. მისამართი რიყის (ყოფილი 19 თებერვლის) ქუჩა № 4. 1—1 3028

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა მარიამი, მამა სოსო და და თამარა მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის საყვარელი

ალექსანდრას (საშა)

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან სამშაბათს სრულ 4 საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1—1 3035

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისაბედი ხახუტაშვილისა, შვილები: ნიკოლოზ, მართა, მელანია, გრიგოლ, ანა და ნინო, რძლები: ოლღა და მელანია შვილებით და სიძე იულონ ქელბაქიანი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

ანტონ იოანეს ძე ხახუტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 15 ივნისს, დღით სოფ. მეჯვრისხევში. 1—1 (დ)

ТРИ ЦЕННЫХ ПРИЛОЖЕНИЯ
своим подписчикам ВО ВТОРОМ ПОЛУГОДИИ 1927 г.
дает самый распространенный еженедельный иллюстрирован. журнал
ОГОНЕК

I. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с одним приложением: „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ (лучшие художники и карикатуристы) — издание большого формата, на отличной бумаге, в художественной папке . . . . 3 руб.

II. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с двумя приложениями: 1) Богато иллюстрированный том, посвященный 10-тилетию Октябрьской Революции „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ (промышленность, сельское хозяйство, наука, литература, искусство) в прочн. перепл. и 2) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ . . 4 р. 50 к.

III. „ОГОНЕК“ с 1 июля до конца года с тремя приложениями: 1) 52 книжки БИБЛИОТЕКИ „ОГОНЕК“ (произведения лучших русских и иностранных писателей), 2) „ДЕСЯТЬ ЛЕТ СОВЕТСКОГО СТРОИТЕЛЬСТВА“ и 3) „АЛЬБОМ СОВЕТСКОГО ЮМОРА и САТИРЫ“ 9 р. 50 к.

Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26. Акц. Издат. О-ву „ОГОНЕК“
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.

ნ. 1320 4—1

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
(ყოფ. ბაღი „სტელა“, სოლოლაკის 13)
3032 1—1

სამშაბათს, 14 ივნისს და ოთხშაბათს, 15 ივნისს
ორი მორიგი
სიმფონიური კონცერტი
შრომის 1-ელ კოლექტივისა საოპერო ორკესტრის 50 მსახიობის შემადგენლობით მოსკოვის თეატრების დირიჟორის ანატოლ კარდაშევის ხელმძღვანელობით. დაწვრილებითი პროგრამა აფიშებში. ცუდი ამინდის გამო კონცერტი არ გადაიდება. დასაწ. სალ. 9 საათ.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლო
(არტის ბაღში).
სოლეი
ტელ. 20—44.
0—12 ნ. 1289

დღეს გაიხსნება საზაფხულო კინო-თეატრები
ეთერი—დარბაზი—აპოლო
ნაჩვენები იქნება სახსამხკინოს საუკეთესო სურათი
„მისი უდიდესებულების სოლისტკა“
რეჟისორი მ. ე. ვერნერი.
მთ. როლში: ნიკოლოზ მეორე—სტეფანე კუზნეცოვი.
მატილდა —გ. კუინჯი.
ზუბოვა —ო. კნიპერი-ჩეხოვა.
დიდი მთავ. სერგეი მიხეილის-ძე—ა. გეიროტი და სხვ.
საზამთრო თეატრებისათვის გაცემული ყველა მუდმივი ბილეთები გაუქმებულია.

ქსენია დესნი
მხატვრულ „Девушка из бара“ სურათში

ანონსი: მიღებულია სრ. უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს საუკეთესო სურათი „ჰამბურგი“—თვალ-ყური ადევნეთ დადგმის დღეს.

ა. წ. 21 ივნისს, დღის 11 საათზე, სახელმწიფო ბანკის შენობაში (აღმასკომის, 5)
დანიშნულია საჯარო ვაჭრობა
შემდეგი მუშაობის იჯარით გასაცემად: 400 კუბ. საჟ. მიწის ამოთხრა და გატანა ელიავას და ჰოჩქაძის (ყოფ. გუდოვიჩის) ქუჩების კუთხის რაიონიდან.
ვისაც იჯარის აღება სურს, უნდა წარადგინოს განცხადება დაბეჭდილ კონვერტში და ბე საერთო განცხადებული თანხის 10 %-ის რაოდენობით.
მიწის სამუშაოს შესრულების დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება სახელმწიფო ბანკში ყოველდღე დილის 9-დან 12 საათამდე საბანკო ამხანაგობის თავმჯდომარესთან, რომელიც განცხადებებსაც იღებს.
ნ. 1322 1—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

ЖЕНЩИНЫ, ХОЗЯЙКИ!
МАТЕРИ, КУСТАРКИ!
СПЕШИТЕ ПОДПИСАТЬСЯ
на ВТОРОЕ ПОЛУГОДИЕ 1927 года
на ежемесячный домашне - хозяйственный богато-иллюстрированный и модный
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“
К каждому номеру прилагаются выкройки и контурные листы.
УСЛОВИЯ ПОДПИСКИ:
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ на 6 мес.—5 р. 50 к., на 3 мес.—3 руб.
„ЖЕНСКИЙ ЖУРНАЛ“ с приложением „КУЛИНАРНОЙ КНИГИ“ на 6 мес.—6 р. 30 к., на 3 мес.—3 р. 80 к.
Полугодовые подписчики получат, кроме того, БЕСПЛАТНУЮ ПРЕМИЮ: 10 книжек „БИБЛИОТЕКИ ОГОНЕК“.
Переводы адресовать: МОСКВА 9, Тверской бульвар 26.
АКЦ. ИЗДАТ. О-ВУ „ОГОНЕК“.
Подписка принимается также во всех почтовых учреждениях СССР.
1320ნ. 4—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—21



სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 13—1

დავკარგე ქალ. გორის მე-3 მთლიანი 9 წლ. შრ. სკოლის დამთავრების მოწმობა № 203, მეტრიკული ამონაწერი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე დედანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3029

დავკარგე ერთი ცალი აქცია სიღნაღის კომუნალურ ბანკიდან გაცემული, ღირებულება 55 მან. ვანო შალვაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1321

დავკარგე კომუნალური დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 754 მიხეილ ჯიმშერის-ძე ყაზაროვის სახელზე, ჩ. გ. 3034

დაკარგული პარტბილეთი 0863271 ლეო არუთინოვის სახელზე, ნაპოვნია. 3027

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 3335, გრიგოლ იაკობის-ძე ხითაროვის სახელზე, ჩ. გ. 3025

დავკარგე უვადო პასპორტი, გაცემული ბორჩალოს მაზრის აღმასკომის მიერ, № 429, კალიკო კვაჭაძის სახელზე, ჩ. გ. 3025

დავკარგე პირადი წიგნაკი მოცემული გარე-კახეთის სამხედრო მაგიდიდან № 1443, პეტრე გაბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3024

დავკარგე საწევრო ბილეთი № 100142, სახალხო კავშირგაბმულობის მუშაკთა კავშირისა თედორე გიორგის-ძე ხუჭუას სახელზე, ჩ. გ. 3030

დავკარგე პარტბილეთი № 0854374 გამოჩინებულის კომ. უჯრედის წევრის ბიქტორ ლომაძის სახელზე, ჩ. გ. 302

დავკარგე სამხედრო პირადი წიგნაკი ფ. № 7, № 481, ვლადიმერ კონსტანტ-ძე ბირკაიას სახელზე, ჩ. გ. 302

დავკარგე პირადობის მოწმობა № 159, პლატონ სამსონის-ძე გოგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 302

დავკარგე ფართლის ვაჭრობის მ--ე ხარისხის „პატენტი“ № 334 ბინო დავითაშვილის სახელზე, ჩ. გ. 302

დავკარგე პარტ-კანდიდატობის მანდატი № 18490, რემდესის წიგნაკი, სამხედრო საარიცხვო წიგნაკი, ავადმყოფობის მოწმობა, პირადობის მოწმობა და სიღარიბის მოწმობა ვასილ სიმონის-ძე ცხოვრებოვის სახელზე ჩ. გ. 302

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.